მამია გოგოლიშვილი

შეხვედრა სტალინთან
ანუ
რაც მინახავს და მიკეთებია

ს. ს. „გამომცემლობა აჭარა"
ბათუმი - 1998

საქვეყნოდაა ცნობილი ჩვენი კუთხის სასიქადულო შვილის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის ბოტანიკური ბაღის ყოფილი დირექტორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონული ცენტრისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონული სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი სპეციალიზებული სამეცნიერო საატესტაციო საბჭოს ხელმძღვანელის, აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის სახელი და მოღვაწეობა.

მამია გოგოლიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი კუთხის — აჭარის კულტურის, ხელოვნების, სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში. აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მისი ნაყოფიერი მუშაობის პერიოდში ბევრი რამ მოგვარდა, გაკეთდა და ჩადგა ხალხისა და ქვეყნის სამსახურში. მის ნაყოფიერ შრომა-საქმიანობას, მის მეცნიერულ მოღვაწეობას ეხება ეს მემუარული ხასიათის წიგნი, რომელიც მოკლედ, ლაკონურად, მაგრამ შთამბეჭდავად მოგვითხრობს იმ გზის შესახებ, რომელიც მან განვლო მეცნიერების, მშობლიური ხალხისა და ქვეყნის სამსახურში.

იმედია, მკითხველი დიდი გულიხყურით გაეცნობა ამ საინტერესო წიგნს და კიდევ უფრო დააფასებს მის ავტორს — ქართული სიდარბაისლითა და თავაზიანობით გამორჩეულ ინტელიგენტს.

©ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“ — 1998

Ბ 621 (08) 08

ასაკში შესულ კაცს ყოველთვის უჩნდება სურვილი განვლილ გზას გადახედოს, გაიხსენოს, რა იყო ამ გზაზე უმთავრესი, რამ დატოვა ყველაზე მეტი შთაბეჭდილება, რა რჩება საუკეთესო მოგონებად, ისიც, — რაც არ გამოვიდა ისე, როგორც საჭირო იყო, როგორც სურდა. ამ სურვილს თან ახლავს ფიქრი, მისცემს კი რაიმეს მკითხველს ამ მოგონებათა ქაღალდზე გადატანა?

მივიჩნიე, რომ მისცემს და გავბედე ჩანაფიქრის აღსრულება. სათაურად დავარქვი „შეხვედრა სტალინთან, ანუ რაც მინახავს და მიკეთებია". სტალინის თემა იქნებ სულ მცირე მონაკვეთია ჩემი მოგონებისა, მაგრამ იოსებ სტალინთან — ამ მართლაც საოცარ კაცთან შეხვედრა ისე ნათლად შემორჩა მეხსიერებას, რომ თითქოს გუშინ იყო. არამგონია მკითხველმაც დიდი ინტერესით არ გააღევნოს თვალი ამას და ასევე ინტერესით არ აღიქვას.

მანამდე კი ჩემი ცხოვრების დასაწყისი. უფრო დუხჭირი იყო იგი, ვიდრე დალხინებული. 7—8 წლისა რომ ვიყავი, ჩვენი ოჯახი ეკონომიურად დიდ სივიწროვეს განიცდიდა. მაგრამ მამა მაინც შეძლებულთა, უფრო სწორად, მემამულეთა სიაში იყო. მახსოვს რამდენჯერ ჩავიდა ჩაქვის თემსაბჭოში საკითხის გასარკვევად, მაგრამ ყოველთვის გულდაწყვეტილი დაბრუნდა.

ღედა — გუგული მიქელაძე, როგორც ჩემი ბიძის ნაამბობით ვიცი, სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის მიქელაძეების შტოს წარმომადგენელი ყოფილა, რომელიც აჭარაში გადმოსახლებულა. ბაბუაჩემის მამა გენერალი მიქელაძე თოფის წამლის არსენალის უფროსი ყოფილა, არსენალის აფეთქების ზარალის ანაზღაურება რომ აეცილებინა, თავი აჭარისთვის შეუფარებია, სადაც „ზარალოღლი" შეურქმევიათ.

მამა თორმეტი წლისა დაობლებულა, მის ერთადერთ ბიძაშვილს, სულეიმან გოგოლიშვილს, ავადმყოფობის გამო, გაჭირვებია ბავშვის მოვლა და ამიტომ იგი ახლო ნათესავს, ქიბარ მსხალაძეს, სოფელ გვარადან სოფელ ბობოყვათში წაუყვანია, ვისთანაც ხუთ წელიწადს დარჩენილა და ამ სიკეთეს დიდად აფასებდა. მამას ბობოყვათში ჰყავდა დეიდაშვილი ხასან კონცელიძე,

რომელსაც ცოლად ჰყოლია დედაჩემის მამიდა. სწორედ ამ ჯაჭვურმა ნათესაობამ განაპირობა, რომ მამა გუგული მიქელაძეზე დაქორწინდა. ხასან კონცელიძემ ახლო ნათესავს ოროთახიანი ფიცრული სახლი აუშენა. იქ ახლა ორსართულიანი სახლი დგას.

დედაჩემს ოერთმეტი შვილი გაუჩნდა, ნაბოლარა მე გახლდით, ცხრა გავიზარდეთ. ჯერ კიდევ ძუძუს ვწოვდი, როცა დედა ცხენიდან ჩამოვარდნილა და დაავადმყოფებულა. ამის მერე ძუძუს სულეიმან მანელიშვილის მეუღლე, დიდად საოინო და კეთილი წილოსანის ქალი მაწოვებდა. ჩემი ძუძუს მოზიარე ფატი მანელიშვილი მკვიდრ დასავით მიმაჩნდა, მისი მეუღლე ახმედ ბოლქვაძე კი ნამდვილ სიძედ. საუბედუროდ, ფატი და მისი მეუღლე ადრე გარდაიცვალნენ, მაგრამ კარგი შვილები კი დატოვეს.

ჩემი უფროსი ძმა — ხასანი ქალაქ ბათუმში ცხოვრობდა და მისი ორი ვაჟი და ერთი ქალი შესანიშნავი შვილების პატრონები არიან. ვინაიდან ჩვენი ოჯახი მრავალრიცხოვანია, შევეცდები ყველა შესაფერისი მომენტის მიხედვით მოვიხსენიო.

დედა რომ გარდამეცვალა, იმ წელიწადს (1920) თებერვალ-მარტში მამაჩემს ჩოლოქისა და ისპანის ჭაობებში დიდთოვლობის გამო 72 ცხენი დაეხრჩო, ცხვარს ჰეპელა გაუჩნდა და მთელი ფარა გაუნადგურდა. მომდევნო წლის ზამთარში მწყემსების გაუფრთხილებლობით გაჩენილმა ხანძარმა 26 ხარკამეჩი იმსხვერპლა. გასაბჭოების შემდეგ მამაჩემი აითვალწუნეს, ხან რა მიზეზს უძებნიდნენ და ხან რას, რომ გაეკულაკებინათ ისედაც განადგურებული ოჯახი.

სოფელ ჯიათში დედისეული მიწები იყო, სადაც ახლა ციხისძირის კოლმეურნეობაა.

1922 წლიდან აქ დაიწყო ზემოაჭარის და ქობულეთის რაიონის მთიანი სოფლებიდან თვითნებური ჩამოსახლება. ამან ჩემი უფროსი ძმები აამხედრა, მაგრამ მამამ შვილებს საქციელი არ მოუწონა, ეს ყველაფერი ხელისუფლების საქმეაო. ამ დროს ჩემი უფროსი ძმა — ხასანი აქ ფორმალურად ითვლებოდა, თორემ სინამდვილეში სამურზაყანოში იყო. ძმადნაფიც სოლომონ ახალაიასთან ერთად სამეგრელოში, პირუტყვს ყიდულობდნენ და აჭარაში ჩამოჰყავდათ გასასაღებლად. ჩემი მეორე ძმა — ოსმანი 1922 წელს შევიდა კომკავშირში, სიძესთან — სკენდერ მახარაძესთან ერთად, ამან ისე გაანაწყენა მამა, რომ შვილს სახლში არ უშვებდა, შემდეგ თანდათან მოლბა.

დედის გარდაცვალებიდან წლინახევრის შემდეგ, ბიძამ — დურსუნ მიქელაძემ და ჩემმა უფროსმა ძმამ ხასანმა, რადგან ოჯახს დიასახლისი სჭირდებოდა, მამას ქალი მოუყვანეს — ფედოსი რომანაძე. მე მაშინ 6 წლისა ვიყავი

და უფროსი ძმა მარწმუნებდა, შენი ნამდვილი დედა ესაა. ამას ეს ქალი საქმითაც იმსახურებდა. იმ დალოცვილმა მე, ჩემს ღებსა და ძმებს ისე შეგვაყვარა თავი, მართლაც დედად მივიღეთ. ფედოსი მანამდე გათხოვილი ყოფილა სტამბულში, მდიდარ ქართველ მგელაძეზე, იქ შვილი არ გასჩენია და ქმრის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნებულა თავის სოფელში — ლეღვაში. ოთხი წლის მერე მისთხოვდა მამას, ძალიან კეთილი ქალი იყო.

ასეთი ამბავი მახსენდება: ხარებს ვაძოვებდი, ამხანაგებმა ბობოყვათის რკინიგზის ბაქნის დარაჯის, ივანე ახალაძის ბოსტანში მოპარული ორი ტარო ჭყინტი სიმინდი მომცეს — ვთხოვე დედას მომიხარშე-მეთქი, მამა მოვა და მაშინო; ძმის ლოგინში ჩამაწვინა, ჩემს ლოგინში კი მუთაქა ჩადო, ვერ მივხვდი რატომ. დაბრუნებული მამა ჩემს ლოგინს ეცა და დაუშინა — ვისი სიმინდი მოიტანა ამ ქურდმა სახლში, მოვკლავო. დილით მითხრა, ივანეს ბოდიში მოუხადე, ეს სიმინდი ჩაუტანე და ხელწერილი გამოაროვი, თორემ სახლში არ მოხვიდე, წადი და ზღვაში გადაეარდიო, ივანეს სიმინდი რომ მივუტანე და მამის დანაბარები ვუთხარი, ხელწერილი ვთხოვე, — ვისი ხარ შვილოო, — მკითხა, რომ ვუპასუხე, — ახლა მივხვდი, როგორ უნდა გაზარდო შვილიო, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

1922 წელს ჩემს სოფელში პატარა ფიცრული სკოლა ააშენეს. მანამდე მასწავლებელი ჩვენს სახლში ჰყოლია მამას. სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს, ივანე რქმეია, ჩვენი ოჯახისა და ახლო მეზობლების ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა. ახალ სკოლაში პირველი მასწავლებელი კალისტრატე შარაშენიძე იყო. ერთ ოთახში ვიყავით ყველანი, პატარებიც და მოზრდილებიც. ჩვენი მასწავლებელი მშვენივრად ახერხებდა პირველი და მეორე კლასების ერთად მეცადინეობას.

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ აჭარის პედინსტიტუტში (ეს ფაქტიურად საშუალო პედსასწავლებელი იყო), მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად შევიტანე საბუთები. აქ არ შემიძლია არ მოვიგონო ჩემი დეიდაშვილი, პარტიული სკოლის კურსანტი, ჯემალ ჩხაიძე, რომელიც ჩემი გზის გამკვალავი იყო ყოველთვის, იგი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა.

მისაღები გამოცდები ქობულეთელებისათვის ქობულეთში დაინიშნა, შვიდწლიანი სკოლის ბაზაზე. გამოცდებს იბარებდნენ მეტად განსწავლული, ამავე სკოლის დირექტორი კონსტანტინე ჭუბაბრია, სიყვარულით კოწიას რომ ეძახდნენ ქობულეთში. პედაგოგები — გრიგოლ ჭყონია და, თუ არ ვცდები, სერაფიონ ჭედია. ჩარიცხულებს გამოგვიცხადეს, რომ 30 აგვისტოსათვის ჩვენი ტანსაცმლით და ლოგინით გამოვცხადებულიყავით სასწავლებელში.

რამდენიმე დღის შემდეგ სასწავლებლის დირექტორის მოადგილემ დამიბარა და მითხრა, შენ მდიდრის შვილი ყოფილხარ, გიჩივლეს მთავრობაში — მდიდრებს იღებენ პანსიონატში და ღარიბ-ღატაკს არაო, სწავლებაზე უარს არ გეუბნებით, მაგრამ პანსიონატში ვერ დაგტოვებთო. ბევრი ვიტირე, არაფერი გამოვიდა. რალა მექნა, გულდაწყვეტილი დავბრუნდი სახლში. ოჯახი ისე დაუძლურებული იყო, ბინის დაქირავების საშუალება არ ჰქონდა. ის კი არა, ქალამნებიც სანატრელი მქონდა და ავტომანქანის ძველი საბურავებისაგან შეკერილი წაღები მეცვა.

დიდად დადარდიანებულს ბატონი კონსტანტინე ჭუბაბრია წამეშველა, თავისი სკოლის მეხუთე კლასში დამსვა. ბობოყვათიდან ფიჭვნარამდე ყოველ დილით 7 კილომეტრს გავდიოდი ფეხით. ავტომანქანაზე მაშინ წარმოდგენაც არ გვქონდა.

1927 წლის დასაწყისში ხუცუბანში დაარსდა სოფლის ახალგაზრდობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროფილის სკოლა-ინტერნატი, სადაც ბატონი კონსტანტინე ჭუბაბრიას რჩევით ჩავირიცხე. იქ სკოლის დირექტორს, კეთილ ადამიანს, ბატონ იბრაგიმ მჟავანაძეს აღარ უჩხრეკია ჩვენი ოჯახის „დანაშაული“, ალბათ იმიტომ, რომ კონტინგენტის შევსება ჭირდა. ამ სკოლამ ბევრი მომცა. აქ დავეუფლე სოფლის მეურნეობის ძირითად საფუძვლებს და, რაც მთავარია, ყოფაქცევის ელემენტებს. დღეს არც ერთ სკოლაში არ ეთმობა იმდენი ყურადღება აღზრდის პრობლემებს, რამდენიც მაშინ იმ სკოლაში. ბავშვთა აღზრდით ძალიან დაინტერესებული იყო ახალი დირექტორი შოთა ჯაფარიძე, დიდი ჰუმანისტი, კაცთმოყვარე პედაგოგი, რომელიც ბავშვებზე იყო გადაყოლილი. სწორედ მან მოიყვანა შესანიშნავი მასწავლებელი, დანიის აღმზრდელთა უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ იალტის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელდამთავრებული, ბატონი ალექსანდრე შარაშიძე, რომელიც 1918 წელს ჩაუდგა სათავეში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლას და 4 წელიწადს მამისეული მიწების გაყიდვით მიღებული თანხით ინახავდა სკოლის პერსონალს. მოწაფეებს სოფლიდან მოჰქონდათ საკვები და ისე ირჩენდნენ თავს.

1922 წელს, ბატონი ალექსანდრე, როგორც ფედერალისტი და შეიძლებული აზნაურიშვილი, ქუთაისიდან განდევნეს, იგი მხოლოდ 5 წლის შემდეგ მიიღეს ახლად გახსნილ სოფლის მეურნეობის სკოლაში, მასწავლებლად და აღმზრდელად.

ბატონი ალექსანდრე დაბინავებული იყო სკოლის შენობაში. იგი ცხოვრობდა ჩვენით, ჩვენ კი მისით. მე განსაკუთრებით მიყვარდა ეს კაცი, მასაც გამორჩეულად ვუყვარდი. ჩვენი მეგობრობა მისი სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა.

მახსოვს, ერთხელ ჩოხატაურში ვიყავი, ვატარებდით რაიკომის პლენუმს, პირველ მდივნად ბატონი შოთა ჭანუყვაძე უნდა აგვერჩია. პლენუმის შემდეგ ბატონ შოთას ვუთხარი, სადღაც რაიონში უნდა იყოს ჩემი ყოფილი და ყველაზე საყვარელი მასწავლებელი ალექსანდრე შარაშიძე და ვთხოვე, იქნებ შემახვედრო-მეთქი. პირველ მდივანს არ გაჭირვებია ამის დაზუსტება და მალე სოფელ ბუკისციხისაკენ გავემგზავრეთ. ამასობაში ბატონ ალექსანდრესაც შეეტყო ჩემი იქ ყოფნა და ცხენით წამოსულიყო. გზაში ავცდით ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს მაინც შევხვედით. ყოფილი ფედერალისტისა და აზნაურისათვის პენსიაც არ დაენიშნათ, არც დამსახურება უბოძებიათ. ბატონი შოთას დახმარებით დავუკავშირდით საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილეს, ღვთისნიერ ადამიანს, ქალბატონ მარიამ ბურჭულაძეს. შედგა საჭირო დოკუმენტები და ყველაფერი მოუგვარეს ჩემს დიდებულ და საყვარელ აღმზრდელს, წართმეული მამისეული სახლიც დაუბრუნეს სოფელში.

მეშვიდე კლასის დამთავრების შემდეგ გაზეთში წავიკითხე, რომ ყვარლის ამიერკავკასიის სატყეო-სამეურნეო სკოლა-ინტერნატში უგამოცდოდ იღებდნენ ახალგაზრდობას და დაუყოვნებლივ გავეშურე. იქ არავინ კითხულობდა სოციალურ წარმოშობას, ოღონდ ეს კი იყო — უღარიბესი ოჯახების შვილებს აძლევდნენ უპირატესობას.

ერთი წლის შემდეგ საქართველოში ტყის დამზადების საქმეში დიდი გარღვევების გამო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, სამი თვით შეგვაწყვეტინეს მეცადინეობა და თბილისის სატყეო ინსტიტუტთან ერთად დაგვანაწილეს საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ასეთი გარღვევები იყო. მე, როგორც ქობულეთელმა, მეზობელ გურიაში წასვლა ვარჩიე. მუკუზნის სადგურში ჩემმა განუყრელმა მეგობარმა რევაზ შამფრიანმა მითხრა: „ვიცი შეძლებული ოჯახიდან ხარ, ოზურგეთიდან არ წაიყვან შენს ოჯახში არც ერთს, ამაოში ერთს დავალებული აქვს ოჯახის ამბების გაგება“-ო. — ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

ყვარელში ჩვენი სწავლების პერიოდში მიმდინარეობდა შეძლებულ გლეხთა განკულაკება, ზოგიერთების გაციმბირებაც. იმ მოტივით, რომ თითქოს ისინი კოლმეურნეობების ჩამოყალიბებას უშლიდნენ ხელს. სინამდვილეში გლეხები თავად გაურბოდნენ კოლმეურნეობაში შესვლას. ყვარლის მერვე უბანში ვესწრებოდი კოლმეურნეობის ჩამოყალიბებას. გლეხებს უთხრეს, თქვენოთან შალიკო მათიკაშვილის სახელობის კოლმეურნეობა იქმნება, თუ ვინმე წინააღმდეგია, ხელი ასწიოსო. ვინ გაბედავდა ამას. ჩვენ, კომკავშირლებს დაგვივალა სოფლის აქტივთან და მილიციასთან ერთად კულაკების ბელლებიდან მარცვლის გამოტანა და „ზაგოზერნოსათვის“ ჩაბარება. ჩვენ,

ბავშვებს, გვიყენებდნენ, როგორც მუშებს, დამხმარე ძალად. საერთოდ ყვარელი გლეხების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ვებრალებოდით, ხშირად თვალს ხუჭავდნენ ჩვენს დანაშაულზეც კი. ყურძნის დაკრეფაზე რომ წაგვასწრებდნენ გვეტყოდნენ — ახლა გვიპატიებია, მაგრამ მეორედ თუ დაგაკავეთ, ვაი თქვენი ბრალიო. ესეც ისეთ მშობლიურ მუქარას ჰგავდა, რომ...

ინტერნატში ყოველწლიურად ორ წყვილ ტანსაცმელს გვაძლევდნენ; ერთი ჩვეულებრივი, ყოველდღიური, მეორე — სპეცტანსაცმელი ტყისათვის. ერთ დღეს გამოგვიცხადეს: თქვენ უკვე მესამეკურსელები ხართ, ნამდვილი მეტყევეები, ხვალ სპეცტანსაცმლით და ზურგჩანთებით მივდივართ ყვარლის მაღალ მთებში, ნინიკას ციხემდე, დაღესტნის გადასასვლელზე. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ყველასათვის საყვარელი მეტყევე მასწავლებელი ხარიტონ რუსიაშვილი და ყვარლის სატყეოს დირექტორი, მერე ჩვენი მასწავლებელი, არტემ თოდუა, თავისი ორი ცხენით. ცხენები დატვირთული იყო სურსათით. ბატონი არტემის ცხენი დოღში ორჯერ იყო გამარჯვებული, მაგრამ ცხენი უეცრად კლდეზე გადაიჩეხა. ბატონმა არტემმა ცრემლი ვერ შეიკავა. ექსპედიცია ორ დღეს გაგრძელდა.

ყვარლის სკოლაში ჩემთან მერხზე იჯდა იქაური ბიჭი, შალვა მზექალაშვილი. მისი მშობლები, ბატონი ზაქრო და ქალბატონი თებრონე, მეორე მშობლებად მომევლინენ. ხშირად პანსიონატში არც კი მიშვებდნენ. შალიკო და მისი დები ელიკო და თამარი, საკუთარ და-ძმებში არ გამომერჩევიან. შალიკოსთან ერთად ინტერნატში ძმობა შეეფიცე უკვე ხსენებულ რევაზ შამფრიანს, ქიზიყელ შალიკო ჯანიაშვილს და ლაგოდეხელ კირილე მამისაშვილს, აფხაზ ილია ჩრუქბაიას. ამ ძმობას დღესაც ვაგრძელებთ მე, შალიკო მზექალაშელი და ილია ჩრუქბაია. შალიკო ჯანიაშვილი ფრონტზე დაიღუპა, (ვრცლად ამაზე შემდეგ მოგითხრობთ), რევაზ შამფრიანს-მესტიის პროკურორს, დიაბეტმა მოუსწრაფა სიცოცხლე, კირილე მამისაშვილმა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ააღორძინა და მსოფლიო მნიშვნელობის კერად აქცია ლაგოდეხის ნაკრძალი, მაგრამ ომში მიღებული ჭრილობებით ჯანმრთელობაშერყეული ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან.

გავიდა ერთი წელი და სასწავლებლის დირექტორად დანიშნეს აბელ ჯაფარიძე, კაცი, რომლისთვისაც მოწაფის სოციალური წარმოშობა კი არ იყო მთავარი, არამედ ის, თუ როგორ სწავლობდა, როგორი ყოფაქცევის იყო, მას ვუამბე ყველაფერი, დამიყვავა, აგერ ვარ მე, ნუ გეშინიაო. მალე ტექნიკუმის მოწაფეთა კომიტეტის თავმჯდომარედაც ამირჩიეს. მასწავლებლებმაც სხვა თვალით დამიწყეს ყურება. განა შეიძლება ასეთი კაცის დაეიწყება? ჩვენმა მასწავლებელმა, ყვარლის სატყეო მეურნეობის დირექტორმა, არტემ

თოდუამ, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 19 წლის ბიჭს ამავე რაიონის სოფელ შილდის სატყეოს დირექტორობა შემომთავაზა, მაგრამ სწავლის გაგრძელება ვამჯობინე.

1934 წელს საკავშირო სუბტროპიკული უმაღლესი სასწავლებელი ოზურგეთიდან თბილისში გადაიტანეს და მეც სატყეო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე მიღებული ნიშნებით ამ ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე გადმოვედი, მაგრამ მე უფრო სუბტროპიკული ფაკულტეტი მაწყობდა. შემოდგომაზე უკვე ამ ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ეროი წლის შემდეგ სუბტროპიკული ინსტიტუტი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შეუერთეს როგორც ფაკულტეტი, მე კი პროფკომიტეტის თავმჯდომარედ ამირჩიეს, მერე —საქართველოს რესპუბლიკის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხელფასიც სოლიდური მქონდა. საბჭოს თავმჯდომარე იმ დროს იყო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ორი შვილის მამა, გამოცდილი პარტიული მუშაკი, ყოფილი რესპუბლიკის თავდაცვა-აეროქიმიის საბჭოს თავმჯდომარე, ლავრენტი ბერიას მეგობარი, ბატონი ვალოდია შენგელაია, რომელმაც მითხრა: მე ოჯახი მაქვს, ორი შვილის მამა ვარ, აქ ხელფასისათვის ვმუშაობ, თანაც ლექციები დღისით მაქვს, შენ კი საღამოს ხუთი საათიდან, ამიტომ საქმე შენ უნდა აკეთოო. ბატონი ვალოდია იმდენად კრისტალური პიროვნება იყო, რომ ერთ-ერთ სტუდენტთა ქალაქში ჩატარებული ღონისძიების გამო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ 1200 მანეთი ჯილდო გამოუყო. ხელი არ ახლო იმ ფულს, ეს იმას ეკუთვნის, ვინც საქმე გააკეთაო. ასეც მოხდა, ფული მე გადმომცს, მის მეუღლეს, დიდი მუდარით, ნაწილი მაინც დავუტოვე, ისიც ბავშვებს ჩავუდე ჯიბეში.

1937 წლის გაზაფხულზე მეხუთეკურსელები საწარმოო პრაქტიკაზე გაგვანაწილეს. მე ჩაქვის ჩაის მეურნეობაში გამიშვეს, ამას ორი თვის შვებულებაც მიემატა, მეურნეობაში აგრონომად დამნიშნეს, თვეში 127 მანეთი ხელფასით. ჩემს ოჯახს უჭირდა, ამიტომ ჩაის N1 ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა ღამის ცვლაში. ასე რომ, დღე და ღამე სამუშაოზე ვიყავი, ხელფასიც 200 მანეთი გამიხდა. ჩაის მეურნეობაში დირექტორის მოადგილე იყო ჩემი საყვარელი ადამიანი — ჯემალ ფაღავა. იგი ჩემი დეიდაშვილიც იყო და ჭკუის დამრიგებელიც.

დამთავრდა ზაფხული. დავბრუნდი ინსტიტუტში. ერთ საღამოს, ახლანდელი რუსთაველის მოედანზე (მაშინ ზემელზე), თავს დამადგა შინსახკომის ფორმაში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა. როცა დანაშაულს არა გრძნობ, შიშიც არა გაქვს, მაგრამ 37 წლის ამბების ფონზე გასაკვირი არაფერი იყო. მით უფრო, რომ საქართველოს სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგი-

ლე ვიყავი. თავაზიანად მომექცნენ, მკითხეს პასპორტი და კომკავშირის ბილეთი თუ გაქვსო, არა-მეთქი, მაშინ მივიდეთ ბინაში და წამოიღეო. მანქანიდან არ გადმოსულან, დაცვის გარეშე შემიშვეს სახლში, ეს უკვე კარგის ნიშანი იყო. მალე მივადექით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობას. პირველ მდივანთან, ლავრენტი ბერიასთან შემიყვანეს. მასთან იყო მაღალი, ქერა კაცი, როგორც შემდეგ გავიგე ცეკას მესამე მდივანი და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე — ამბერკი კეკელია. ბერიამ გადაფურცლა ჩემი საბუთები, შეამჩნია, კომკავშირის ბილეთში დაბადების წელი 1912 ეწერა, პასპორტში 1914. გაბრაზებულმა კეკელიას უბრძანა, დღესვე გაგზავნეთ ქობულეთში, ახალი პასპორტი გამოუწერონო. მატარებლის ბილეთი იქვე მომიტანეს. ქობულეთში რომ ჩავედი, უკვე გამზადებული პასპორტი მომცეს 1912 წელს დაბადებულის თარიღით, მაგრამ ქობულეთში გავიგე, რომ ჩემი კოლმეურნე ძმა — მურმანი დაეპატიმრებინათ, როგორც ხალხის მტერი. ბერიას რომ მოვახსენე ეს, აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს იოსებ კოჭლამაზაშვილს დაურეკა: „რაზბერიტეს პაჩემუ არესტოვალი", მერე მომიბრუნდა: წადი ბათუმში და შენი ძმის საქმის გარკვევამდე სადმე გამუშავებენო. ისე, ყველაფერი რიგზე თუ იქნება, აჭარის მიწათმოქმედების კომისრობას გიპირებთო. ბათუმში ჩამოსვლისთანავე დამნიშნეს აჭარის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად. კოჭლამაზაშვილმა მითხრა, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აგირჩევთო. ამჟამინდელი სახალხო კომისარი ბექირ ხალვაში კარგი ბიჭია და ჩვენ მას შესაფერის სამუშაოს მივუჩენთ, თქვენ კი, ძმის საქმის გარკვევის შემდეგ დაიკავებთ მის ადგილს, ასე გადაწყვიტა ცენტრალურმა კომიტეტმაო. იცოდე, ჩვენი საუბარი აქ უნდა მოკვდეს, თუ ვინმემ გაიგო, თქვენი ნათქვამი იქნება და ხომ იცით, პარტიამ რა იცისო.

ტრესტში, რომლის მმართველადაც დამნიშნეს, 11 მეურნეობა შედიოდა, ძირითადად მეჩაიეობის და მეციტრუსეობისა, ერთი ტუნგისა და ერთი მეცხოველეობისა. მოადგილედ მყავდა ძველი, გამოცდილი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) ყოფილი მდივანი — ხუსეინ ზოიძე, მეორე მოადგილე კი, წარმოშობით ბულგარელი, ივანოვი იყო. ძალიან კარგად მიმიღეს და ყოველგვარი საქმის კურსში ჩამაყენეს. დღე და ღამეს ვასწორებდი, რომ სირცხვილი არ მეჭამა.

1937 წლის შემოდგომაა, ტრესტის მუშაკები მეურნეობის მიხედვით გაენაწილდით, მოადგილეები არ ჩანან. ცოტა ხანში მოვანოვი მოვიდა, ზოიძე — არა. ვრეკავთ სახლში — არავინ იღებს ყურმილს. კაცი გავგზავნეთ, მეზობ-

ლებმა უთხრეს, რომ ამ დილით დააპატიმრესო. რამდენიმე დღის შემდეგ მიბარებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში და მავალებენ — მოვანოვი უნდა გაანთავისუფლო, როგორც უცხოელი და არასანდო. ეს ამბავი საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს მოვახსენე, მაგრამ არაფერი შეიცვალა. მოადგილედ დამინიშნეს სულეიმან ჩიჯავაძე, განათლებული კაცი, ძალიან საქმიანი, ყოფილი სახკომის მუშგლეხინის მოადგილე, რომელთანაც ოთხი თუ ხუთი თვე ვიმუშავე.

ერთი დეტალი ჩემი ტრესტში მუშაობის პერიოდიდან: ციხისძირისა და ბუკნარის მეურნეობებს დავალება მისცეს მე დავესახელებინე აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ეს იწყინა მეურნეობის დირექტორმა მ. ჯ-ამ. რავა, შენ გუშინ მოდი და დეპუტატობის კანდიდატად უნდა წამოგაყენოთ, ძველებმა რა დავაშავეთო. მე გაეხუმრე, ძველებს არ გენდობიან-თქო. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში მიჩივლა ამის გამო. იქედან საჩივარი კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტს გადაუგზავნეს, ბიუროზე განიხილეს და აბსურდულად ჩათვალეს. ბიუროზე საოლქო კომიტეტის მდივანმა ვლადიმერ სანიკიძემ საჩივრის ავტორს პირში უთხრა: შეგშურდა ხომ ახალგაზრდა სპეციალისტი რომ დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს, შენ ვერასდროს ეღირსები წინსელას, ახალგაზრდა კაცს, შვილად რომ გერგება, რანაირად წამებ ცილსო?

ხუთი თვის შემდეგ ბექირ ხალვაში, როგორც მათემატიკოსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა კომისრად გადაიყვანეს, მე კი მიწათმოქმედების სახალხო კომისრად დამნიშნეს. 40 დღის შემდეგ ჩემი უდანაშაულო ძმა გაანთავისუფლეს ციხიდან. ორი ოთახი მე მეკავა, სამი კი მას, ბექირს, თუმცა ოთახები არასოდეს ჩაგვიკეტია, ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. მალე, ახლად მიშენებულ სახლში სამოთახიანი ბინა მივიღე და ასე გავიყავით ორ ოჯახად.

1939 წლის 18 მარტს ბათუმში ერთ-ერთ რესტორანში ვისადილე. საღამოს მოხსენებით გამოვდიოდი ბათუმის ვაჭრობის მუშაკთა კლუბში. ტრიბუნასთან უეცრად წამერთვა მუხლებში ძალა და დავეცი. უბრალო შემთხვევა მეგონა. შინ წამიყვანეთ, სოფლიდან ჩამოსული დედა მელოდება-მეთქი. სახლში საშინელი ღებინება ამიტყდა, სტრიქტინით აღმოვჩნდი მოწამლული. 16 დღე შინ ვიწექი. მერე საავადმყოფოში გადამიყვანეს. ყურადღება და მზრუნველობა არ დამკლებია. რამდენიმეჯერ მინახულეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მიხეილ ბარამიამ, მინისტროა საბჭოს თავმჯდომარემ — ისმაილ ფუტკარაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბათუმში სტუმრად ჩამოსული საქარ-

თეელოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ფილიპე მახარაძეც კი მოიყვანა. გამოკეთების შემდეგ, ისმაილ ფუტკარაძის და ბექირ ხალვაშის მზრუნველობით, ექიმისა და ექთნის თანხლებით კურორტ კისლოვოდსკში გამგზავნეს, საიდანაც სრულიად გამოჯანმრთელებული დაბრუნდი სამუშაოდ.

1940 წლის ზაფხულში აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად დიდად კაცთმოყვარე გიორგი თვალჭრელიძე აირჩიეს. მართლაც, მამობრივი ზრუნვით მეპყრობოდა. არ მომეშვა, ვიდრე არ დავქორწინდი.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი — როგორ მიმიღეს აჭარაში: საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, იოსებ კოჭლამაზაშვილის მისაღებში სამი კაცი საუბრობს. ერთმა იკითხა — მიწათმოქმედების კომისრად ვიღაც კახელს ნიშნავენო. ასე, ამიტომ მიაჩნდა ალბათ, რომ საშუალო სასწავლებელი კახეთში დავამთავრე, უმაღლესშიც ძირითადად კახელებთან მქონდა ურთიერთობა და საუბარშიც კახურად ვუქცევდი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში გულთბილად მიმიღეს. ისე კი ვგრძნობდი, მამოწმებდნენ — როგორი აგრონომიული განათლება მქონდა, პოლიტიკურიც. ერთხელ ავტომანქანის მძღოლი გამომიტყდა, რომ მოხვედით, ასე ამბობდნენ, რამდენიმე თვეში ალბათ შეცვლიან მაგ ბიჭსო, მაგრამ ახლა სხვაგვარად ლაპარაკობენ.

კომისრის პირველი მოადგილე ბატონი აკაკი კეკელიძე იყო. ჩემზე 25 წლით უფროსი, გამოცდილი აგრონომი და დიდი ორგანიზატორი, მეორე მოადგილე — ბატონი სოსლან ჩიხლაძე, 15 წლით უფროსი, განაგებდა მეცხოველეობას. კომისარიატში ყველაზე ახალგაზრდა მე ვიყავი და ესეც ზრდიდა ჩემს პასუხისმგებლობას.

მუშაობა თანამშრომლების გაცნობით დავიწყე. კოლექტივი ერთსულოვანი იყო, რაც ძალიან მიადვილებდა მუშაობას. მაღალი კვალიფიციის სპეციალისტები იყვნენ მეციტრუსეობაში — ნესტორ მესხიშვილი, მეჩაიეობაში — გრიშა პეშკოვი, მეხილეობასა და მევენახეობაში — მიხეილ ნუცუბიძე, ერთწლიან კულტურებში — მიტროფანე ღლონტი, ვეტერინარიაში — ბორის იშოევი და სხვები, რომელთაგან ბევრი რამ ვისწავლე და ამისათვის ახლაც ვემადლიერები მათ.

აჭარის სოფლის მეურნეობა იმ დროსაც მრავალდარგოვანი იყო: მოჰყავდათ ჩაი და ციტრუსი, თესდნენ სიმინდს, ლობიოს, ბრინჯს, სოიოს, იწევდნენ ბახჩეულს და ბოსტნეულს. მისდევდნენ მეაბრეშუმეობასაც. ხელვაჩაურის რაიონში ჰემშილებს 20 ათასზე მეტი ცხვარი ჰყავდათ. მარტო აჭარაში 1937 წლისათვის მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა 91000-ს აღწევდა. მთებში განვითარებული იყო მეკარტოფილეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მეფუ-

ტკრეობა, მეცხოველეობა. სამამულო ომის პერიოდში აჭარა ყოველგვარი დახმარების გარეშე ინახავდა თავს და ფრონტსაც ეშველებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

გარდა კახაბრის მეციტრუსეობის მეურნეობისა (სანერგე), რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოს მეციტრუსეობის რაიონებს ამარაგებდა სარგავი მასალით, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებში თითქმის ყველა მეურნეობას ჰქონდა საკუთარი სანერგე. მაშინ იცოდნენ მეციტრუსეობის ფასი. ისე არ იყო, როგორც დღეს, ზოგიერთი ბაღების აჩეხვით რომ იმუქრება. მაშინ, 1 ჰექტარი ციტრუსის შემოსავალი 17 ჰექტარი სიმინდის ყანისას უტოლდებოდა.

ჩემი მუშაობის პერიოდში არ მახსოვს პარტიის საოლქო კომიტეტის ისეთი პლენუმი, სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგის განვითარების საკითხი რომ არ განხილა და მასზე მიღებული დადგენილება შეუსრულებელი დარჩენილიყო. ამიტომაც, უკვე 1945 წლისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაის 5 400, ხოლო ციტრუსებს 5 026 ჰექტარი ეკავა.

ჩემი მუშაობის პერიოდში საოლქო კომიტეტის 4 მდივანი შეიცვალა. პირველი იყო იოსებ კოჭლამაზაშვილი, წარმოშობით კახელი, რომელსაც აჭარის მიწათმოქმედების მინისტრად „კახელის“ ანუ ჩემი დანიშნა ბრალდებოდა. არადა, როგორც უკვე ვთქვი, ეს ცეკაში გადაწყდა, ლავრენტი ბერიასთან.შემდეგ იყო ალექსანდრე საჯაია, ძველი ჩეკისტი. სოფლის მეურნეობას არ იცნობდა, ამიტომ რაიონებში ყოველი წასვლისას მეც თან გამიყოლიებდა ხოლმე. შემდეგ მიხეილ ბარამია მოვიდა. სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განვითარებით დაინტერესებული კაცი. და ბოლოს გიორგი თვალჭრელიძე — სოფლის მეურნეობის შეუდარებელი სპეციალისტი და გამოცდილი მუშაკი. მახსოვს, როდესაც ალექსანდრე საჯაია უზბეკეთის შინაგან საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს, რკინიგზის ვაგზალში, გაცილებისას, მიხეილ ბარამიას ჩემზე უთხრა: კარგი ბიჭია და მოუარეო, პერსპექტიული ახალგაზრდაა, არავინ შეგაცდინოს, სოფელი კარგად იცის, ამასთან არაფერი გაგიფუჭდებაო.

მიხეილ ბარამია მართლაც არ მაკლებდა ყურადღებასა და მზრუნველობას. გიორგი თვალჭრელიძის მდივნობისას კი ასეთი ამბავი მოხდა: ცენტრალურმა კომიტეტმა შეამოწმა აჭარის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა სოფლის მეურნეობის, განათლების და ვაჭრობის განვითარების თაობაზე გაწეული მუშაობის შესახებ. ეს იყო 1944 წლის გაზაფხულზე. მოსკოვიდან მიღებული მითითების საფუძველზე დადგენილების პროექტში წინასწარ ჩაწერილი იყო საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, ჩემი, ვაჭრობის მინის-

ტრის და განათლების მინისტრის განთავისუფლება. ბიუროზე გიორგი თვალჭრელიძემ თქვა: მე ვიცი ჩემი განთავისუფლება გინდათ, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მიწათმოქმედების კომისრის განთავისუფლება დიდ შეცდომად მიმაჩნია, რაც აქ სოფლის მეურნეობაზე ითქვა, თუ ეს მართლაც დანაშაულია, ჩემი უფროა, ვიდრე მინისტრისაო.

ბიურომ გაანთავისუფლა თვალჭრელიძე, ვაჭრობისა და განათლების მინისტრები, მე კი დავრჩი. მეორე დღესვე დაინიშნა საოლქო კომიტეტის პლენუმი, პირველ მდივნად, როგორც წინასწარ იყო გამიზნული, კირილე ბეჭვაია აირჩიეს, რომელიც ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნობიდან გადმოიყვანეს. თუმცა ხშირად იცოდა გახსენება, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რომ ვიყავი, ფოთისთანა ხუთი ქალაქი მქონდაო.

კირილე ბეჭვაია, სხვადსხვა მიზეზით, ცუდ განწყობილებაში იყო ჩემი ცოლის ძმასთან — გენერალ კოტე ბზიავასთან. კოტემ მითხრა, მაგი შენ არ გაგახარებს, თბილისში წამოდიო. ბეჭვაიასთან სამი თვე ვიმუშავე, დავრწმუნდი, რომ ჩემი ცოლის ძმა მართალი იყო, ამიტომ ვითხოვე განთავისუფლება. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში გადამიყვანეს მებაღეობის მთავარი სამმართველოს უფროსად. თან შემინარჩუნეს ის ხელფასი და სხვა შეღავათები, აჭარაში რომ მქონდა. რვა თვის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ დამაწინაურეს.

ერთ დღეს მეძახის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი და მეკითხება — გორული ატამი, ხიდისთაური, იხარებს თუ იცი გაგრაში? მართალი გითხრა, მე ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ თავი დავიზღვიე — დავაზუსტებ-მეთქი. იმავე დღეს მოველაპარაკე საქართველოში გამოჩენილ მეხილეს, ალექსი ბუჩუკურს, დადებითად მიპასუხა, მაგრამ უკეთესი იქნება თუ გაზაფხულზე გადავიტანთო. დღის მეორე ნახევარში ისევ დამიბარა პირველმა მდივანმა. მასთან იყო საქართველოს მიწათმოქმედების კომისარი სიმონ ხოშტარია. გადაწყდა, რომ მეორე დილით გორის საცდელი სადგურიდან ამოვიღებდით 15—20 ძირ ატამს, კომით. მე ამის გამოცდილებაც აჭარიდან მქონდა. 50 ძირი მსხმოიარე მანდარინი გადავიტანეთ აგვისტოში მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. სიმონ ხოშტარიას რჩევით კიდევ ერთი აგრონომი დავიმატეთ — სპარტაკ მამაცაშვილი. ჩემთვის ცოტა უცნაური კი იყო მეევნახე აგრონომის ამ საქმეში ჩართვა, მაგრამ არაფერი მითქვამს. მე, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელს, დამევალა მცენარეების ამოღების ორგანიზაცია და გაგზავნა. მცე-

ნარეებს გაგრაში მამაცაშვილი გავაყოლეთ. ღამის 12 საათზე დამირეკა ჩარკვიანმა და მკითხა: შენ და ბუჩუკური რატომ არ გაჰყევითო. მე ბოდიში მოვიხადე, გრიპი მაქვს, გამოვმჯობინდები და ხვალ საღამოს წავალ-მეთქი. კანდიდი გაცხარდა, ახლა ყველა მატარებელი გასულია, მე დავავალებ რკინიგზის უფროსს, ელექტრომატარებელს გამოჰყოფს და ახლავე გაემგზავრეო. ნახევარ საათში უკვე მატარებელში ვიყავით, სამტრედიის იქით გზა ელექტროფიცირებული არ იყო და ორთქლმავალში გადაგვსვეს. სოხუმში შევჩერდით, სადაც აკაკი მგელაძემ საჭმელი მოგვიტანა. დღის მეორე ნახევარში უკვე გაგრაში ვიყავით. იქ დაგვხვდა საქართველოს უშიშროების მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ავქსენტი რაფავა, გენერალ-მაიორი მიჩურინი და ჩვენი სპარტაკ მამაცაშვილი. ავქსენტი რაფავამ ატმების დარგვა იმავე დღეს მოინდომა. ამინდი ფუჭლებოდა. მეც დავეთანხმე. რაკი ღამე უნდა გვემუშავა, პროექტორებიც იყო საჭირო, კიდევ ამწე და ასამდე კაცი. ყველაფერი შეგვისრულეს. შევთანხმდით — ორმოების ამოღებას უხელმძღვანელებდა სპარტაკ მამაცაშვილი, დაკვალვასა და დარგვას ალექსი ბუჩუკური, მე — მცენარეების ჩამოტვირთვას (თითო ძირი თავისი კომით 1,5 — 2 ტონას იწონიდა) და უშველებელ ორმოებში ჩარგვას. ღამის 12 საათზე გათოვდა. უსაშველოდ გაძნელდა საქმე. ერთ-ერთი მცენარის ჩარგვისას ჯარისკაცს ფეხი დაუსხლტდა, მე მას ვეხმარებოდი და ისე დამაწვა სიმძიმე, თითქოს წელში გადამწყვიტა. მაინც ადგილზე დავრჩი. ღამის 2 საათზე ლამაზი ატმის ბაღი უკვე გაშენებული იყო.

მერე ლოგინად ჩავვარდი. ავქსენტი რაფავამ ექიმები სოხუმიდან ჩამოიყვანა, სოჭიდან და სტავროპოლიდანაც. მეექვსე დღეს ფეხზე დავდექი. ამდენი აბბავი იმიტომ ატყდა, რომ სტალინს ბაღი მოწონებია და რაფავასათვის უოქვამს — ის ბიჭები აუცილებლად მომგვარეთო.

ჯგუფის უფროსი გაგვიცივდა, ორ დღეში მოვარჩენთო, უთქვამს რაფავას. კარგი, მაგრამ გრიპი მეც არ შემყაროთო, უხუმრია ბელადს. დეკემბრის ბოლო დღეები იყო. მინისტრმა გვითხრა, სტალინი გიბარებთ, თქვენზე ინფორმირებულია და ამ საღამოს მივდივართ, ბიჭებს არაფერი უთხრაო. სასწრაფოდ მოვემზადეთ, წვერი ავქსენტი რაფავას უსაფრთხო საპარსით გავიპარსეთ.

ღამის 22 სააოი და 20 წუთია. იოსებ ბესარიონის ძის ერთსართულიან ბინაში შევდივართ. სტალინი საშინაო კოსტიუმში გამოწყობილი ღიღინებს და მაგიღას ხუთი პერსონისათვის აწყობს. რომ შეეედით, ჩვენსკენ მობრუნდა, -- მოხვედით ჩვენებურებო?!.

ავქსენტი რაფავამ სათითაოდ წარგვადგინა. მე, როგორც ნაბრძანები მქონდა, წინ ვიდექი. სტალინი მეკითხება: — თქვენ, ჩვენებურო, განათლებიი ხარი სუბტროპიკოსი თუ როგორც ქობულეთელი?

— იოსებ ბესარიონის ძევ, ქობულეთელიცა ვარ და განათლებითაც სუბტროპიკოსი, ეუპასუხე გაუბედავად.

— ოო, მაშ ნამდვილი სუბტროპიკოსი იქნებითო.

მერე ალექსი ბუჩუკურს მიუბრუნდა: — თქვენ მეხილე ხართ? ჩვენში, გორშიც არიან ბუჩუკურები.

— მეც გორიდანა ვარ, იოსებ ბესარიონის ძევ.

— მეტად სასიამოვნო. თქვენა? — ჰკითხა სპარტაკ მამაცაშვილს.

— იოსებ ბესარიონის ძევ, მე სოფელ მოხრისიდან გახლავართ.

— დიდად სასიამოვნო. შენ კი, ვიცი ვინცა ხარ, — გაუღიმა რაფავას, — მაშ დავსხდეთ.

იოსებ ბესარიონის ძე და ავქსენტი ნარიკის ძე ერთ მხარეს სხდებიან, მეორე მხარეზე კი ჩვენ, სამნი.

— აბა, ჩვენებურებო, რა ამბავია ქვეყანაზე?

რა თქმა უნდა, ვერაფერს ვბედავთ, სტალინთან რის თქმა შეგვეძლო.

— ჰა, ხმა ამოიღეთ, რა ამბავია ქვეყანაზე?

ისევ ვდუმვართ.

— მე ვთხოვე კოტეს (კ. ჩარკვიანი), კარგი სპეციალისტები გამოეგზავნა და ბაღიც გაეშენებინათ. ბაღი კარგი კი გაგიშენებიათ, მაგრამ მუნჯები გამომიგზავნეო არ მითხოვია, — იხუმრა სტალინმა.

— ესენი არიან თვიანთი დარგის დიდი სპეციალისტები, თქვენი ერიდებათ, იოსებ ბესარიონის ძევ, — ახსნა დუმილის მიზეზი გენერალმა რაფავამ.

— მაშ, გამოდის, რომ მაგათ უნდა დავალეევინოთ, ავალაპარაკოთ. ხმა ამოიღეთ!

— კონიაკს დალევთ, ჩვენებურებო, თუ ქართულ არაყს? — გვეკითხება მასპინძელი.

კონიაკი ვარჩიეთ, დაგვისხა.

— მერე არ ინანოთ, ძალიან კარგი ქართული არაყი მაქვს.

სტალინი ყველაფერს აკეთებს, სიტუაციას რომ შევეგუოთ, ავლაპარაკდეთ.

— ღვინოს რომელს ინებებთ?

წინ თელიანი მედგა, ფიქრის თავი არ გვქონდა, — თელიანს-მეთქი, — ჩავილაპარაკე.

წავიდა, სერვანტთან ჩაიჩოქა, ღვინოს დაუწყო ძებნა.

— რომელმა თქვა თელიანიო, მოვიდეს და მომეშველოს.

ვაი შენს მამიას, ნატკენი წელით ძლივს დავდივარ, მაგრამ რა გზა მქონდა. რამდენიმე ბოთლი თელიანი ვიპოვეთ, ჭიქები ყველას 50-გრამიანები გვედგა.

ღილის 6 საათსა და 20 წუთამდე ვუსხედით მაგიდას. იოსებ ბესარიონის ძე გვთამადობდა.

პირველი სასმისით, ფეხზე ადგომით ლენინი აღდეგრძელა, მერე სამშობლო, ჩვენი სადღეგრძელოები, როგორც ვიჯექით იმ რიგით წარმოთქმა. პირველი მე მომიწია. თითქმის ერთი საათი მოუნდა აჭარაზე, მეცხოვრებასა და მეჩაიეობაზე საუბარს.

აჭარლები უღალატო ხალხია, — განაგრძო სტალინმა, — მე რომ ბათუმში აჭარელი მეგობრები არ მყოლოდნენ, ახლა არც ვიქნებოდი. მანთაშვილის ქარხანაში ბათუმის პოლიცმეისტერი შემოვიდა ერთცხენიანი ორთვალათი (პრალიოტკით). წინ სამი კაცი დახვდა. მოკლე საუბრის შემდეგ ცხენი იმ საამქროსაკენ გამოაქანა, სადაც მე ვიყავი. ამ დროს მას გადაუდგა ქარხანაში ერთი ყველაზე ღაბალი მუშა ოსმანა გურგენიძე. პოლიცმეისტერს საუბარი გაუბა, თან ყურზე ხელს იდებდა ვითომ კარგად არ ესმოდა. პოლიციელი ჩამოქვეითდა. გაფაციცებით ვადევნებთ თვალს. პოლიციელმა პრალიოტკაზე ასელა დააპირა, როგორც კი ცალი ფეხი შედგა, ჰაერში წვდა ოსმანა, პოლიციელი ძირს დაანარცხა, რევოლვერი წაართვა, ტყვიები გამოუყარა. მერე ჩემთან მოვიდა: — კობა, პოლიცმეისტერი შენს დასაპატიმრებლად მოდიოდა, მე მას რევოლვერიდან ტყვიები გამოვუყარე.უამისოდ სამსახურიდან მოგხსნიან-მეთქი, კიდევ შევიბრალე, თან გავაფრთხილე: თუ დღეს ბათუმიდან ოჯახიანად არ აიბარგები, იცოდე, ვერ იცოცხლებ-მეთქი, ახლა ჩვენ გავიდეთ რკინიგზის სადგურში და თუ არ შემისრულა რაც ვუთხარი, მერე მე ვიცი.

საღამოს გავედით რკინიგზის ვაგზალში და ერთი პატარა შენობის სახურავიდან მიმოვათვალიერეთ იქაურობა. პოლიცმეისტერი ვაჟკაცი ყოფილა, პირობა შეუსრულა — მეუღლით და ორი პატარა გოგონათი, ფარდაგში შეფუთული ბარგით მატარებელს გაჰყვა.

სტალინი მიუბრუნდა რაფავას და ჰკითხა: — მართალი ვყოფილვარ?

შემდეგ მოულოდნელად, თითქოს გაბრაზებულიაო, მკითხა:

— ერთი მითხარი, ჩვენებურო, რატომ ხართ სპეციალისტები წინააღმდეგი ჰექტარზე 1000 ძირი ციტრუსი რომ დაირგოს?

— არა ვარო, — ვუპასუხე მე, — ოღონდ ფორთოხალი 700—750 ძირზე მეტი არ უნდა დაირგოს. ამასვე გვთხოვდა ლავრენტი ბერია, მაგრამ არ დავეთანხმეთ.

— „ასტავტე" ბერია, მაგრამ ჰექტარზე ფორთოხალიც 1000 ძირი დარგეთ.

— მაშინ, იოსებ ბესარიონის ძევ, ფორთოხალზე ტყემალს მოეკრეფთ, გავბედე შეპასუხება და ამ საკითხზე საუბარიც ამით დამთავრდა.

მერე სიტყვა გამოჩენილ მეციტრუსეებზე ჩამოვარდა. ჩემი მასწავლებელი მიხეილ ტაბლიაშვილი დავუსახელე, რომ დიდი სპეციალისტია, ჩაქეში საცდელი მცენარეები დაეღუპა, ამის გამო დოცენტობაც არ მისცეს, თბილისშია ახლა, ნახევრად მშიერი. 20 დღეც არ იყო გასული, მოსკოვში დაგვიბარეს მე და ტაბლიაშვილი. მიქოიანს დაერეკა კანდიდ ჩარკვიანთან, დამიძახეს. ანასტას ივანეს ძეს ვუთხარი, მე რაც ვიცოდი, უკვე მოვახსენე იოსებ ბესარიონის ძეს, ამიტომ ტაბლიაშვილთან ერთად ბატონ დავით ცქიტიშვილს თუ მიიწვევეთ, დიდი სპეციალისტია, მის რეკომენდაციებს ანგარიში უნდა გაეწიოს-მეოქი. ასეც მოხდა. მალე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელშიც ეკითხულობთ: „ნება დაერთოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს, ჰექტარზე გააშენონ 700–750 ძირი ფოთოხალი“. ამით ისიც მტკიცდება, რომ იოსებ სტალინი, თუკი დაარწმუნებდი, ჯიუტად კი არ ეწინააღმდეგებოდა სხვათა მოსაზრებებს, არამედ მხარს უჭერდა.

ახლა ისევ სტალინთან შეხვედრას დავუბრუნდეთ, საუბარი გულთბილად მიმდინარეობდა. უეცრად სპარტაკ მამაცაშვილს ხველება აუტყდა. უხერხულობა მასპინძელმა გაფანტა. სპარტაკს მხარზე ხელი მოუთათუნა. ცოტა ღვინო მოსვი, არ იციან ჩვენებმა სტუმრის მოვლა, გაგაცივეს. მერე ჰკითხა: მაამაცაშვილი, ალბათ თავადი იქნებით?

— არა, იოსებ ბესარიონის ძევ, ჩვენი წინაპრები კი ყოფილან თავადები, მაგრამ ჩვენები გლეხები იყვნენ.

— რა, განა თავადები ცუდები იყვნენ? წელან აქ ღვინოს არჩევდით, ვინ შექმნა თუ იცი? — თავადებმა, ქართული კულტურა, ვინ შექმნა? — თავადებმა, დამწერლობა? — თავადებმა და, ბოლოს რევოლუცია ვინ მოახდინა?— თავადაზნაურობიდან გამოსულები უძღოდნენ წინ მუშებსა და გლეხებს და ამით გავიმარჯვეთ. ბოლოს ნამეტანი მოუვიდათ, აურიეს, „საჩექმე მოითხოვეს“, რომ დაკანონებულიყო და ჩვენც „ავურიეთ“.

ქართლში „საჩექმეს“ თურმე იმას ეძახდნენ, პატარძალს პირველი სამი ღამე ოავადთან რომ უნდა გაეტარებინა.

შეხვედრის ბოლოს სტალინმა თქვა: — ქართლში კარგი ანეკდოტები იციან და გაიხსენეთ რამეო, შენ კი, — მომიბრუნდა მე, სადღეგრძელო უნდა გეითხრაო. ანეკდოტის თქმა ვერავინ გაბედა, ამიტომ თავად თქვა ორი თუ სამი მარილიანი ანეკდოტი. ქართლელების ვალი მე მოვიხადე, ახლა ჯერი შენზეაო, წამაქეზა.

კარგა გრძელი სადღეგრძელო გამომივიდა, მოეწონა, დახეთ ამ ღმერთძაღლს, გული შიგნიდან ჰქონიაო.

მაშინ ვუთხარი, — იოსებ ბესარიონის ძეე, როგორც ხედავთ, ჩემსა და ამათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, ბევრი კი ავტონომიის მიზეზით თათარსაც გვეძახის.

— ეგ აჭარლების საქმეა, როცა უნდათ თვითონ გააუქმებენ ავტონომიასო. ანდა იმ 121-მა სახელმწიფომ უნდა გააუქმოს, რომლებმაც შექმნესო, — ამიხსნა დინჯად.

შევნიშნე, რომ სიმპათიურად განეწყო ჩემდამი.

აბა ახლა სიმღერაც ვთქვათო, შემომთავაზა დიდმა მასპინძელმა. დავიწყე: „ნეტავი, ქალო, მე და შენ ყანები მოგვცა ზიარი". თვითონაც ამყვა, მერე შუბლზე მაკოცა და მითხრა: — კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ სიმღერა არ გცოდნიაო. მერე რაფაელს მიუბრუნდა — ეს ყმაწვილი ისევ აჭარას უნდა მიუბრუნოთ, გადაეცი კოტეს (ჩარკვიანი მ. გ.) ეს იქაა საჭიროო.

მე ძირითადად გადმოგეცით შეხვედრის ის მონაკვეთი, რომელიც შემეხებოდა, საერთოდ კი, როგორც ვთქვი, შეხვედრამ 6 საათს გასტანა და ყოველივეს აღწერა შორს წაგვიყვანს.

ერთს კი ვიტყვი მხოლოდ: სტალინი უჩვეულოდ თბილი მასპინძელი გამოდგა, ძალიან უბრალოდ გამოიყურებოდა, ისეთ ატმოსფეროს ქმნიდა, რომ შინაურულად გვეგრძნო თავი. ახლა რომ ვკითხულობ რიბაკოვების, ვოლკოგონოვებისა და სხვათა წიგნებს, განცვიფრებასა და აღშფოთებას ვერ ვფარავ, რას არ კადრულობენ, რას არ აბრალებენ და რანაირად არ წამებენ ცილს. ამ მართლაც დიდ პიროვნებას, რომელიც სულაც არ იყო ისეთი, რანაირადაც სურთ დახატონ უმადურებმა და ისტორიის ფალსიფიკატორებმა. რამ იზამ, პირს ვერავის აუკრავ, აქ მახსენდება მწერალ ლევან სანიკიძის ნაოქვამი: „სტალინი მარადიული სიდიდეა ისტორიაში, რომელსაც ვერც ვინმეს ქება-დიდება შემატებს რამეს და ვერც ლანძღვა-გინება დააკლებსო."

სტალინს აჭარლობასა და თათრობაზე კი ჩამოვუგდე სიტყვა, მაგრამ ყველაფრის თქმა ვერ გავბედე. არადა, ბევრი უკულმართობა კი იყო. ამასთან დაკავშირებით ასეთი მომენტი მახსენდება:

ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარემ, 1939 წელს, მიიღო აჭარის სახალხო კომისართა საბჭოსაგან გამონაცვალი საწერი მაგიდა. ამ დროს ყველას უჭირდა, მით უფრო პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. ჰოდა, ამ გაჭირვებულმა აღმასკომის თავმჯდომარემ (გვარს არ ვასახელებ), მისი კაბინეტიდან ძველი მაგიდა სახლში წაიღო. რაიკომის მდივნის სახელზე შევიდა ანონიმური წერილი, რომელმაც იგი პარტიის საოლქო კომიტეტში აფრინა, გამოიყო კომისია საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის კარლო ლომაძის ხელმძღვანელობით, ჩემი და ერთი ჟურნალისტის

მონაწილეობით. წავედით და თვალმა რა ნახა — ერთი დარკილული, ფორმადაკარგული, სახლში რომ არ შეიტანებოდა ისეთი მაგიდა იყო. რაიკომის პირველ მდივანს რომ მოვახსენეთ ეს, გაცხარებით თქვა: მე ვუთხარი, სახლში არ წაიღო-თქო, არ დამიჯერა... ასეთ კაცს რაიკომის პირველ მდივნობაზე აქვს პრეტენზიაო. აგერ საიდუმლო წერილი, თქვენ გურულები ხართ, ეს კი, — ჩემკენ გამოიშვირა ხელი, — კახელია, ნახეთ რას წერს ბერია: „აფხაზები, აჭარლები და ოსები არ იქნენ დაშვებული პირველ მდივნებად, პროკურორებად, შინსახკომის და უშიშროების ხელმძღვანელებად, მოსამართლეებად". ყველაფერი ნათელი გახდა, გავიგე, საიდან მოდიოდა დამამცირებელი დისკრიმინაცია. უბრალოდ გავიხსენოთ, რომ აჭარაში პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნები იყვნენ: არტაშ გეურქოვი, იოსებ კოჭლამაზაშვილი, ალექსანდრე საჯაია, მიხეილ ბარამია, გიორგი თვალჭრელიძე, კირილე ბეჭვაია, დავით ხანთაძე, გრიგოლ ცინცაბაძე, მაკარ ჯაში. ბერიას დაპატიმრების შემდეგ პირველი შემთხვევა იყო, რომ ვასილ მჟავანაძემ გაბედა და საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აარჩევინა დიდებული ქართველი, ხულოს რაიონის მკვიდრი, დავით მამულაძე. მანამდე ბათუმის საოლქო კომიტეტის მდივნად, საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ და სხვა პასუხსაგებ თანამდებობებზეც უმთავრესად მეგრელებს იწვევდნენ.

მე მინდა მკითხველმა სწორად გამიგოს. ვინ დაიჯერებს, რომ აჭარაში არ მოიძებნებოდა, ადგილობრივი მკვიდრი ქართველი — საოლქო კომიტეტის, ან საქალაქო კომიტეტის, ან რაიკომის პირველ მდივნად რომ გამოდგებოდა და აუცილებელი იყო ამ თანამდებობაზე, ვთქვათ, თბილისელი სომხის ჩამოყვანა?!

განა კურიოზი არაა, პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველ მდივნად ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მზარეული რომ აირჩიეს, მაშინ, როცა მეორე და მესამე მდივნებად — ადგილობრივი მკვიდრნი, თბილისის უნივერსიტეტდამთავრებულები ისხდნენ? მზარეული ამ განათლებულ ახალგაზრდებს იმით „სჯობდა", რომ აჭარელი არ იყო.

ერთი კია, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებად ადგილობრივ კადრებს ნიშნავდნენ, მაგრამ მათაც აუცილებლად სხვა რეგიონებიდან მოწვეული მოადგილეები უნდა ჰყოლოდათ.

აქვე გავიხსენებ უნდობლობის ერთ ასეთ დეტალსაც: 1947 წლის შემოდგომაზე აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. პარტიის საოლქო კომიტეტში შემთხვევით წავაწყდი სტალინის ხელმოწერილ დეპეშას, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე რომ იყო გამოგზავნილი. იგი პირდაპირ ხელიდან გამოვგლიჯე ბეჭვაიას. ეს, სტალინის ხელმოწერილი

დოკუმენტი ფულის რეფორმას ეხებოდა, 1947 წლის დეკემბერში რომ განხორციელდა.

მე პირდაპირ მინისტრთა საბჭოში წავედი და „ვეჩეთი“ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბატონ კ. ჩარკვიანს დაეურეკე. მასაც გაუკვირდა — არ ვიცოდი, ასეთ სისაძაგლესაც თუ სჩადიანო, ახლავე გავარკვევ და დაგირეკავო. ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს უშიშროების მინისტრი ავქსენტი რაფავა მესაუბრა, მერე, ეტყობა, ბეჭვაია შეახურეს, რომელმაც ასეთი რამ მითხრა: — „რაზვე სტოიტ აბ ეტომ გავარიტ!“ — მე ვუპასუხე, — „სტოიტ“ კი არა, თუ ამას არ დავადგენ, მინისტრთა საბჭოში საერთოდ არ შევალ-თქო. — კარგი, კარგიო, აქამდე იმიტომ იყო ასე, რომ ისმაილ ფუტკარაძე ვერ ერკვეოდა საკითხებში, შენ კი განათლებული კაცი ხარ და ყველაფერი მოგვარდებაო.

არადა, მკითხველმა მინდა იცოდეს, ბატონ ისმაილ ფუტკარაძეს ვერავინ ასწავლიდა ვერც მუშაობას და ვერც ქართველობას, მას მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული უმაღლესი კომუნისტური უნივერსიტეტი, მანამდე კი ბათუმის პარტიული სკოლა, ასე რომ, არავის გასაქილიკებელი არ იყო. მიმაჩნია, რომ ის დიდი ქართველი და პარტიის ერთგული კაცი იყო, დიდი პასუხისმგებლობით იღვწოდა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზეც. იგი გულითადად მეგობრობდა ყველასთან, ვინც ღირსი იყო მეგობრობისა.

მახსოვს, ზოგიერთი ძლიქვნელი, ჩემთვის რომ ესიამოვნებინა, ფუტკარაძეს აუგად იხსენიებდა, მე კი ყველას საკადრის პასუხს ვაძლევდი — ისმაილ ფუტკარაძეს ჩემზე უკეთ არავინ იცნობს და კრინტიც არ დაძრათ მასზე-მეთქი. არადა, რანაირად მოექცნენ ამ ღვთისნიერ კაცს, ცილისწამებით იმსხვერპლეს.

არ შეიძლება მკითხველს არ ვუამბო იმ ძველ პარტიულ მუშაკებზე, ქვეყნის ნამდვილ პატრიოტებზე, ზოგ-ზოგი დღეს რომ აუგად იხსენიებს.

ერთხელ გამომიძახეს ცენტრალურ კომიტეტში კანდიდ ჩარკვიანთან, აქ იყო მიხეილ ბარამიაც, მის გვერდით ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე სიმონ ჭელიძე იდგა, რომელთანაც იმ დღეებში ერთ სამსახურებრივ საკითხზე მქონდა დავა. მეგონა, ამისათვის დამტუქსავდნენ, მაგრამ კანდიდ ჩარკვიანი მეუბნება: — ამხანაგო გოგოლიშვილო, თქვენ სიმონთან დავაც კი გქონდათ, მაგრამ თვითონ აყენებს საკითხს, რომ მის პირველ მოადგილედ დაგნიშნოთ. სიმონი აგრონომი არ არის, მოადგილე, ალიოშა ქემოკლიძე ინჟინერ-მექანიზატორია, ის კარგად კი არ-თმევს თავს საქმეს, მაგრამ სოფლის მეურნეობაში მაინც ძირითადი აგრონომიაა და თქვენ უნდა იტვირთოთ ეს მოვალეობა.

— მე, ამხანაგო კანდიდ, არამც თუ აგრონომი არა ვარ, უმაღლესი განათლებაც არა მაქვს, საშუალო განათლების პედაგოგი ვარ, ამიტომ ამხა-

ნაგმა გოგოლიშვილმა ფაქტიურად უნდა წაიყვანოს სოფლის მეურნეობის აგრონომიული სფერო და მე ამის იმედი მაქვსო, — განაცხადა სიმონ ჭელიძემ.

ხედავთ, მასზე რომ თქვეს აგრონომი არაა, ეს კი არ ითაკილა, სულგრძელად გაიზიარა შენიშვნა. წარმოიდგინეთ, რარიგ სასიამოვნო იყო ასეთ კეთილ კაცთან მუშაობა. არც ერთ აგრონომიულ საკითხს არ გადაწყვეტდა უჩემოდ.

1946 წლის გაზაფხულზე ბატონმა კანდიდმა დაგვიძახა სიმონს და მე, — წაიკითხეთ დღევანდელ „პრავდაში" უკრაინის მშრომელთა მიმართვა ამხ. სტალინისადმი? — გვკითხა პირველმა მდივანმა. გაზეთის ოთხ გვერდზე უკრაინის მშრომელთა ვალდებულებებია, თუ რას გააკეთებენ სოფლის მეურნეობაში 1946 წელს. წელან დამირეკა ამხანაგმა მალენკოვმა და მითხრა — მეორე წერილი საქართველოსი უნდა იყოსო. ეფიქრობ, ამხანაგმა გოგოლიშვილმა უნდა ითავოს წერილის მომზადება.

მე სიამოვნებით შეეუდექი საპატიო დავალების შესრულებას. საჭირო გახდა 54 რაიონის ხელმძღვანელთან ტელეფონით რამდენიმეჯერ დაკავშირება. წერილის პროექტის მომზადების შემდეგ ხელმძღვანელთა გამოძახება, ციფრების და ფაქტების შეჯერება, წერილის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განხილვა, ფართო მასებისათვის გაცნობა და ბოლოს ამხანაგ სტალინთან ჩატანა. როცა ყველაფერი ეს მოთავდა, კანდიდ ჩარკვიანმა მითხრა — ხვალ დილით უნდა გაფრინდე მოსკოვში და წერილი ამხანაგ მალენკოვს ჩაუტანეთო. არ იდარდო, შენს დაბრუნებამდე ოჯახს მიგიხედავთო (მეუღლე მყავდა გრიპით ავად და ის ჰქონდა მხედველობაში პირველ მდივანს).

მეორე დღეს, დილით გავფრინდი მოსკოვში. იქ დამხვდა საქართველოს წარმომადგენელი საკავშირო მინისტრთა საბჭოში — ალექსანდრე ბუხნიკაშვილი. მალენკოვის თანაშემწეს დავუკავშირდი. კრემლის პატარა სასტუმროში დამაბინავეს. მეორე დილით ამხანაგ მალენკოვთან ვიყავი, მან თანაშემწეს ამხ. პომაზდნევს დაავალა წერილის გაცნობა და თუ საჭირო იქნებოდა, შესწორებების შეტანა. ასეც მოხდა. ორი დღე ვიმუშავეთ და მალენკოვს საბოლოო ვარიანტი წარვუდგინეთ. 6—7 საათი უკირკიტა წერილს და საბოლოო ტექსტი გამატანა იოსებ სტალინთან, რომელმაც ერთი ეგზემპლარი „პრავდის", მეორე კი „იზვესტიის" რედაქციაში გაგვატანა. ეს იყო ღამის სამი საათი, დილით, 7 საათზე ორივე გაზეთი მთლიანად ჩვენს წერილს ეკავა.

კრემლის სასტუმროდან დავურეკე ამხ. ჩარკვიანს, ძალიან გაიხარა და მითხრა — მადლობელი ვარ, ერთი ხუთი დღე დაისვენე მანდ, მერე ვეტყვი ამხ. ბუხნიკაშვილს და გამოგგზავნისო.

კანდიდ ჩარკვიანი უჭკვიანესი პიროვნება იყო, კარგი ხელმძღვანელი. მიელინებაში რომ წავიდოდით, საგზალი თან მოჰქონდა, რამდენიმე ბოთლი ღვინოც. იმას კი არ ელოდებოდა, როდის შესთავაზებდნენ მასპინძლები სადილს, თვითონ იწვევდა მათ. მახსოვს როგორ გაგვინაწყენდა ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი შ. ნუცუბიძე: — საქართველოში სტუმარს პურს მასპინძელი აჭმევდა და არა პირიქითო.

ამხ. კანდიდი ამით ჩვენ გვზრდიდა, მე დიდი მადლობელი ვარ მისი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რომ გავხდი, მას ვბაძავდი.

ეროხელ ამხანაგმა ჩარკვიანმა დამიძახა: — ნახე ეს წერილი, წითელწყაროს რაიონიდან ერთ პარტიის წევრს რომ გაუგზავნია სტალინისათვის — ჩვენი რაიკომის პირველი მდივანი, ვახტანგ მირიანაშვილი ძღვენებს იღებსო. ძალიან მეუხერხულა. მე და ვახტანგი ერთ და იმავე დროს ვსწავლობდით, კარგად ვიცნობდით ერომანეთს. ახლა კი ასეთ საქმეზე ჩასელა?! — კანდიდმა შემატყო და მითხრა: — მირიანაშვილი კარგი მუშაკია, მე ვეჭვობ, რომ საჩივარი მართალია. თუ მაინც დადასტურდება, სხვანაირად ვილაპარაკებთ, ეცადე, მირიანაშვილმა არ გაიგოს, რომ შენ წერილის შესამოწმებლად ხარ ჩასული, გული დაწყდებაო.

წითელწყაროში რომ ჩავედი, რაიკომის პირველ მდივანს მოვახსენე საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესამოწმებლად ვარ ჩამოსული-მეთქი. დღის მეორე ნახევარში რომელიღაც კოლმეურნეობაში კრებაზე დასწრება შემომთავაზა. უარი ვუთხარი, მაშინ მისი ბინის გასაღები მომცა, დაისვენეო. მე რაიონის შინასახკომის უფროსს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მიხეილ ელბაქიძეს დავუკავშირდი და ვთხოვე სატვირთო მანქანა იმ კოლმეურნეობაში წასასველელად, საიდანაც თითქოს ქრთამი მიუტანეს რაიკომის მდივანს. მოვიდა რაიკოოპერაციის მანქანა, თუმცა შინსახკომიდან დაჟინებით მთხოვდნენ ვილისით წავსულიყავი. ბოლოს მიმიხვდნენ, რომ ასე იყო საჭირო. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიწსახკომის აგრონომად გავაცანი თავი, ვენახების დათვალიერება მინდა-მეთქი. მან თავისი აგრონომი გამაყოლა, ამ კაცს ეშიება კიდეც და სასადილოში გამოიარეთო.

ვენახები დავათვალიერეთ,სასადილოშიც შევიარეთ, ლობიო მივირთვით; კახური ღვინოც დავაყოლეთ. თავმჯდომარეს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ მე ცენტრალური კომიტეტიდან ვიყავი. ვეუბნები, ვენახებს არა უშავს, მაგრამ სასადილოში ლობიოს მეტი არაფერი იყო, ამ დროს კი რაიკომში ქრთამებს ეზიღებით, თურმე.

— რაო?! — გაიკვირვა და კახური მრავალსართულიანი გინებაც მიაყოლა, ვინც ეგა თქვაო. — მდივანს ცოლ-შვილი თბილისში ჰყავს, დედაკაცს დედალი

მოვახარშვინე, რამდენიმე „დედას პური“ შევახვიე და 10-ლიტრიანით ღვინო წავუღე. შინ არ იყო და ისიც მეზობელს დაეუტოვე, ესაა ქრთამი? — იკითხა და ისევ შეუკურთხა კახურად.

რაიონის ცენტრში დავბრუნდი. პირველი მდივნის ბინაში მოვიკალათე. ვახტანგი ჯერაც არ დაბრუნებულიყო კრებიდან. როგორც კი მოვიდა, მკითხა — რა ქენი ბიჭო, ჭამე რამე?

— არა, მაცივარში ვერაფერი ვნახე, კარადაში არაფერია, არადა, მითხრეს, ვიღაცას უჩივლია ქრთამებს იღებსო, მართალია ეს? შენც გაიგე, ერომა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მოხარშული ქათამი, 10 — ლიტრი ღვინო და „დედას პურები“ რომ დატოვა მეზობელოთან? კაცია ახლა ამაზე საჩივრის დამწერი?!

ყველაფერი ნათელი იყო, მოხსენებითი ბარათი მივართვი ამხ. ჩარკვიანს, მასაც გაუკვირდა ასეთი სულმოკლეობა, მაინც მითხრა — წერილი სტალინის სახელზეა და მის სამდივნოს უნდა ეაცნობოთ, ამიტომ საკითხი ბიუროზე გავიტანოოო. გამოვიძახეთ რაიკომის მდივანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და წერილის ავტორი. მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი იმუქრებოდა, თუ ზომებს არ მიიღებთ, ხელახლა ვიჩივლებო. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

თითქოს ჯიბრზეო, მეორე მეგობარზე შემოსული განცხადებაც მე დამაწერეს. ამჯერადაც ლანჩხუთის რაიკომის პირველ მდივანს უჩიოდნენ, ოღონდ ბიუროს წევრები. მისთვის არაფერი დამიმალავს, პირიქით, ერთად ვსწავლობდით საჩივარში წამოჭრილ საკითხებს. ფაქტები დადასტურდა, პირველი მდივანი გაათავისუფლეს, მაგრამ საერთოდ რაიკომის მდივანი ამხ. სანიკიძე იმდენად პატიოსანი და კომპეტენტური მუშაკი იყო, რომ პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ ისევ რაიკომის პირველ მდივნად გაამწესეს.

ასე უფროხილდებოდა კადრებს კანდიდ ჩარკვიანი. ეს ფრიად დადებითი თვისებაა ხელმძღვანელისა, მით უფრო, რომ მაშინ მოქმედებდა ცნობილი დეეზი: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“

სხვა მხრივაც საინტერესო კაცი იყო. საქმიან წინადადებებს ყოველთვის ეხმაურებოდა და მხარს უჭერდა.

ერთხელ, კახეთში მგზავრობისას ვკითხე: — კანდიდ ნესტორის ძევ, რა იქნება, რომ ამ გზებზე კაკალი დავრგოთ? მოუფიქრებლად არაფერს გადაწყვეტდა. წინადადება შემოიტანე და ბიუროზე ვიმსჯელოთო. ბიუროს წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი წავიდა, მხარი დამიჭირა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ვალერიან ბაქრაძემ, კიდევ რამდენიმე კაცმა. ამხ. კანდიდმა თქვა: — კარგი, დავრგოთ ალვის ხეები, ლამაზია, ჩრდილიც აქვს, მაგრამ

კაკალი ამასთან ერთად ნაყოფსაც იძლევა, მერე რა, თუ მოსავალს ვერ დავიცავთ, გამელელ-გამომველელი რომ შეჭამს, ეს არაა საქმე? — ბოლოს საკითხი ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა და მიიღო დადგენილება ცენტრალური მაგისტრალების გამწვანების შესახებ. იმ დადგენილების საფუძველზე ბევრი კაკალიც გაშენდა და ძალიან კარგი საქმე გაკეთდა.

სხვა მაგალითებიც: ერთხელ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა გ. ალავიძემ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე დააყენა საკითხი — ჭაობის ამოშრობა ჭიანურდება, ჩაისა და ციტრუსების გასაშენებლად ფართობები შემოგველია, საჭირო შეიქნა სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც გამოძებნის დამატებით ფართობებსო. სამინისტროს წინადადებით ამ ჯგუფში უნდა შესულიყვნენ აკადემიკოსები: ტარასი კვარაცხელია და დიმიტრი გედევანიშვილი, დოცენტი შალვა გიგიბერია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ციტრუსების განყოფილების გამგის მოადგილე მ. გოგოლიშვილი. კომისიის ხელმძღვანელობა მე დამავალეს, როგორც ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკს. ვადა ორი თვე მოგვცეს. გონიოდან — ფსოუმდე, ასეთი იყო ჩვენი მოქმედების არეალი. ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბარამია ტელეფონით დაუკავშირდა რაიკომის მდივნებს, დაავალა ყოველნაირად შეეწყოთ ხელი ჯგუფისათვის. პირველად ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიონს ვეწვიეთ. აჭარის სოფლის მეურნეობის იმდროინდელი მინისტრის ამხ. მამულაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საქმეს და ყოველნაირად დაგვეხმარა.

საღამოობით ბათუმის ბულვარში გამოვდიოდით. ჩემი მასწავლებელი, დიმიტრი გედევანიშვილი, ხშირად საყვედურობდა: ამ ლამაზ ბულვარს სკამები არ ყოფნის. ერთი წყლის დასალევი ადგილი ძლივს მოუძებნიათ, ისეა ჩაბნელებული, დაღამდება თუ არა, ჩამკვდარია ყველაფერიო. ერთ შეხვედრაზე ბატონმა გედევანიშვილმა საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ბეჭვაიას უსაყვედურა: — რაა ეს, წინაპრებმა ასეთი კარგი ბულვარი დაგვიტოვეს და თქვენ კი ცუდად უვლითო.

ბეჭვაიამ თავი იმართლა: — ომი ახალი დამთავრებულია, სახსრები არა გვაქვსო, თუმცა მერე კი გაითვალისწინა ეს შენიშვნები.

ჩვენმა კომისიამ წარმატებით დაამთავრა მუშაობა. გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, აფხაზეთის რაიონებში გამოყოფილ იქნა 1000 ჰექტარი ფართობი. ყველაზე მეტი — აფხაზეთში, განსაკუთრებით გაგრის რაიონში.

ეხლაც თვალწინ მიდგას გაგრის რაიონის პირველი მდივანი შოთა გეთია, როგორი ენთუზიაზმით იყო ჩართული საქმეში, ან გალის რაიკომის პირველი მდივანი ანტიპო ჭეჟია, რომელიც ჩვენზე ნაკლები სპეციალისტი როდი იყო.

ამ ექსპედიციის შემდეგ მივლინებაში ვიყავი ქუთაისსა და წყალტუბოს რაიონში. დედაქალაქში რომ ჩავედი, გავიგე, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაეთავისუფლებია აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ისმაილ ფუტკარაძე, თანაც შეთხზული ბარლდებებით. მათ შორის სტალინის პორტრეტის უტაქტოდ მოხსენებისათვის.

ერთი კვირის შემდეგ ამხ. კანდიდმა გამომიძახა: — ხომ გახსოვს, სტალინმა რომ შემომითვალა შენზე — ისევ აჭარაში დაბრუნეთო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ უნდა გაგაგზავნოთო, მეუბნება პირველი მდივანი. ვიუარე, ბეჭვაიასთან ვერ ვიმუშავებ-მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ალექსანდრე თოფურიძემ მომახალა: — რატომ ამბობთ უარს აჭარაში წასვლაზე, ხომ იცით რას ნიშნავს ეს, ბოლოს შეიძლება პარტიიდან გაგრიცხონო.

ავუხსენი, ვისი მიზეზითაც წამოვედი, ის კაცი ისევ აჭარაში იყო. კარგი მუშაკია, მაგრამ მე მას გამოვექეცი და აღარ დაებრუნდები-მეთქი. თანაც ჩემმა ცოლის ძმამ, გენერალ-მაიორმა კოტე ბზიავამ, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე იყო, მითხრა — ისმაილ ფუტკარაძე სულ ტყუილად გაანთავისუფლეს, ანგელოზივით კაცი, შენი იქ წასვლა შეუძლებელიაო.

გადის ორი თვე. სტალინი ისვენებს გაგრაში, მასთან ჩადის ამხ. კ. ჩარკვიანი. სტალინმა ჰკითხა — როგორ მუშაობს ის ბიჭი აჭარაში რომ გაუშვითო. უცბად ამხანაგი კანდიდი გონს მოსულა, მერე მოგონებია, რაფავას რომ დაავალა სტალინმა ჩემი აჭარაში გაგზავნა და ძალიან კარგადო, უპასუხნია. ჩვენ ზეგ შავწყალაზე ხომ უნდა წავიდეთ, იქნებ ისიც წაგვეყვანაო, უთქვამს სტალინს.

კანდიდ ჩარკვიანი სასწრაფოდ დაკავშირებია ცენტრალური კომიტეტის მდივანს ალექსანდრე თოფურიძეს: გამოიძახეთ ამხანაგი გოგოლიშვილი და ხვალ დილით გრიგოლ კიკნაძის სამთავრობო ვაგონით გამოუშვით ჩემთანო.

ალექსანდრე თოფურიძე ძალიან მკაცრი კაცი იყო, დილით სამსახურში დამირეკა და მითხრა: — წადი სახლში, მოემზადე, ვაგზალში დაგხვდება ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ამხ. გ. კიკნაძე და წახვალო.

— სად-მეთქი, რომ ვკითხე, —კიკნაძემ იცისო.

როსტოვის მატარებელზე მიბმულ სამთავრობო ვაგონთან მელოდნენ გრიგოლ კიკნაძე, მისი მოადგილე დავით ტაბატაძე და ვიქტორ გოცირიძე. მე და ვიქტორი ვაგონში შევედით. მატარებელი დაიძრა.

— რაშია საქმე, სად მივდივართ? — ვეკითხები ვიქტორს.

— აბა რა ვიცი, — მიპასუხა მან, — სადაც ვაგონს მოხსნიან იქ ჩავალთო.

დილით ჩავედით. კარებზე დააკაკუნეს — გავიხედე, ამხანაგ კანდიდის დაცვის უფროსი, დავით ჩიბურდანიძე იყო. ბატონი ვიქტორი დაძინებული დავტოვე, ჩვენ კი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აგარაკზე ავედით. იქ პირველ მდივანთან ერთად იყვნენ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პეტრე შარია და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე. კანდიდ ჩარკეიანმა გარზე გამიხმო და მითხრა:

— ამ თავსხმა წვიმამ თუ გადაიღო, მე და შენ სტალინთან უნდა წავიდეთ, შავწყალაზე (ჩორნაია რეჩკა) ვყავართ დაპატიჟებული. თუ სტალინმა გკითხოს რაიმე აჭარაზე... გუშინწინ გიკითხა, — როგორ მუშაობს ის ბიჭი, აჭარაში რომ გავუშვითო. არ მიდისო, ვერ გავუბედე თქმა, მოვატყუე, ყველაფერი კარგად მიდის-მეთქი. რომ არ დამეთანხმო, მაშინ გამოდის, თავი უნდა მოვიკლაო. რაღა მექნა?

გარეთ კი გადაუღებლად წვიმდა. ამ დროს სტალინის დაცვიდან დარეკა გენერალმა ელასიკმა — შავწყალაზე წასვლა გადაიდოო. ამის შემდეგ ამხანაგი კანდიდი „ვეჩეთი" დაუკავშირდა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივანს მალენკოვს, გულახდილად უამბო ყველაფერი და სთხოვა შეკითხვის წესით დაევმტკიცებინე პოლიტბიუროს, მალენკოვიც დაეთანხმა. იმავე საღამოს ადლერის აეროდრომიდან გამაფრინეს მოსკოვში, მეორე დილით მიმიღო მალენკოვმა, იგი ხომ სტალინისადმი წერილის მომზადების დროიდან მიცნობდა. სწრაფად დამამტკიცეს. მერე სოხუმში ჩავფრინდი, იქიდან — ბათუმში. აეროპორტში აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შ. შარაშიძე დამხვდა. პირდაპირ მინისტრთა საბჭოში მივედით, როგორც კი კაბინეტში დავჯექი, დავურეკე და მივესალმე საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. კ. ბეჭვაიას, დიდი სიხარული გამოხატა, მასთან მიმიწვია. საუბარი ისე წარიმართა, რომ ყველაფერი მისთვის უნდა დამეჯერებია და ყველაფერი მისი ნებით გამეკეთებინა. გაფრთხილებასავით გაისმა მისი სიტყვები: — სწორედ ამაზე არ მეთანხმებოდა ისმაილ ფუტკარაძე და კისერიც მოიტეხაო.

ერთი სიტყვით, პირველი დღიდანვე უნდოდა „ავეყვანე ხელში" და მისი ქონა-მორჩილი ვყოფილიყავი.

ამას, ცხადია, ვერ დავუშვებდი. ჩვენს შორის ურთიერთობამ მეტად ოფიციალური ხასიათი მიიღო. ყოველნაირად ცდილობდა, ახლოს არ მიეშვი. დღესაც კარგად მახსოვს — ზესტაფონისა და წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივნები მყავდა სახლში სტუმრად, ბეჭვაიაც მოვიპატიჟე, არ მოვიდა. მერე მინისტრთა საბჭოს სალიბაურის აგარაკზე მეწვიენენ საქართველოს წყალთა მეურნეობის მინისტრი ილია ლალიძე, ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და იდეოლოგიის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე

კოტე ბზიავა. ვთხოვე, წამოსულიყო, ერთად გვესადილა. უკმეხად მიპასუხა: — დრო არა მაქვს, საქეიფოდ თქვენ გცალიათ და იქეიფეთო.

სიტუაცია იძაბებოდა. ჩემდა დაუკითხავად, როცა ბათუმში არ ვიყავი, მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი გაათავისუფლა და თავისი კაცი დანიშნა. მკითხველმა ისე არ გამიგოს, რომ ჩვენ მხოლოდ ერთმანეთთან დამოკიდებულების გარკვევით ვიყავით დაკავშირებული. არა, საოლქო კომიტეტი თავის საქმეს აკეთებდა, მინისტრთა საბჭო — თავისას. რახან მე სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ვიყავი, მინისტრთა საბჭო ძირითადად სოფლის საკითხებით იყო დაკავებული. ამან ათქმევინა ბეჭვაიას 1948 წლის იანვრის პარტკონფერენციაზე — შენ მხოლოდ სოფლის მეურნეობის საკითხებზე ილაპარაკეო. ვერ მოვითმინე და ვუთხარი, ვის აქვს უფლება დელეგატს დაავალოს რა ილაპარაკოს-მეთქი და სულ სხვა თემაზე გადავიტანე აქცენტი. აჭარაში თურქული გადმონაშთების ლიკვიდაციის პრობლემები წამოვწიე წინა პლანზე — რატომ ვითმენთ-მეთქი, სოფლებს, მდინარეებს თურქული სახელები რომ ჰქვია, ბევრს გვარიც და სახელიც თურქული აქვს. პარტიულ კონფერენციას დავპირდი, რომ მე მოვუვლიდი ამ საქმეს. მიუხედავად იმისა, პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები აშკარად თუ ფარულად ხელს მიშლიდნენ, პირობა მაინც შევასრულე.

საკავშირო ცაკის 1933 წლის დადგენილებით მოქალაქეს, თუ მარტო გვარს იცვლიდა, ან მარტო სახელს, სახელმწიფო ბაჟი 15 მანეთი უნდა გადაეხადა, თუ ორივეს ერთად — 30 მანეთი. დავუკავშირდი სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრს ამხ. ზვერევს, რომელმაც განმიმარტა: თქვენ, რესპუბლიკის მთავრობა ხართ და, შეგიძლიათ, როცა საჭიროა, თქვენს ტერიტორიაზე დროებით შეაჩეროთ დადგენილების ესა თუ ის ნაწილი. ოღონდ ჩაწერეთ ვის ეხება ეს, მოსახლეობის რომელ ფენას. ჩვენც ჩავწერეთ — აჭარაში მცხოვრები ქართველები, რომლებიც იბრუნებენ თავიანთ მამაპაპურ გვარებსა და სახელებს, განთავისუფლდნენ საამისო სახელმწიფო ბაჟისაგანო.

ამასობაში ვიღაცამ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, კანდიდ ჩარკვიანთან მიჩივლა — ძალით გვიცვლის სახელებს და თუ თქვენ არ ჩაერევით, მაგ თქვენს გამოგზავნილ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ცხენის კუდზე გამოვაბამთ და ისე დაგიბრუნებთო. წერილი არასერიოზულად ჩაუთვლიათ, მაგრამ მაინც გადმოუგზავნიათ საოლქო კომიტეტისათვის.

მე არც კი ვიცოდი ისე, საოლქო კომიტეტს ხულოდან გონიოში ჩამოსახლებულ გლეხებთან წარმომადგენლები გაეგზავნა. როგორც ჩანს, მათი

განწყობილების შესასწავლად. და მათ, ერთ დღეს, საოლქო კომიტეტის ბიურო რომ დამთავრდა, წაიკითხეს ის ანონიმური წერილი. სიტყვა აიღო ერთმა იმათგანმა, ვინც გონიოში იყო და განაცხადა: — მე როგორც ბიუროს წევრი, ხელს ვიბან ამ საქმიდანო. ბიუროს თითქმის ყველა წევრმა და რაიკომების მდივნებმა კი ასევე „ხელის დაბანა" ამჯობინეს. ეს აჭარლების საქმეაო. ბიუროს ერთადერთმა წევრმა — ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დირექტორმა ზაქრო ფირიაშვილმა დამიჭირა მხარი: დავანებოთ თავი ამ კაცს, ბოლოს და ბოლოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა, ხელს მაინც ნუ შევუშლით, დანარჩენი თვითონ იცისო.

ბიურომ დადგენილება ვერ მიიღო.

ერთი კვირის შემდეგ თბილისიდან საქართველოს პატრიარქი, კალისტრატე ცინცაძე მეწვია და სინოდის დადგენილება გადმომცა — იმ ქართველებისათვის (აჭარლები), რომლებიც იბრუნებენ თავიანთ ძველ სახელსა და გვარს, ეკლესიამ თანხა უნდა გადაუხადოს, აჭარის ბანკს ჩაურიცხოს ნახევარი მილიონი მანეთიო.

პატრიარქს ავუხსენი, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას კი დიდი მადლობა მოვახსენე.

ასე იყო თუ ისე, მოსახლეობის 90—95 პროცენტმა შეიცვალა სახელი და დაიბრუნა ქართული გვარი. ახლაც არიან ისეთები, რომლებმაც არ ისურვეს ეს. მერე რა, ეს პროცესი სრული ნებაყოფლობის პრინციპით მიმდინარეობდა. ამდენად არც შეცვლა, არც შეუცვლელობა ვინმემ საძრახისად არ უნდა ჩათვალოს.

მინისტრთა საბჭოში აუარებელი საქმე იყო. ყოველივე იმაზე, რასაც მაშინ ჩვენი გავლენის სფერო სწვდებოდა, საუბარი შორს წაგვიყვანდა და აუცილებელიც არაა, მაგრამ ზოგი რამ, განსაკუთრებით რაც ჩამრჩა მეხსიერებაში, არ შემიძლია არ გავიხსენო.

ეს, პირველ რიგში, ბათუმის ზღვისპირა პარკის კეთილმოწყობას ეხება. ზემოთ უკვე ვთქვი, პროფესორი გედევანიშვილი რანაირ საყვედურსაც ეუბნებოდა ბეჭვაიას — რას გიგავს ეს შესანიშნავი პარკიო. ბულვარის კეთილმოწყობაში მხარი ამიბეს შესანიშნავმა ქართველებმა, ბათუმის გამწვანების დიდმა მოამაგემ იასონ გორდეზიანმა და აგრონომებმა — გარსევან კალანდაძემ და გიორგი გაბრიჩიძემ. არ იყო თანხები, მაგრამ იყო შესაშური ენთუზიაზმი. დავუკავშირდით მეურნეობათა ხელმძღვანელებს, ვთხოვეთ წაგვშველებოდნენ საშვილიშვილო საქმეში. ბულვარის 500 მეტრზე გაგრძელების გეგმა 15 დღეში შესრულდა. (ეს დასაწყისი იყო იმ დიდი საქმისა, რომელსაც ახლა აჭარის ხელისუფლება ადგამს გვირგვინს. სხვას ალბათ არავის,

როგორც ბატონ ასლან აბაშიძეს, შეეძლო სასწაული მოეხდინა — ასე მოკლე დროში ამნაირად შეეცვალა სახე ბათუმის ზღვისპირა პარკისათვის. ეს ნამდვილი საოცრებაა, მალე ალბათ, ჩვენს პარკს ბადალი არ მოეძებნება. ასეა, როცა გული გულობს და ძალაც გერჩის, როცა დღეს საკეთებელს ხვალისათვის კი არ გადადებ, არამედ ხვალინდელსაც დღეს აკეთებ!..).

მერე საზაფხულო თეატრის აშენების იდეა დაიბადა. მანამდე აქ ქართული დივიზიის სასულე ორკესტრი უკრავდა უბრალო ფანერით მოჭედილ წამოხურულში. ორკესტრისა და გარნიზონის ხელმძღვანელობამ წინადადება შემოიტანა — იქნება პატარა ესტრადა მაინც გავაკეთოთო. პროექტის შედგენა ითავეს არქიტექტორმა კახა ჯავახიშვილმა და ბოგდან კირაკოსიანმა.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ესტრადის ნაცვლად კარგი საზაფხულო თეატრის პროექტი გამოგვიეიდა. ამ დროს ქალაქის სამშენებლო ტრესტის მმართველი იყო ჩემი შორეული ნათესავი და ახლო მეგობარი, ნაღდი ქართველი — კოკი (ნიკოლოზ) აბაშიძე. სწორედ მას ვთხოვე ბულვარში თეატრის აგება. ამას ფული სჭირდებოდა. ფინანსთა მინისტრმა მარკოზ ლომთათიძემ უმტკივნეულოდ გადაჭრა ეს საკითხი. დაიწყო მშენებლობა. ყველა მხარში ამოგვიდგა. განსაკუთრებით აღვნიშნავ ბათუმის საზღვაო სასწავლებლის დირექტორის, დიდებული ბათუმელის — იაშა ოგანეზოვის თანადგომას, 30 კურსანტს რომ ახმარებდა ყოველდღე მშენებლებს. დიდი ამაგი დასდო მშენებლობას, აგრეთვე, გარნიზონის უფროსმა გენერალ-მაიორმა გიორგი ყუფარაძემ.

ხე-ტყის მასალა გვჭირდებოდა. თანაც გამორჩეული, მაღალი ხარისხისა, იმის ფიქრში ვიყავით, თუ სად გვეშოვა, რომ ბედად საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. ალავიძე ჩამოვიდა. „გოროდოკში" სამინისტროსათვის რუსეთიდან მოლებული მასალა იყო გადმოტვირთული. ესეც თქვენო,— გვითხრა, თან დასძინა: — ეკლესიასა და თეატრზე გახარჯული მასალა ალალიაო.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დირექტორმა ზაქრო ფირიაშვილმა 83 ცალი 12 მეტრი სიგრძის 10-დიუმიანი რკინის მილები მოგვიტანა. დიდებულმა მამულიშვილმა, აჭარაოპკავშირის თავმჯდომარემ, ქესკინ მეგრელიძემ — 6 ტონა თუნუქი, კოკი აბაშიძემ მხოლოდ მოხელეების ხელფასი მოგვთხოვა. კახა ჯავახიშვილმა ჩამოიყვანა თბილისიდან მხატვარი ბენო, რომელსაც 82 ათასი მანეთი გადავუხადეთ. ამით დამთავრდა თითქოს ეს დიდებული საქმეც. მაგრამ ავ კაცს რა გამოლევს ქვეყანაზე. ვიღაცამ იჩიელა — ფინანსთა მინისტრმა მარკოზ ლომთათიძემ უკანონოდ გამოჰყო 300 ათასი მანეთი თეატრის მშენებელთა ხელფასისათვისო. რამდენიმე თვის შემდეგ, მოს-

კოვიდან მომავალს, თბილისში შემხვდა ამხანაგი მარკოზი და მითხრა: საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შეტანილი აქვს ცეკაში საკითხი და ალბათ ხვალ მომხსნიანო. კანდიდ ჩარკვიანი ვინახულე, ეთხოვე ნახეთ ერთი, რა საზაფხულო თეატრი ავაგეთ, კავშირში არ იქნება იმისთანა და ახლა ფინანსთა მინისტრს თუ მომიხსნით, მე მინისტრთა საბჭოში ვეღარ შევალ, თუ ვინმე დასასჯელია, მე ვარ პირველ რიგში-მეთქი. კ. ჩარკვიანმა დაურეკა განყოფილებას, მოხსენით ეს საკითხი დღის წესრიგიდანო

ასეთია ამ თეატრის აშენების ისტორია (სამწუხაროდ, საზაფხულო თეატრი, რომელიც მართლაც ამშვენებდა ქალაქს, 1998 წლის გაზაფხულზე ხანძარმა შთანთქა). მაგრამ მოდით, გავაგრძელოთ საუბარი, ისევ ბულვარის კეთილმოწყობაზე, საჭირო იყო პარკის განათება, პედინსტიტუტთან მდებარე ციხის გადატანა. არადა, გვიმტკიცებდნენ — ამ ციხეში სტალინი იჯდა და როგორ ვახლებთ ხელსო. დადებითადაც რომ გადაწყდეს საკითხი, ხარჯები თქვენმა მინისტრთა საბჭომ უნდა გასწიოსო. საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველა შემთხვევაში გადატანის წინააღმდეგი იყო. მერე ამხანაგი ვიაჩესლავ მოლოტოვი ჩავრიეთ საქმეში და ყველაფერი მოგვარდა. შინაგან საქმეთა მინისტრს დაურეკა, რა არის, ბათუმში პატიმრები ისევ ბულვარში გყავთო.

ამასობაში, ეს იყო 1950 წელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მოახლოვდა. წესით, 12 დეპუტატი უწევდა აჭარას, მაგრამ რად გინდა — რვა ადგილზე საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის ხელმძღვანელს გვთავაზობდნენ. ძლივს მივაღწიე, რომ ერთი ადგილობრივი ქალის კანდიდატურა გამეყვანა — ნაზიკო გოგიტიძე, შესანიშნავი, სათნო და განათლებული ადამიანი, საყოველთაო პატივისცემითა და ავტორიტეტით რომ სარგებლობდა. დეპუტატად აირჩიეს აგრეთვე ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჩინებული კაცი და ორგანიზატორი ლევან წულუკიძე.

გაზაფხულზე სესია იყო დანიშნული. მოვამზადეთ საკითხები — საკავშირო დონეზე რომ უნდა გადაწყვეტილიყო. ეს იყო ბათუმის საზღვაო ვაგზლის რეკონსტრუქცია, ბათუმ-ხულოს გზის კაპიტალური შეკეთება, მდინარე ჭოროხის ნაპირის გამაგრება, ბათუმის აეროპორტის მშენებლობა, საგეგმო კომისიიდან სამშენებლო მასალებისა და ავტომანქანების მიღება. ამასთან დაკავშირებით წერილი შევადგინეთ სტალინის სახელზე.

ყველაფერი ეს ვაჩვენე ამხ. კ. ბეჭვაიას და ვთხოვე დოკუმენტებზე მასაც მოეწერა ხელი. უარი მტკიცა, არათუ ხელის მოწერა არ ისურვა, საერთოდ არაა საჭირო წერილების ჩატანაო.

გამგზავრების დღეც დადგა. ბეჭვაია და მე სამტრედიაში შევუერთდით თბილისიდან და სომხეთიდან მომავალ დეპუტატებს. მე კუპეში თბილისის საქალაქო

კომიტეტის მეორე მდივანთან, სერგო იშხანოვთან მოვხვდი. მეორე დილით სოხუმის რკინიგზის ვაგზალში მე და იშხანოვი ბაქანზე ვსაუბრობდით. კანდიდ ჩარკვიანმა დაგვინახა და ვაგონში მიგვიწვია. იქ დაგვხვდნენ სომხეთის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გრიშა არუთინოვი და ჩვენი ცეკას მდივანი მაქსიმე ბალავაძე. დრო ვიხელთე და ამხანაგ კანდიდს სტალინისათვის გადასაცემი წერილები ვაჩვენე, ისიც ჯუთხარი, ბეჭვაია ხელს არ აწერს და იქნებ თქვენ ოხოოოთ-მეთქი. ჩარკვიანმა მითხრა: ხვალ მოსკოვში რომ ჩავალთ, ეგ წერილები ჩვენს წარმომადგენლობაში გადაბეჭდვინე და მარტო შენი ხელისმოწერით ჩააბარე სტალინის სამდივნოს. იქიდან გადაუგზავნიან ადრესატებს და შეგვატყობინებენ ვისთან და როდის უნდა მიხვიდე. ასეც მოვიქეცი. მეორე დღეს სამდივნოში მითხრეს: მოლოტოვთან და კაგანოვიჩთან მიდითო.

მოლოტოვთან ორი დღის შემდეგ ვიყავი. მან ბათუმის აეროდრომის საკითხზე საკავშირო უშიშროების მინისტრს დაურეკა და უთხრა: — უვიცობა იქნება ვიფიქროთ, კაპიტალისტურმა ქვეყნებმა არ იციან, რომ ჩვენ აეროდრომებს ვაშენებთ, მიეცით ახლავე მითითება, ნება დართონ ბათუმში აეროდრომის მშენებლობაზე, აქვე დაელაპარაკა სამოქალაქო ავიაციის უფროსის მოადგილეს, შალვა ჭანკოტაძეს, ნება გეძლევათ ბათუმში აეროდრომი ააშენოთო. საზღვაო ვაგზლის შესახებ კი დავალება მისცა საზღვაო მინისტრს. თუ საჭირო გახდეს, შემოიტანეთ წინადადება და ჩვენ მხარს დაგიჭერთო.

ამდენი მხარდაჭერით გათამამებულმა ვთხოვე — ბარემ მატარებელიც დაგვინიშნეთ, ბათუმი-მოსკოვი-მეთქი. ეს საკითხი სამინისტრომ წყალტუბოს ხარჯზე გადაწყვიტა — ერთ დღეს იელიდა მოსკოვი-წყალტუბო, ერთ დღეს — მოსკოვი-ბათუმი. მერე მინისტრის მოადგილეს შეეხვდი, სახელი არ მახსოვს, გვარად კი გოცირიძე იყო, მითხრა, ჯერჯერობით დღეგამოშვებით იკმარეთ, მერე ყოველდღე ივლისო.

სხვა საკითხები, კაპიტალურ დაბანდებას რომ ეხებოდა, პოლიტბიუროს წევრის, კაგანოვიჩისათვის გადაეგზავნათ. მალე სასტუმროში კაგანოვიჩის სამდივნოდან დამირეკეს — ხვალ, 13 საათსა და 20 წუთზე ლაზარ მოისეევიჩთან უნდა იყოთო. ცოტა ადრე მივედი. მისაღებში აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე დამხვდა, ისიც მიღებას ელოდებოდა. ჩემი ჯერიც დადგა. კაგანოვიჩს მაგიდაზე ჩემი წერილები და განყოფილებების მიერ უკვე მომზადებული პასუხები ედო. — თქვენ რა, აქ ძმაკაცები ხომ არ გყავთ ჩემს აპარატში, ყველაფერზე დადებითად რომ რეაგირებენ? — გამეხუმრა მასპინძელი; არადა, მართლაც მხარს მიჭერდა საგეგმო კომიტეტის კავკასიის ჯგუფის უფროსი ქალბატონი საფინა, რომელმაც ყველა საკითხზე დადებითი დასკვნა მოამზადა, მაგრამ ეს არ გამიმხელია.

— აბა, 10 მსუბუქ მანქანას როგორ გაძლევენ, ამდენი ჩინეთსაც ვერ მივეცითო, — ისევ იხუმრა ლაზარ მოისეევიჩმა.

ეს იყო ძალიან გულთბილი და საქმიანი მიღება, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ 1951 წლისათვის ის ჩაგვისვამდა გეგმაში ბათუმი-ხულოს გზის კაპიტალურ შეკეთებას. მდინარე ჭოროხის ნაპირების გამაგრებისათვის ნაცვლად 40 მილიონისა, 1950 წლისათვის მოგვცეს 41 მილიონი, 18 ვაგონი დახერხილი ფიცარი, 10 სატვირთო და 11 მსუბუქი ავტომანქანა. იმდენად გავუთამამდი, ვუთხარი — თქვენმა აპარატმა 10 მანქანა გაიმეტა, იქნებ ერთიც ორხიდიანი თქვენ დამიმატოთ-მეთქი. აჰა! ამასაც მოგცემო. ნავთობის მრეწველობის მინისტრს, ბაიბაკოვს დაურეკა — ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის გამოშვებული ბიტუმის გადაჭარბება მთლიანად დაუტოვეთ აჭარასო. ბოლოს შევბედე და ბათუმში მოვიპატიჟე, პირობა მომცა, აუცილებლად ჩამოვალო.

ერთი წლის შემდეგ, 1950 წლის აგვისტოში, ხულოში ვიყავი საქმეზე. რაიკომის მდივანთან ერთად ადრე დილით გავედით სოფლებში. ღორჯომში ვიყავით, რაიკომიდან ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული სექტორის გამგემ ბორის ხოშტარიამ დამირეკა — ამხ. კაგანოვიჩი და ამხ. ჩარკვიანი ჩამოვლენ დღეს ბათუმში, აუცილებლად უნდათ გოგოლიშვილთან შეხვედრა. ამის თაობაზე ჩვენ გუშინ ბეჭვაიას ველაპარაკეთ, მაგრამ მაინც ვრეკავთო. ოუმცა ჩემთვის არაფერი უცნობებიათ, დღის სამ საათზე ბათუმში ვიყავით. კაგანოვიჩი გადამეხვია, მე პირობის კაცი ვარო.

საპატიო სტუმარს დავათვალიერებინეთ მდინარე ჭოროხის ნაპირსამაგრი სამუშაოები, ბათუმის ბულვარი, ახლად დამთავრებული საზაფხულო ოეატრი, რომელმაც დიდად აღაფრთოვანა, ჩარკვიანს მიუბრუნდა — წარმოადგინეთ ორი კაცი სტალინურ პრემიაზე. მე მოვახსენებ სტალინს, რომ ბათუმის საზაფხულო თეატრი ნამდვილი შედევრია, გაუხარდება, რომ საქართველოში ასეთი დიდებული შენობა აუგიათო. სამწუხაროდ, პრემიაზე წარდგენა ვერ მოხერხდა...

საღამოს ამხ. კაგანოვიჩის, ამხ. კ. ჩარკვიანის და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის გრიგოლ კიკნაძის საპატივცემულო ვახშამი მწვანე კონცხზე, უმაღლესი საბჭოს დასასვენებელ სახლში გავმართეთ. გვიან ღამით სტუმრები სპეცმატარებლით წყალტუბოს გაემგზავრნენ.

არ შემიძლია ცალკე არ გამოვყო დიდებული ქართველი, კეთილშობილი კაცი გრიგოლ კიკნაძე. ბათუმ-ქობულეთის მიმართულებით, მახინჯაურთან მისვლამდე, საავტომობილო გზას შლაგბაუმით კეტავდნენ, მატარებელს რომ გაეელო. ავარიები მაინც ხდებოდა. ერთხელ, სწორედ მაშინ, როდესაც გრი-

გოლი და მისი მეგობარი, საბჭოთა კავშირის რკინიგზის მინისტრის მოადგილე ამხ. გავრილოვი ბათუმში იყვნენ, ამ მონაკვეთზე მატარებელმა მძღოლიან ერთად მოკლა ერთ-ერთი რაიონის შინსახკომის განყოფილების უფროსი. ძალიან განიცადეს ეს უბედური შემთხვევა. უყოყმანოდ გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო გვირაბის გაყვანა, გადაწყვიტეს და მოაგვარეს კიღეც. დააკმაყოფილეს ეს ჩვენი თხოვნაც — მახინჯაურის რკინიგზის ვაგზალთან, პატარა მღინარე საკალმახეზე ხიდის აგებისა და ჭაობის ამოშრობის თაობაზე. ამით სააეტომობილო გზაც გასწორდა და მახინჯაურმაც მაშინ მიიღო დღევანდელი კეთილმოწყობილი დაბის სახე.

თავიდან რომ მეგონა, არც ისე ადვილი ყოფილა მოგონებების ქაღალდზე გადატანა, ხან რა ეპიზოდი მოგეძალება და ხან რა, არ იცი რომელს მიანიჭო უპირატესობა, რისი თქმა როდის და სად სჯობს, ამიტომ მკითხველი ნუ გამიმტყუნებს, თუ ზოგჯერ თანმიმდევრობით ვერ მივდივარ, ხან ქრონოლოგიას ვარღვევ, ხანაც თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით ვერ მივყვები მოვლენებს. ახლაც უკან მიხდება მიბრუნება. 1949 წლის გაზაფხულზე თბილისიდან შემატყობინეს, რომ ვიქნებოდი დელეგაციის წევრი, რომელიც 15 დღით მიემგზავრებოდა ჩეხოსლოვაკიაში და თან დაისვენებდა ცნობილ კურორტ კარლსბადში. ჩემს გარდა იქნებოდნენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვასო გოგუა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზაქრო ჩხუბიანიშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მიხეილ ბარამია, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ დელბა. მოსკოვიდან გაურენის წინ მალენკოვის თანაშემწემ დამირეკა — გიორგი მაქსიმილიანეს ძე ტაშკენტშია, დარეკა — მამია ალექსეევიჩი უჩემოდ არ წავიდესო. ამან დამაფიქრა, ათასნაირი ეჭვი გაჩნდა, დრო იყო ისეთი! რა ხდება, რაიმე საიდუმლო დავალებას ხომ არ მაძლევენ, მაგი აჭარელია და საზღვარგარეთ ეყოლება ვინმეო.

ეს ჩემი მესამე შეხვედრა იყო მალენკოვთან. მან ბოდიში მოიხადა, აპარატის მუშაკთა უტაქტობის გამო, ხომ შეიძლება ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნების შემდეგ შეეხვედრილიყავითო.

საქმე კი, აი, რაში ყოფილა — სტალინის სახელზე შესულა ანონიმური განცხადება: „აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნაცვლად იმისა, ხალხს ემსახუროს, ჩაქვის ფილიალში დისერტაციას ამზადებს, ფილიალის დირექტორი გიორგი გოძიაშვილი და მამია გოგოლიშვილი ლაბორტორიას არ სცილდებიანო. ფოტოც დაერთოთ, თარიღიც წაეწერათ, კვირა დღისა აღმოჩნდა, რაც ჩემზე ნაკლებად არ გახარებია ეს მალენკოვს და წერილს დააწერა: ამხ. კ. ჩარკვიანს, ღირს დაინტერესდეთ.

ამით მორჩა ყველაფერი.

მეორე დღეს, დილით თვითმფრინავზე გამაცილეს. პრაღის აეროპორტში ჩვენი საელჩოს ავტომანქანა დამხვდა. მარშალ კონევის აგარაკზე მიმიყვანეს, იქ იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო. მეგობრებს ვუამბე, რაზეც დამტოვა მალენკოვმა, თბილისში რომ დავბრუნდებით, საკითხს ალბათ მაშინ განიხილავენ-მეთქი. ამხ. ბარამიამ ხელი ჩაიქნია, არაფერი არაა აქ განსახილველიო. არც განუხილავთ. კარლსბადში ყველანი ჩვენი სპეციალობით ვიყავით დაინტერესებულნი, მე როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, უმეტესად სოფლებში დავდიოდი.

სამწუხაროდ, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული გამიმიზეზდა, ბედი არ გინდა?! ზაქრო ჩხუბიანიშვილმა გერმანიაში ჩვენს თანამემამულეს, ბოგდან ქობულოვს დაურეკა, რომელმაც მეორე დღესვე ბერლინელი პროფესორები ჩამოიყვანა, სამ დღეს დარჩნენ, ოპერაციაა საჭიროო, დაასკვნეს. არ დავეთანხმე. საინტერესოა, რომ გერმანელმა პროფესორებმა თან ჩამოიტანეს ჩვენი სამკურნალო წყლების რუკა, მასზე ნაჩვენები იყო ბორჯომის წყალიც, მაგრამ „უწერას" ყველაზე მაღალ შეფასებას აძლევდნენ. აუცილებლად წადიო, მირჩიეს. წასვლით ვერ წავედი, მაგრამ ჩემი ონელი მეგობრები სისტემატურად მიგზავნიდნენ „უწერას". დიდხანს ასე გავიტანე თავი, მაგრამ ბოლოს მაინც ეგნატე ფიფიამ მიხსნა — გამოჩენილმა პროფესორმა და ჩემმა დიდმა მეგობარმა. ოპერაციამ კარგად ჩაიარა და საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი.

ჩეხოსლოვაკიაში ყოფნისას კიდევ უფრო განმტკიცდა გრიგოლ კიკნაძისადმი ჩემი მეგობრობა. ავადმყოფს თავს მეელებოდა მისი მეუღლეც — შესანიშნავი ქალბატონი, მამაცაშვილის ქალი. გრიშას მეშვეობით დამიმეგობრდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სხვა ხელმძღვანელი მუშაკებიც — დავით ტაბატაძე, ვიქტორ გოცირიძე, დავით ბერიძე. ბათუმში, კაბინეტში რკინიგზის საუწყებო ტელეფონიც კი დამიდგეს. ეს მეგობრობა დამეხმარა შედარებით უმტკივნეულოდ გადამეწყვიტა საზღვაო პორტიდან ვაგზლისაკენ — ბარათაშვილის ქუჩით გამავალი რკინიგზის ხაზის აღება და სატვირთო სადგურიდან პორტში უმოკლესი გზით შესვლის პრობლემა, რომელიც ჩემი აჭარიდან გადასვლის შემდეგ დაგვირგვინდა.

მკითხველმა არ მინდა ისე გამიგოს, თითქოს ყველაფერს მე ვაკეთებდი, არ იყო ასე და არც მინდა ასე წარმოვადგინო. პარტიის საოლქო კომიტეტი, სხვა ხელმძღვანელები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ავტონომიური რესპუბლიკის წინსვლისათვის, მაგრამ რახან მოგონებებს ვწერ, არ მინდა სხვის მაგივრადაც ვილაპარაკო. იქნებ სხვებიც აპირებენ მემუარების გამოქვეყნებას.

1950 წლის დეკემბერში საკავშირო უმაღლეს პარტიულ სკოლაში გამაგზავნეს. იქ სწავლის მართლაც რომ შესანიშნავი პირობები იყო, ამ სკოლაში

ცოდნას იღრმავებდნენ რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მდივნები, მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, საოლქო კომიტეტების მდივნები, ოლქების აღმასკომების თავმჯდომარეები, მინისტრები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. მე და სომხეთის ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანმა ანტონ ქოჩინიანმა იმდენს მივაღწიეთ, რომ სამწლიანი კურსები ერთ წელიწადში გავიარეთ და ვადამდე დავბრუნდით სამშობლოში. ჩვენი ურთიერთობა მეგობრობის ფარგლებს სცილდებოდა, იგი ძმობა უფრო იყო. ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი გვქონდა იმ 14 წლის განმავლობაში, როცა ანტონი სომხეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი იყო. ასე გრძელდებოდა ანტონის გარდაცვალებამდე.

ჩემი მოსკოვში სწავლის პერიოდში იქ სამწლიანი სკოლა წარჩინებით დაამთავრა ჩვენი კუთხის მართლაც საამაყო შვილმა დავით მამულაძემ. მაგრამ მისთვის მეტი ვერაფერი გაიმეტეს და ისევ ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარეობა შესთავაზეს, ბატონი დავითი აღელვებული ჩამოვიდა ბათუმიდან, გაეგო ავად რომ ვიყავი. კრემლის საავადმყოფოში მნახა. საავადმყოფოდანვე დაეურეკე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ვთხოვე, დავით მამულაძე აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშნოთ-მეთქი, ეს წინადადება მოეწონა და მითხრა, დავითი ბათუმში არ ჩავიდეს, პირდაპირ ჩვენთან გამოცხადდესო. ერთ კვირაში დავით მამულაძე უკვე აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო. ჩემს შემდეგ თავმჯდომარედ დანიშნეს, მერე წლების განმავლობაში იყო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მოსკოვში სწავლის პერიოდში გორკის ქუჩაზე ვიქირავე ოროთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა და ცოლ-შვილიც იქ ჩავიყვანე. 1951 წლის შემოდგომაზე იქ მივლინებით ჩამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსი გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბზიავა. უკვე ვთქვი, რომ იგი ჩემი ცოლის ძმა იყო. ჩამოიტანა ჩვენებური სურსათ-სანოვაგე, ქართული ღვინო. ერთ საღამოს კოტეს მოჰყვა ჩემთვის უცნობი გენერალი — ბელორუსიის უშიშროების მინისტრი ლავრენტი ცანავა. სუფრასთან, სხვა ამხანაგებთან ერთად, მან გვითხრა: — რაღაც დიდი უბედურება გველის, არ ვიცი მთელ საქართველოს თუ მარტო მეგრელებსო, გვთხოვა არავისთვის გვეთქვა ეს.

თბილისში რომ დავბრუნდით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გაიმართა. მას საკავშირო კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ლავრენტი ბერია უძღვებოდა. კარგად მახსოვს მისი სიტყვები: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ჩარკვიანმა თავის დროზე

ვერ შეძლო დანაშაულის აღკვეთა, გამოიჩინა სრული უსუსურობა, რამაც განაპირობა მეგრელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის შექმნა. მისი წინადადებით დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლეს ჩარკვიანი, პირველ მდივნად აირჩიეს აკაკი ივანეს ძე მგელაძე. გაათავისუფლეს ბარამიაც, რომელიც მეგრელ ნაციონალისტთა მესვეურად გამოაცხადეს. მის მაგივრად აირჩიეს ვ. ცხოვრებაშვილი. კომბინატ „საქნახშირის“ უფროსი ბორის გუჯეჯიანი ჩამოაქვეითეს ამავე კომბინატის მთავარ ინჟინრად, კომბინატის დირექტორად დანიშნეს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარე ვასო გოგუა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ზაქარია ჩხუბიანიშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს ზაქარია კეცხოველი.

ამით პლენუმი დამთავრდა, მერე რაც მოხდა, ეს ჩემი კალმის საქმე არ არის.

ბევრი ქარტეხილი ტრიალებდა იმ პერიოდში. 1952 წლის დასაწყისში საქართველოდან დიდძალი ხალხი გაასახლეს, მიზეზი? რა, ვერ იპოვნიდნენ თუ?! საზღვარგარეთ ნათესავები ჰყავთო, ტყვედ არიან ნამყოფიო, 1937 წელში რეპრესირებულთა ახლობლები არიანო. მათ შორის ჩემი დეიდაშვილი ალექსანდრე აბუსერიძეც იყო. 37-ში მამა და ძმა დაუპატიმრეს, მეორე ძმა ინგლისში ცხოვრობდა, ადგენენ და ციტრუსების გადამმუშავებელი ქარხნის დირექტორი, ცოლ-შვილით გადაასახლეს ყაზახეთში.

მანამდე, იმავე გაზაფხულზე, დილის 7 საათზე, მირეკავს აჭარის უშიშროების მინისტრი: — რკინიგზის ვაგზალში მთავრობის ვაგონით ჩამოსული არიან საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზაქარია კეცხოველი და უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე, გთხოვენ, მოხვიდეთო. სწრაფად გაეჩნდი იქ, კეცხოველისა და რუხაძის გარდა, იქ დამხვდა სასაზღვრო ჯარების უფროსი (გვარი არ მახსოვს), სკამებზე ელაგა მესაზღვრეების ქუდები და ლაბადები.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ურთიერთმისალმებისა და მოკითხვის შემდეგ მომაწოდა დაშიფრული დეპეშა ი. სტალინის ხელმოწერით, რომ შეიქმნას კომისია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. კეცხოველის, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ. გოგოლიშვილისა და საქართველოს უშიშროების მინისტრის ნ. რუხაძის შემადგენლობით, რომელმაც უნდა გამოძებნოს მიწები სოფელ სარფის და ნაწილობრივ გონიოს მცხოვრებთა დაუყოვნებლივი გადასახლებისათვის. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა: ნუთუ შეიძლება ასეთი უნდობლობა?! ეს ხმამაღლა ვთქვი, მაგრამ რა გამოვიდოდა! დაახლოებით 70—80 ოჯახი უნდა გადაგვესა-

ხლებინა. ჯერ ოჩხამურისა და ცეცხლაურის მეურნეობები დავათვალიერეთ, ადგილები მოეწონათ, შემდეგ წავედით სარფში, გზად 2—3-ჯერ გაგვაჩერეს გლეხებმა — თავისებური სიფხიზლეა ეს, ჩვენი საზღვრისპირა მოსახლეობის მხრიდან, მერე მესაზღვრეთა ნაამბობმა გაგვაოცა: საზღვრის დარღვევის აღკვეთის საერთო რაოდენობის 92 % ამათ წილად მოდისო, ამ ხალხის აქედან გადასახლება ღალატია, ჩვენ ამას სტალინს ვაცნობებთო.

ჩამოვედით ბათუმში. ამხანაგმა კეცხოველმა თვითონ შეადგინა დეპეშა სტალინის სახელზე. შიფრით უნდა გაგვეგზავნა, დეპეშას მე მოვაწერე ხელი, რუხაძემ უარი განაცხადა: მესაზღვრეები მოსყიდული ჰყავთ, მეგობრობენ, მათთან ჭამენ, ქეიფობენო. დეპეშა წავიდა ორი ხელმოწერით. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ გადასახლება აღარ განხორციელებულიყო.

ეს კი, მაგრამ 1952 წლის დასაწყისში დააპატიმრეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კირილე ბეჭვაია და რაკი ლავრენტი ბერიას წერილი ისევ ძალაში იყო, საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ამხანაგი დავით ხანთაძე. მან მუშაობა დაიწყო იმით, რომ არკვევდა კ. ბეჭვაიას აჭარაში რამდენი მეგრელი ჰყავდა ჩამოყვანილი და შესაბამის თანამდებობაზე დანიშნული. მერე საოლქო კომიტეტის პლენუმს მოახსენა, რომ 230 კაცია ასეთიო. ეს კირკიმალი კუთხეების დაპირისპირებასაც ნიშნავდა, რასაც, ცხადია, არ ვიწონებდით. თუმცა ხანთაძემაც ცოტა ხანი იმუშავა, რადგან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად იმ დროს არჩეული აკაკი მგელაძე ვერ იტანდა ამ კაცს და მის მაგივრად გრიგოლ ცინცაბაძე გამოგზავნა — აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მესამე მდივანი. პლენუმზე, რომელმაც ცინცაბაძე აირჩია მდივნად, ასეთი რამეც თქვეს: აკაკი მგელაძემ აფხაზეთში იმდენი მაღალი დონის პარტიული მუშაკი გაზარდა, საქართველოს ყველა კუთხეს დაეკმაყოფილებსო. ამხ. მგელაძე და მისი ახლობელი ვასო ბალავაძე წამდაუწუმ კითხულობდნენ თუ როგორ მიდიოდა საქმე აჭარაში. ვ. ბალავაძე ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში და გვამადლიდა, ნახეთ რა კადრი გავიმეტეთ თქვენთვისო, იმასაც გვპირდებოდა, ალბათ მალე წავიყვანთ თბილისშიო. ერთ მშვენიერ დღეს მირეკავენ რკინიგზის ვაგზლიდან — აკაკი მგელაძეა ჩამოსული და სასწრაფოდ მოდითო. მე ვაგონში დამხვდნენ აკაკი მგელაძე, ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი შოთა ჭანუყვაძე და აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გრიგოლ ცინცაბაძე, ა. მგელაძე, მეუბნება — გუშინ შენი ცოლის ძმა კ. ბზიავა დავაპატიმრეთ, მოღალატე ყოფილაო, ცხადია, მეწყინა. ვიცოდი, პატიოსანი კაცი იყო, ტყუილუბრალოდ ჩაგრავდნენ. იმდენად ვიყავი დარწმუნებული ამაში, რომ აკაკი მგელაძეს მოურიდებლად ეუთხარი — ცილისწამების მსხვერპლია ეგ კაცი. ყველაფერი გაირკვევა-მეთქი.

ჩვეულებრივი ოფიციალური შეხვედრის შემდეგ გავემგზავრეთ ხულოს მიმართულებით. ამხ. ცინცაბაძე უკან დააბრუნეს — საღამოსათვის პარტიული აქტივის კრება მოამზადეო, თან დაავალეს, ვასილ ბალავაძეს დაურეკე, დღესვე ჩამოფრინდეს თბილისიდან, დაგეხმაროსო.

მოვიარეთ მთის რაიონები.

— აქ ჩარკვიანი არც იქნება ნამყოფი, — ამბობს ა. მგელაძე.

— შარშან იყო-მეთქი.

— ალბათ გავლითო. არადა, გავლით სწორედ იმ დღეს ვიყავით, არსად არ შეუხედავს, არც ერთი ობიექტი არ დაუთვალიერებია, თუ არ ჩავთვლით, კურორტ ბეშუმში სადილობას. საღამოს აქტივის კრება გაიმართა. ერთი მიზანი ჰქონდა მას და მიმართულებაც შესაფერისი მიიღო, ძველების კრიტიკა — მიწასთან გასწორება, ახალი ხელმძღვანელების ქება — ცაში აყვანა. პარტაქტივის კრების მეორე დღეს სალიბაურის აგარაკზე ამოვიდნენ ბათუმის ორივე გაზეთის რედაქტორები და ვასო ბალავაძეს ჰკითხეს: — თუ შეიძლება ამხანაგ მგელაძის მოხსენება დაგებეჭდოთო, „ეი დურაკი, რაზეე მოჟნო გავარიტ ტაკ, ეს მოხსენება იყო?! ეს იყო საქართველოს კომუნისტების 20-წლიანი პროგრამა, მე მას გადავხედავ და მოგცემთო“.

რას არ მოისმენდი იმ აქტივის კრებაზე. ერთმა ცილისმწამებელმა უსირცხვილოდ განაცხადა: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსი გენერალ-მაიორი კოტე ბზიავა მამია გოგოლიშვილმა ჩამოიყვანა. აჭარაში, რომ აქედან თურქეთში გადასულიყო, რახან ეს არ გამოვიდა, ახალციხიდან უნდა ეცადა ბედი, მაგრამ პარტიის ფხიზელმა თვალმა იქ მიუსწრო და დააპატიმრა.

საწყალი კოტე 11 თვეს იყო ციხეში. ორი ინფარქტი გადაიტანა, მაგრამ მაინც გადარჩა.

რა მექნაო, მითხრა მერე იმ ცილისმწამებელმა, მე პარტიისა მჯერაო, ახლა კი ბოდიშს ვიხდიო. კარგია, ღმერთმანი, გამოდის, რომ შეიძლება კაცი მოკლა და მერე სამარეში ჩასძახო — ბოდიშიო. ამ სიტყვებით მოვიშორე ის არამზადა.

როგორც უკვე ვთქვი, მეხსიერებას ბევრი რამ შემოუნახავს. ბევრი სასიკეთო მოსაგონარი, ბევრიც გულსატკენი, ყოველივეს თანმიმდევრულად გადმოცემა ჭირს კიდეც, ამიტომ მკითხველმა უნდა მაპატიოს, ყველაფერი ისე რომ ვერ დავალაგო, როგორც საჭიროა, ზოგჯერ თემის გამეორებაც რომ მომიხდეს, ისიც, მაგრამ ფაქტებს, რა თქმა უნდა არ გავიმეორებ.

ახლა მთელი ამბავია ატეხილი იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს რუს სამხედროებთან. ცხადია, ნორმალური, მაგრამ რა გზით,

რანაირად, ეს სხვა საქმეა. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ვართულებდეთ მას. ადრე ეს პრობლემა არ აწუხებდა ხალხს, ქვეყანას. ალბათ იმიტომაც, რომ შეჩვეულნი ვიყავით და გვეგონა ასე იქნებოდა ყოველთვის. რახან მარადიული არაფერია და დრო, ვითარება იცვლება, ამის მიხედვით განწყობილებაც და შეფასებებიც ძველი ვერ დარჩება.

მე ბევრი კარგი მოგონება დამრჩა სამხედროებთან ურთიერთობისა — სამსახურებრივიც და პირადულიც. ხშირად ვიხსენებ 1949 წლის უმკაცრეს ზამთარს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები იყო დანიშნული. დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს. ხულოს რაიონში უნდა შევხვედროდით ამომრჩეველებს. არადა, იმდენი მოთოვა, გზები ჩაიკეტა — და შეუძლებელი გახდა იქ ასვლა. ერთ დღეს მირეკავს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, არმიის გენერალი ალექსი ანტონოვი, რომელთანაც მეგობრული დამოკიდებულება მქონდა, როგორ ბრძანდებითო, რომ მკითხა, სხვათა შორის, შევჩივლე, ხულოში ვარ ასასვლელი და ფეხით რანაირად ავაღწევ, არ ვიცი-მეთქი. არაფერი უთქვამს ჩემთვის, ისე დაუკავალებია ბათუმის გარნიზონის უფროსის გენერალ-მაიორი ყუფარაძისათვის, რომ სამ დღეში გზა გაწმინდე ხულომდეო. ზუსტად სამი დღის შემდეგ ჩემთან შემოდის ყუფარაძე და მომახსენებს: — ამხანაგო თავმჯდომარე, ხულომდე გზა გაწმენდილიაო.

მეორე დღესვე გავემგზავრე ვილისით. 7 თუ 8 სასოფლო საბჭოში ვიყავი. კარგად მახსოვს შეხვედრები. მთიელები კეთილი გულის, მთის წყაროსავით ანკარა სულის ადამიანები არიან. მიუხედავად იმ დროის დიდი გაჭირვებისა, ერთ საყვედურს არ იტყოდნენ, უკეთესი მომავლისა სჯეროდათ, ყველაფერს გულიანად აკეთებდნენ.

დიდაჭარაში შეხვედრის შემდეგ გავიცანი აჭარული ცეკვების უბადლო შემსრულებელი თოფან მელაძე. მე მანამდე არ მენახა მისი ცეკვა, რომელსაც ხულოში „ყოლსამას“ ეძახდნენ. იმავე წელს აჭარის მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადაზე მივიწვიეთ დიდაჭარელი მოცეკვავეები. ამას მოჰყვა — საქართველოს ოლიმპიადა, ჩვენი მოცეკვავეების ბრწყინვალე წარმატება. არ ვიცი როგორ, მაგრამ თოფან მელაძის ცეკვას „განდაგან“ დაერქვა. მოგვიანებით ეს საკითხი ცეკას დონეზე დაისვა. ხდებოდა მაშინ ასეც. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დავით მამულაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვ. მჟავანაძეს უთხრა — თუ შეიძლება სიმღერა იყოს კახური, გურული ან მეგრული, რატომ არ შეიძლება ამ ერთ ცეკვას, მართლაც აჭარაში დაბადებულს და აქედან გავრცელებულს, აჭარული ერქვასო. სხვა აზრი არ ყოფილა.

ისევ სამხედროებთან ურთიერთობაზე: 1950 წლის იანვარ-თებერვალში სამი მეტრი თოვლი დადო, ყინვები დაიჭირა. გაიყინა ციტრუსთა ბაღები. დაილუპა დიდძალი პირუტყვი, განსაკუთრებით ზამთრის საძოვრებზე მყოფი ცხვარი, იყო ადამიანთა მსხვერპლიც. ქალაქს ყინვის გამო მიაკლდა წყალი, დაზიანდა სატელეფონო ქსელი, შეწყდა კავშირი თბილისთან, რაიონულ ცენტრებთან. მაღაზიებში ველარ შეიტანეს პური და სხვა პროდუქტები. დილით შეეიკრიბეთ მინისტრთა საბჭოში, გარნიზონის უფროსმა გენერალმა გიორგი ყუფარაძემ გაგვამხნევა — აქა ვართ, ყველაფერში წაგეშველებითო, მაგრამ ერთი პოლკოვნიკი გაჯიუტდა — მე მხოლოდ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობას ვემორჩილებიო, იქედან ბრძანების გარეშე ვერც ტექნიკას და ვერც ჯარისკაცებს ვერ გამოვიყვანო. თბილისთან კავშირი არაა, რომ გეუბნებიან, ისე უნდა გაკეთდესო, ძლივს გავაგებინეთ.

მეორე დღეს, დილით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი გვეწვია. ამ ვიზიტის შესახებ ადრევე ვიცოდით, რადიოთი აცნობეს საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს. ამხ. ჩარკვიანთან ერთად ჩვენ წავედით ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის და ლანჩხუთის რაიონებში. ეს, როგორც ყოველთვის, საქმიანი შეხვედრები იყო. სულ რაღაც ორიოდე დღის შემდეგ თბილისიდან ჩამოვიდნენ სხვა ხელმძღვანელები. მათ შორის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი ამხ. ანტონოვი, რომელმაც, სხვათა შორის, საკუთარი ხელით ჩამოგლიჯა სამხრეები იმ ჯიუტ პოლკოვნიკს — როგორ გაბედე გასაჭირში დახმარებაზე უარის თქმაო.

მე უკვე ვილაპარაკე, როგორ გაათავისუფლეს ჩარკვიანი, ნაწილობრივ იმაზეც, თუ როგორ ხორციელდებოდა წმენდა, როგორ დააპატიმრეს და გადაასახლეს უდანაშაულო ხალხი, მათ შორის ჩემი დეიდაშვილი ახმედ აბუსერიძე, ცოლის ძმა — კოტე ბზიავა. ყველაფერი ეს, ცხადია, იმ დროისათვის მაინც, ჩემს გარშემო არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნიდა. იმასაც ვატყობდი, მიზანში რომ ვიყავი ამოღებული.

ერთი ასეთი შემთხვევა: საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვიყავით ჩასულნი თბილისში. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შოთა გეთიამ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ დელბამ, აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გრიგოლ ცინცაბაძემ და მე გადავწყვიტეთ ერთად გვესადილა პლეხანოვზე, ფილარმონიის ბაღში, და მერე — კონცერტზეც ერთად წავსულიყავით. ამ დროს თავს დაგვადგა ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელი, — გეთიას და ცინცაბაძეს წყნეთში ელოდებიან, ა. მგელაძე იწვევს სადილადო. რა თქმა უნდა, წავიდნენ. ერთი

ოვის შემდეგ თბილისში შემხვდა შოთა გეთია, ჩემთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და მითხრა, — იცი, მამია, იმ დღეს აკაკი ივანიჩმა ჰკითხა გრიშას, — იქ არ ჩანხარ, რატომ?

— აკაკი ივანიჩ, გოგოლიშვილი აჭარაში კინაღამ 15 წელია, რაც მუშაობს, ყველა მისია, მინისტრები თუ სხვები, სანამ ის იქ იქნება, ჩემი ავტორიტეტი არ აიწევს.

— მაშინ, — ჩავერთე საუბარში, — წამოვიყვანოთ ის, ვისაც ნაკლები ავტორიტეტი აქვს და დავტოვოთ ის, ვისაც მეტად ენდობიან-მეთქი. ამაზე გამინაწყენდნენ. ასე რომ, ჩემო მამია, ფხიზლად იყავი, — გამაფრთხილა მეგობარმა.

მოსახდენი მაინც მოხდა. ერთი კვირაც კი არ იყო გასული, რომ ცენტრალური კომიტეტის პარტიული განყოფილების გამგე ვასო ბალავაძე ჩამოვიდა ჩემზე შესული განცხადების ვითომ შესამოწმებლად. მანამდე ცენტრალური კომიტეტის აპარატში მომუშავე ერთმა მეგობარმა დამირეკა: — საკითხი გადაწყვეტილია, შენ დაუთმე, არ ინერვიულო, უმუშევარს არ გტოვებენ, აჩვენე ყველაფერი, იმ შენი დეიდაშვილის სახლი და მანქანაც (ლაპარაკია იმ მანქანაზე, დეიდაშვილის გასახლების შემდეგ ძალით რომ წაიყვანა რაიკომის მდივანმა და უკან დავაბრუნებინე — აეტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს გადავეცი, სახლისათვის კი ხელი არ ვახლებინე, ვიდრე სასამართლო არ გამოიტანდა კონფისკაციის განაჩენს).

ბალავაძემ ყველაფერი შეამოწმა და ცეკას ბიუროზე დამიძახეს. 15 წუთით ადრე ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან შემიყვანეს. მან სუფთა ქაღალდი მომაწოდა. შენი ცოლის ძმა სამშობლოს მოღალატეა, შენ ეს ცეკას არ მოახსენე. ამას ბიუროზე არ ვიტყვით, მაგრამ საქმეში უნდა ჩავაკრათ დოკუმენტები. მე არაფერი არ დავწერე, თქვენ უკეთ გცოდნიათ და თქვენვე დაწერეთ-მეთქი. ეს მართლაც არ თქვეს ბიუროზე, მაგრამ იმაზე „მომაწვნენ," გადასახლებული დეიდაშვილის მანქანა და სახლი რატომ არ ჩააბარე სახელმწიფოსო. ამ დროს აჭარიდან მოწვეულმა ერთ-ერთმა მუშაკმა განაცხადა: — მაგას ისეც აღარ აქვს ავტორიტეტიო. ამ დროს წამოიჭრა ბათუმის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი (იმ დროს ქუთაისის ქალაქკომის მდივანი) მამია მეგრელიშვილი და სიტყვასიტყვით თქვა: — ამხ. გოგოლიშვილი „ტაბურეტკაზე" რომ შედგეს და ზღვის პირზე დაიყვიროს — ზღვაში გადავხტეთო, მთელი ქალაქი გადაჰყვება, მაგის ავტორიტეტი, ოთხ კაცს ეყოფაო.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზაქარია კეცხოველმა კი განაცხადა — ჩვენ ვიცნობთ ამხ. გოგოლიშვილს, როგორც განათლებულ

და გამოცდილ ორგანიზატორს, რაკი აჭარლებს აღარ უნდათ, მე მადლობელი ვიქნები ჩემთან თუ გადმოიყვანთ, ერთი პირველი მოადგილის ადგილი ვაკანტურია და იქ დაგნიშნავთო.

ბიუროზე უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. მაშინ პირველმა მდივანმა თქვა: დაეტოვოთ ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში, გოგოლიშვილი საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ჩვენი ცეკას წევრია, უმუშევარს ხომ არ დაეტოვებთო. მეორე დღეს დამირეკა ცეკას მდივანმა ვალოდია ცხოვრებაშვილმა — საქართველოს ვაჭრობის მინისტრად გნიშნავთო, არ ვქენი. არაა ვაჭრობა ჩემი საქმე-მეთქი. შემდეგ საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილეობა შემომთავაზეს. მინისტრი მაკარ ჯაში იყო. ძალიან კარგად მიცნობდა, მაგრამ არც ამაზე დავთანხმდი, მეცნიერული სამუშაო მირჩევნია-მეთქი. მაშინ ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა ნიკო კეცხოველმა ბოტანიკური ბაღის დირექტორობა შემომთავაზა. სახლში მეწვია ჩემი საყვარელი მეგობარი, აკადემიკოსი ვასო გულისაშვილი. — მამია, ჩემი ხათრით უნდა დათანხმდე, მე მიჭირს, სატყეო ინსტიტუტი ვაკეშია, ბოტანიკური ბაღი ორთაჭალაში. აღარ შემიძლია. ეს ყველა შემოთავაზებულ სამუშაოს სჯობსო. მეც დავთანხმდი. ასე დამამტკიცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორად. ეს ყველაფერი წინასწარ წყდებოდა ჩემს განუყრელ მეგობარ და ძმობილთან, პროფესორ ბიძინა იაკობაშვილთან შეთანხმებით. ბიძინა იყო ჩემი წინამძღოლი და მცველი.

ერთი წლის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ვასილ მუკანაძე აირჩიეს. მე მას ადრეე ვიცნობდი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რომ ვიყავი, ქობულეთში ისვენებდა. უკრაინის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილის პოსტი ეკავა მაშინ, პოლიტიკურ დარგში. ერთ დღეს დამიბარა ამხ. მუკანაძემ და მითხრა: — ამხ. მამია, გუშინ ბიუროზე ერთი ბათუმელის საკითხი გვქონდა, მან ბრალი დაგვდო: წამოიყვანეთ აჭარიდან შესანიშნავი მუშაკი, რომელსაც ახლაც მისტირიან აჭარლები, აქ კი ბოტანიკური ბაღის დირექტორად გყავთო. მე თქვენ კარგად გიცნობთ, ვიცი ყველაფერი, რაც მოხდა. ახლა შევთანხმდეთ, არ მინდა აჭარლები ჩვენზე ნაწყენი იყონ. დავით მამულაძემ მითხრა — მართლაც ძალიან სწყინთო. ჩვენ გთავაზობთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრობას. — ვასილ პავლეს ძეო, მე უკვე მეცნიერებათა კანდიდატი ვარ, ახლა სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობ, ცოტა მადროვეთ, — ვთხოვე პირველ მდივანს. 5 თუ 6 თვის შემდეგ ისევ დამიბარა: — წუხელ ამხ. ხრუშჩოვმა დამირეკა: მეკენახეობა, მეხილეობა, სუბტროპიკული კულტურების მოვლა-პატრონობა ქართველებზე უკეთესად არავინ იცის, ჩვენ

გეყავდა მინისტრის მოადგილე ხოშტარია, ვერ გაამართლა. სხვა გამოგვიგზავნეთ ვინმეო. არჩევანი თქვენზე შევაჩერეთ. დისერტაციასაც მოსკოვში დაიცავ. არ ვქენი, ჯერ ერთი, სიმონ ხოშტარია ჩემი მასწავლებელია, შან თუ ვერ შეძლო, მე როგორ შევძლებ, მეორეც დისერტაცია საქართველოს ვენახებზე და სუბტროპიკულ კულტურებზე მაქვს მომზადებული. ამის იქ დაცვა არ შეიძლება-მეთქი. ვასილ პავლეს ძე გაჯავრდა, მერე თითქოს შემომირიგდა და მკითხა, — მაშ, ვინ შეიძლება გაეუშვათო. ჩემი მეგობარი, გიორგი ალავიძე დაეუსახელე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ვერც ის დაითანხმეს. ბოლოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პრორექტორზე, ანდრო ნიჟარაძეზე შეჩერდა არჩევანი, მაგრამ იმის გამო, რომ აგრონომი კი არა, ტექნოლოგი იყო, ხრუშჩოვმა არ დაამტკიცა, თუმცა არც უკან გამოაბრუნა. კოლეგიის წევრად და მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშნეს. მან იქ მშვენიერად იმოღვაწა, მერე მაინც თბილისში დაბრუნდა.

ასე შევრჩი მეცნიერებას, რომლის აღმასვლას 1953 წლის მეორე ნახევრიდან შეეუდექი. გუშინდელივით მახსოვს: მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე, ბოტანიკური ბაღის დირექტორად რომ მნიშნავდნენ, აკადემიის პრეზიდენტმა ნიკო მუსხელიშვილმა ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად თქვა: „ბატონი მამია და მე ხშირად მოსკოვში სესიებზე ერთად დავდივართ, დავმეგობრდით კიდეც, მაგრამ თუ ის ექვს თვეში არ დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას, გავანთავისუფლებთ დირექტორობიდან, ჩემთან მეგობრობა არ უშველისო“.

არ გავაწბილე დიდი აკადემიკოსი და ოთხ თვეში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, ამაში ბოტანიკური ბაღის კოლექტივის დიდი წვლილია, კოლექტივისა, რომელმაც ძალიან კარგად მიმიღო. აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ჩემი საყვარელი მასწავლებელი ნიკო კეცხოველი კვირაში ორჯერ ან თვითონ მომაკითხავდა, ან მასთან დამიბარებდა, მეუბნებოდა, შენ დიდი გამოცდილება გაქვს მთავრობაში მუშაობისა, მაგრამ მეცნიერებაში არა, ამიტომ უნდა დამიჯერო, თანაც ბოტანიკური ბაღის ყოფილ დირექტორს აკადემიკოს გულისაშვილს დაავალა, ხშირად ყოფილიყო ჩვენთან, ისიც ყოველთვის ვაჟკაცურად მედგა მხარში.

ბოტანიკური ბაღის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა მისი ტერიტორიიდან 52 ოჯახის გაყვანა. ეს იმ დროს ძალიან რთული საკითხი იყო. დიდმა ნიკო მუსხელიშვილმა ამის თაობაზე მინისტრთა საბჭოში მიმართვაზე ხელიც ვერ მოაწერა. იქ კი უკვე ახალი თავმჯდომარე იყო, ჩემი მეგობარი გიორგი ჯავახიშვილი. გადაწყდა 50-ბინიანი სახლის მშენებლობა. ჩვენმა თანამშრომლებმა ბინები ჩაბარეს, რომლებშიც ბაღის ტერიტორიაზე მოსახლენი

შეიყვანეს. იქვე, ბაღის ტერიტორიაზე 5 ჰექტარი აზერბაიჯანელებს ჰქონდათ მიტაცებული სასაფლაოსათვის. საჭირო გახდა სასფლაოს გადატანა. ამის თაობაზე ირანის სახელმწიფოშიც შეეიდა საჩივარი.

საკავშირო ცაკის 1933 წლის დადგენილებით სასაფლაოს გადატანა ან გაუქმება შეიძლებოდა უკანასკნელი დასაფლავებიდან 20 წლის შემდეგ. ბაღის ტერიტორიაზე კი უკანასკნელი დასაფლავება 1948 წელს მოხდა. საბოლოოდ ეს საკითხი 1970 წელს გადაწყდა. იქ დარჩა მხოლოდ გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლისა და ფილოსოფოსის მირზა ფატალი ახუნდოვის სასაფლაო, რომელსაც დღესაც გულმოდგინედ უვლის ბაღის კოლექტივი.

იმ 50-ბინიანი სახლით ბაღის კოლექტივი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით. მთლიანად განთავისუფლდა ტერიტორია, ფართო მასშტაბით გაჩაღდა მუშაობა, ბაღში შეიქმნა სამეცნიერო საბჭო, მასში შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, ვასო გულისაშვილი, ლევან ჯაფარიძე, ლევან ყანჩაველი, ვლადიმერ მენაბდე, პროფესორი ვანო თუმაჯანოვი, ნიკო ანელი და სხვები.

1954 წელს, ზაფხულში შეიქმნა საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭო, მე იქ არავინ მიცნობდა. სიაში ადრინდელი დირექტორი ვასო გულისაშვილი შეეტანათ, ეს რომ გაირკვა, მერე, ერთხანს მამია „მარიად“ წარმოედგინათ და ალექსეევნად მიხსენიებდნენ. ამის გამო აკადემიკოსი ნიკოლოზ ვასილის ძე ციცინი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი და ამ საბჭოს თავმჯდომარე სულ ბოდიშს მიხდიდა ხოლმე.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს შექმნა დიდი მნიშვნელობის საქმე იყო. მანამდე ჩვენ არ ვიცოდით რა ხდებოდა, ვთქვათ მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, მეცნიერ-მუშაკები ვერც ვიცნობდით ერთმანეთს. ჩვენი ბაღი რომ გაწევრიანდა ამ დიდ გაერთიანებაში, რომელშიც 125 ბოტანიკური ბაღი შედიოდა, უფრო ინტენსიურად დაიწყო თემების დამუშავება. გამოგვეყო თანხები სხვადასხვა ექსპედიციებისათვის. ბაღში შეიქმნა ახალი განყოფილებები. დავიწყეთ დროებით შეჩერებული „ბაღის მოამბის ბეჭდვა“, ორანჟერეებში მოეწყო ცენტრალური გათბობა, აღვადგინეთ 1848 წელს აშენებული მეტეოროლოგიური სადგური, ბაღმა დაიბრუნა უკანონოდ ჩამორთმეული 27 ჰექტარი ტერიტორია, გაშენდა ქართული პარკების ფრაგმენტი, რომელსაც სათავეში საქვეყნოდ ცნობილი დეკორატორი გიორგი მანაგაძე ჩაუდგა. იგი იყო მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ძირითადი გამფორმებელი, ამისათვის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებაც მიენიჭა.

აღვადგინეთ 20 წლის წინათ მიტოვებული წყალსადენი მდინარე ლეღვა-ხევზე. ბოლოს შევუდექით 1896 წელს მოსახლეობაში შეგროვილი ფულით გაყვანილი ორი მეტრი სიგანისა და 3 მეტრი სიმაღლის გვირაბის მშენებლობას, რომელიც თანხების უკმარისობის გამო შეჩერებული იყო. 10,5 მილიონი სჭირდებოდა ამას, თანაც საკავშირო მთავრობის ჩარევით. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გივი ჯავახიშვილის ინიციატივით, მთავრობამ მიიღო სათანადო დადგენილება, რომლითაც მოსკოვს გავწიე. პოლიტბიუროს წევრის ლაზარ მოსეს ძე კაგანოვიჩის იმედად. კაგანოვიჩთან მხოლოდ ტელეფონით დაკავშირება შევძელი, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა. თანხას მივიღებდით ეტაპობრივად, მშენებლობა მეტრომშენს დაეკალა, აქაც გამიმართლა. იქ უფროსი ვიქტორ გოცირიძე იყო, კაცი, რომლის ვაგონითაც ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა გ. კიკნაძემ სტალინთან შეხვედრაზე გამამგზავრა გაგრაში. დიდებულად მიმიღო, გადამეხვია, სიტყვაც ზუსტად შეასრულა. ეს დიდი მოვლენა იყო. მშენებლობა 1955 წლის იანვრიდან უნდა დაეწყოთ და 1956 წლის ბოლოსათვის დაემთავრებინათ.

1956 წლის ბოლოს გვირაბი ჩავიბარეთ. ორთაჭალის აღმართის ავლის ნაცვლად, თავისუფლების მოედნიდან 300 მეტრის გავლით, უკვე მეორე სამყაროში ხვდები ადამიანი, სადაც საუკუნოვანი ადგილობრივი და უცხო ჯიშების მცენარეებია, ნაირნაირი ფრინველის ჭიკჭიკი ატკბობს სმენას, აქ არის ლამაზი მდინარე — ჩანჩქერით. ხიდი ლეღვა-ხევზე, რომელიც მე-12 საუკუნით თარიღდება, არსებობს ლეგენდა — თამარ მეფე ამ ხიდით როგორ გადადიოდა სამხრეთ საქართველოში.

ამასთან დაკავშირებით ასეთი ამბავი მახსენდება: 1957 წელს საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის საბჭოს მინისტრთა საბჭოსათვის მოუხსენებია — ბოტანიკური ბაღის თავშესაფარი უნიკალური და საიდუმლო ობიექტია, იქ ხალხი არ უნდა დადიოდეს. მხოლოდ საწყობებად თუ გამოვიყენებთო. მიიღეს კიდეც ასეთი დადგენილება, ცენტრალურ კომიტეტს მივმართე საკითხის გასარკვევად, სათანადო ინფორმაციის შემდეგ ცეკას პირველმა მდივანმა სამოქალაქო თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს დაურეკა: „არ გეწყინოს და სულელი უნდა იყოს ის კაცი, ვინც ფიქრობს ამერიკელებმა არ იციან, რომ ჩვენ თავშესაფარები გვაქვს? სამ დღეში კარტოფილი გადაატანინეთ და გვირაბი დაუთმეთ ხალხს“.

გადის წლები. კოლექტივში უკვე ოთხი პროფესორი და 18-მდე მეცნიერებათა კანდიდატია. ფართოვდება საცდელი სამუშაოები, არ გვყოფნის მიწა. დახმარებისათვის მთავრობას მივმართეთ. გამოგვიყვეს კრწანისში 30, წაკი-

სში 3,5 და კოჯორში 1,5 ჰექტარი ფართობი. კრწანისში მოვაწყეთ ექსპერიმენტული ბაზა ღია და დახურული გრუნტის ეკონომიურ ეფექტურობაზე. ცდებმა მოლოდინს გადააჭარბა, ოთხჯერ მეტი მოსავალი მივიღეთ ღია გრუნტთან შედარებით. ასევე შესანიშნავი ცდები წარიმართა ტიტასა და ხმალაზე.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის ცდები მეევნახეობაში ტარდებოდა მუხრანში და ბოლნისში, ალიგოტესა და რქაწითელზე. ყველა ობიექტზე ცდები მიმდინარეობდა. საინტერესოა, რომ არც ერთ ნაკვეთზე 50 %-ზე ნაკლები მატება არ ყოფილა. ყველა ამ მონაცემით ჩავაკითხე სსრ კავშირში მულჩვის მამამთავარს, აკადემიკოს ვიტალი ედელშტეინს. მან ჩემი სამი წლის შედეგებს ყურადღება არ მიაქცია და მითხრა: შვილო, ნიადაგის დამულჩვა მხოლოდ ერთწლიან კულტურებზე მოგვცემს შედეგს, მრავალწლიან კულტურებზე კი დროის დაკარგვაა და მეტი არაფერიო. მე ჩემი არ დავიშალე, გავაგრძელე კვლევა და 1960 წლის შემოდგომაზე დავიცავი კიდევ სადოქტორო დისერტაცია. თუმცა ორი წლით ადრე მქონდა მზად, მაგრამ ჩემმა დიდმა მასწავლებელმა, გავბედავ მას მეგობარიც ვუწოდო, ათინოგენ მენაღარიშვილმა მითხრა — კარგია, ოპონენტობასაც გპირდები, ოღონდ ნუ იჩქარებ. თუ მენდობი (რომ არ მენდობოდე, არც მომაკითხავდი), გააგრძელე კვლევა, ასჯერ გაზომე და აწონეო. ორი წლის შემდეგ მისი, აგრეთვე ნიკოლოზ ახვლედიანისა და დიმიტრი ტაბიძის ოპონენტობით დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. საბჭომ ერთხმად მომანიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

საინტერესოა, რომ აკადემიკოსმა ვ. ედელშტეინმა, რომელსაც ავტორეფერატი გაუგზავნე, ამჯერად დადებითი რეცენზია პირდაპირ ვაკეში წარადგინა. დიდი მეცნიერი დარწმუნდა ცდებით მიღებული შედეგების უტყუარობაში და ერთ-ერთ მის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შეკრებაზე აღნიშნა: მყავს ჩემი საქმის საიმედო გამგრძელებელი კავკასიაში. ესაა დღეს უკვე პროფესორი, მამია ალექსის ძე გოგოლიშვილიო.

გამოხდა ხანი და გადაწყდა საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების სისტემა 10 რეგიონად დაყოფილიყო. კავკასიის რეგიონში შევიდა კრასნოდარის მხარის, სტავროპოლის, ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნის, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ბოტანიკური ბაღები. 1958 წლის ზაფხულში შევიკრიბეთ თბილისში კავკასიის ბაღების ხელმძღვანელები. ჩამოყალიბდა ჩვენი ბაღების ქსელი: თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ერევანი, სევანი, ლენინაკანი, კიროვაკანი, ბაქო, მარდაკინი, სოჭი, როსტოვი, ნალჩიკი და მახაჩკალა. შეიქმნა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. მოადგილეებად ნალჩიკის (შოგა-

ნოვი), ბაქოს (გაჯიევი), ერევნის (კაზარიანი) და სტავროპოლის (სკრიპკინსკი) ბაღების დირექტორები. საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭომ ცალკე გამოჰყო ამიერკავკასიის რეგიონი, რომელსაც მიაკუთვნა აგრეთვე სოჭის დენდრაცია. ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭოს ბიუროს შემადგენლობაში შეეიდნენ: თბილისის, ბაქოს, ერევნის, ბათუმის, სოხუმის და სოჭის ბაღების დირექტორები. თავმჯდომარედ აქაც მე ამირჩიეს, სწავლულ მდივნად — პროფესორი ბორის ვასილის ძე სევდიუკოვი.

ჩვენ ყოველწლიურად ვიწვევდით სესიებს, რომლებზეც 35—40 მოხსენება იკითხებოდა. იზრდებოდა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა ბირთვი.

სესიების მიმდინარეობასა და შედეგებს ფართოდ აშუქებდა ადგილობრივი პრესა. ჩვენმა საბჭომ იმდენად გაითქვა სახელი და იმდენად პოპულარული გახდა მთელ ამიერკავკასიაში, რომ ჩვენთან შემოერთება ისურვეს ერევნისა და ბაქოს ბოტანიკის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის და სამთო მეტყეველობის ინსტიტუტებმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტმა. ჩვენ სიამოვნებით ვაკმაყოფილებდით მათ სურვილს და სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი და მეგობარი აკადემიკოსი ვასო გულისაშვილი ბიუროს წევრად ავირჩიეთ.

ჩვენი საბჭო არაერთხელ მოიხსენიეს ქებით სსრ კავშირის ბოტანიკური ბაღების სესიაზე. ჩვენი აღიარების დასტური იყო ისიც, რომ ალმა-ათის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა გახმაურებული უკმაყოფილების გამო შექმნილ კომისიაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური განყოფილების ბიურომ მეც შემიყვანა და აკადემიკოს რუსანოვის ხელმძღვანელობით 10 დღე ვსწავლობდით შექმნილ მდგომარეობას. ალმა-ათაში სსრ კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს სესია გაიმართა ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მონაწილეობით, მოხსენება მე დამევალა. სესიას უძღვებოდა სსრ კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ციცინი. დაისახა საჭირო ღონისძიებანი და ყველაფერი მოწესრიგდა.

1961 წელს სსრ კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭომ მიიღო მიწვევა საერთაშორისო სიმპოზიუმზე იტალიაში — ქალაქ ტურინში. დელეგაციაში იყვნენ: მოსკოვის, ლენინგრადის, ტაშკენტის, მინსკის, ალმა-ათის, თბილისის, კიევის, რიგის და ურალის რეგიონის ხელმძღვანელები. დელეგაციის ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი პავლე ბარანოვი. გამგზავრების წინა დღეს საკ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ განყოფილებაში მიგვიწვიეს. იქ

აგვიხსნეს როგორ უნდა მოექცეულიყავით — არაკეთილ შემთხვევაში აღგილობრივ კოლეგებთან დამეგობრება, განსაკუთრებული სიფრთხილე ქალებთან. შეთანხმებულებების წერა აუცილებლად ეროვნულ ენებზე. თქვენ 16 დღით მიდიხართ და უნდა აჩვენოთ ჩვენი მეცნიერების სახე... მერე ჯერ პოლიტხელმძღვანელის არჩევაზე მიდგა. მე დამასახელეს, ყველა თანახმა იყო. მე ვიუარე. ხრუშჩოვი ისედაც აღრენილი იყო საქართველოზე და რაიმე რომ შეგემთხვეოდა, ქართველ ხალხს დააბრალებდა, ეს ცხადია, ხმამაღლა არ მიოქვამს, მაგრამ ჩემი გავიტანე, მაშინ არჩევანი ბელორუს პროფესორ ნიკოლოზ სმოლსკიზე შეჩერდა.

მეორე დღეს გავფრინდით იტალიაში. ცუდი ამინდის გამო ციურიხში გავათენეთ ღამე. ციურიხში ერთი ახალგაზრდა შემოგვიერთდა. ჩემს გვერდით დაჯდა თვითმფრინავში. გამომკითხა ვინ ვიყავი და საიდან, თვითონ რიგის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დოცენტად გამაცნო თავი. მილანში დაგვიხვდა მეცნიერთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, დაიწყო წარდგენა. ჩვენი ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ბარანოვი კითხულობს სიას, მე ბოლოდან მესამე ვარ. რუსი მეცნიერი ბარანოვი — დაიწყო მან და ნაბიჯი წადგა წინ, მერე ასევე რუსებად გამოცხადდნენ ბელორუსი სმოლსკი, უკრაინელი კონდრატიუკი, არ შეგაწყენთ თავს ყველას ჩამოთვლით. ჩემი რიგი რომ დადგა, რუსი მეცნიერი გოგოლიშვილიო, მეც წავედგი ნაბიჯი წინ და რაკი ინგლისურად იყო ლაპარაკი, ინგლისურადვე წამოვიძახე — მე ქართველი მეცნიერი ვარ-მეთქი. ამით თურმე, ძალიან გავანაწყენე ჯგუფის ხელმძღვანელი, პავლე ბარანოვი და თვითმფრინავში გვერდით რომ მეჯდა, ის ახალგაზრდა, „ვითომ კიბერნეტიკოსი“.

ჩვენი მილანში ჩასვლა დაემთხვა ავტომძღოლთა დიდ გაფიცვას, რის გამოც სამ დღეს ფეხი ვერ მოვიცვალეთ. თუმცა მილანში არაფერი წაგვიგია, დავათვალიერეთ ბაღ-ვენახები, ვიყავით აგრონომიულ ინსტიტუტში, მსოფლიოში სახელგანთქმულ თეატრ „ლასკალაში“, სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში. მაგრამ არ შემიძლია გვერდი ავუარო ჩვენი ზოგიერთი მუშაკის გაუნათლებლობასა და უკულტურობას. მილანში მოგვათავსეს შესანიშნავ სასტუმროში, სადაც მე და სმოლსკიმ, როგორც ძველმა მეგობრებმა, ერთად ავიღეთ ნომერი. უეცრად სასტუმროს დერეფანში ატყდა აურზაური. ეხედავთ იატაკზე აგდია ბიბლია და ხატი, ბარანოვი რომ არ იყო ოთახში, მაშინ გამოუყრია იმ „კიბერნეტიკოსს“, თან ყვიროდა — ჩვენ კომუნისტები ვართ, ესენი აქ მასხრად გვიგდებენ, ყველა საწოლთან აქ ბიბლია და ხატი დევსო, ამას შემოესწრო ბარანოვი, შეწუხდა, ნომერი არ მოეწონა ამ კაცს, პროტესტის ნიშნად მოიქცა ასეო, მერე ბიბლია და ხატი აიღო, ეამბორა და ყველა

დააწყნარა. როგორც მერე გაირკვა, „კიბერნეტიკოსი“ სუკის აგენტი ყოფილა და ცხადია, მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

ქალაქ ტურინში საერთაშორისო სიმპოზიუმი და დეკორატიულ მებაღეობა-მეყვავილეობაში მოწყობილი გამოფენა გველოდა. გამოფენას სამი ჰექტარი ეკავა. მერე ტურინის ბოტანიკური ბაღი დავათვალიერეთ, რომლის დირექტორი გამოდგა ცნობილი პროფესორი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ორ წელიწადს ჩვენს მხარეზე მებრძოლი პარტიზანი, კარგი მერუსული, ქართველებზე შეყვარებული კაცი.

ტურინის ღირსშესანიშნაობას რომ ვათვალიერებდით, ერთ-ერთი მონასტრის ეზოში ჩვენებური შავი „ზიმი“ შემოსრიალდა. მანქანიდან ორი სიმპათიური კაცი გადმოვიდა, მათგან უფრო ხნიერი სახელითა და მამის სახელით მომესალმა. საბჭოთა საელჩოს კონსული ყოფილა ტურინში, გამიკვირდა, საიდან მიცნობს-მეთქი. მან ხელი გამომდო და მკითხა, — როგორ იყო მამია ალექსეევიჩ, რუს მეცნიერად რომ გამოგაცხადეს, თქვენ კი იუარეთო. ვერ მოვითმინე და მკაცრად ვუთხარი. — დიახ, მე ქართველი მეცნიერი ვარ და არა რუსი, თქვენ რა, იმათ უჭერთ მხარს, ვინც რუს და საბჭოთა მეცნიერს ვერ ასხვავებს? — არა, ჩვენ გვითხრეს, საბჭოთა მეცნიერებაზე თქვა უარიო. რაკი ასეა, ნუღარ გაახმაურებო. მაგრამ მე საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში მაინც ვთქვი ეს, როცა მოგზაურობის შედეგებს ისმენდნენ.

მე დავინტერესდი იტალიური მობილური ტრაქტორით, ყველა გლეხს რომ აქვს იქ. ამ პატარა მანქანით ხნავენ, თიბავენ, თოხნიან და მოსავალიც გადააქვთ. ესეც მოვახსენე ცეკაში, მაგრამ არავინ გაითვალისწინა, რაც შეეხება ჩვენს „რიონს“, არაფერი აქვს საერთო იტალიურ ტრაქტორთან.

ვიყავით ვატიკანში, რომის პაპის მოადგილემ მიგვიღო, მან გვიამბო, რომ ამ სახელმწიფოს სულ ათასი ჰექტარი უკავია და 44 სახელმწიფოში ჰყავს წარმომადგენელი.

იტალიის შემდეგ საფრანგეთში უნდა დაგვეყო სამი დღე, მაგრამ გამოირკვა, რომ ჩვენი თვითმფრინავი, რომლითაც რომიდან გამოვფრინდით, სანახევროდაც არ იყო შეევსებული. ეს თურმე იმიტომ, რომ პარიზში აჯანყება მოხდა და ხიფათს ერიდებოდნენ. ჩვენ პარიზის თავზე ვართ. თვითმფრინავი ყოველ ათ წუთში იღებს ინფორმაციას, რომ ქალაქში დიდი არეულობაა. ჩვენს თვითმფრინავს მით უფრო არ მიიღებენ, მასში 10 კომუნისტია. ყველაფერი ეს ესმის სამ ფრანგ ქალს და ლამის ისტერიკაში ჩავარდნენ. ეკიპაჟის უფროსი ამშვიდებს მათ, მაგრამ ამაოდ. ისინი მოითხოვენ უკან დაბრუნებას, მით უფრო, რომ სალონში რუსი კომუნისტები გიზიათო. ეკიპაჟის უფროსმა გადასცა საგანგაშო ცნობა: საწვავი გვითავდება, დაჯდომის უფლება მაინც

მოგვეცითო. სამი თუ ოთხი წრე კიდევ გააკეთა თვითმფრინავმა და ნებართვაც მიეიღეთ.

როგორც შემდეგ გავიგეთ, გამოეძახნათ პოლიცია და საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები. ათიევ ალყაში მოგვაქციეს, ქალაქის პოლიციის უფროსმა საელჩოს წარმომადგენელს განუცხადა: „მე ამ ხალხის სიცოცხლეზე პასუხს არ ვაგებ, დღეს მარტო ამ ქუჩაზე 17 კაცი დაიღუპაო". პარიზის დათვალიერებაზე თითქოს ფიქრიც ზედმეტი იყო, მაგრამ საელჩოს მუშაკებმა ივაჟკაცეს, რისკის ფასად თავიანთი მანქანებით საღამომდე გვატარეს ამ საოცარ ქალაქში. საღამოს, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, გაფრენის ნება დაგვრთეს, ოღონდ ვერ გადავუვლიდით გერმანიას, ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. ღამით დავჯექით ფინეთში, საწვავი ავიღეთ და მოსკოვში გადმოვფრინდით. დათარსულები აღმოვჩნდით. მოსკოვში ნისლი იყო და ლენინგრადისაკენ მიგვითითეს, ასე, რომ მხოლოდ მეორე დღეს, დილით ჩავაღწიეთ დედაქალაქში. ჩვენ იმავე დღის, 11 საათზე ცენტრალურ კომიტეტში მიგვიღო მეცნიერების განყოფილების გამგემ ზინჩენკომ. ისევე წამოტიეტივდა საკითხი, რუსი თუ საბჭოთა მეცნიერი. ვუამბეთ „კიბერნეტიკოსის" ულირს საქციელზეც. ყველაფერი ჩაიწერა, ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დავტოვებო.

იქიდან დაბრუნებული ავად გავხდი, ვარიკოზული სისხლის დენა ამიტყდა ყელიდან. მეოთხე სამმართველოს საავადმყოფის მთავარმა ექიმმა, კერესელიძემ, სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგემ შაშიკაშვილმა, პროფესორმა მესტიაშვილმა, აკადემიკოსმა ყიფშიძემ, კარდიოლოგმა ჯავახიშვილმა და სხვა ღირსეულმა მკურნალებმა ყველაფერი იღონეს და გამომაჯანსრთელეს.

1964 წელს მომიწია საზღვარგარეთ მგზავრობა, ამჯერად იტალიასა და საბერძნეთში. იტალიაში ციტრუსების, კერძოდ, დამულჩვის აგროტექნიკის დანერგვის თაობაზე ხოლო საბერძნეთში — ჩვენი ლიმონის თაობაზე ატეხილი ხმაურის გამო: ეგ ლიმონი ქართული კი არა ბერძნულიაო. მე ბევრი პლანტაცია მოვიარე, მაგრამ ქართული ლიმონის მსგავსი ვერაფერი ენახე. ეს საკითხი ძალიან აინტერესებდა ჩვენს სახელოვან მეცნიერს ბატონ ნიკო კეცხოველს და ჩემი მოსაზრებანიც მოვახსენე.

იმავე წლის ბოლოს მოსკოვიდან დამირეკა საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ციცინმა: მამია ალექსეევიჩ, თქვენ გამოცდილი კაცი ხართ და უნდა წაგვეშველო, სერიოზული უთანხმოებაა მოლდავეთის ბოტანიკური ბაღის დირექტორსა და მათივე აკადემიის პრეზიდენტს შორის, პრეზიდენტს მხარს უჭერენ მთავრობაში, თქვენ უნდა

გაემგზავროთ ჩემს მოადგილე პეტრე ლაპინთან და უკრაინის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე გროზინსკისთან ერთად. რაღას ეიზამდი აკადემიკოს ციცინს დიდ პატივს ვცემდი არა მარტო როგორც თავმჯდომარეს, არამედ როგორც კაცს, რომელთანაც მამაშვილური ურთიერთობა მქონდა. ჩავედით კიშინიოვში, სადაც დავა ბოტანიკური ბაღის ახალ ადგილზე გადატანის თაობაზე წარმოშობილიყო. საქმე იმაშიც იყო, რომ პრეზიდენტს არ მოსწონდა პირში მთქმელი და მომთხოვნი დირექტორი. აბეზღებდა მას მთავრობაში და ბაღის ახალ ადგილზე გადატანის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ჩვენ, ცხადია, სიმართლის მხარეზე დავდექით. პრეზიდენტმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მაშინ ჩვენი დასკვნა ცეკას მდივანთან და მთავრობის თავმჯდომარესთან წარვადგინეთ. იქ მათი ჩარევით ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც საჭირო იყო. მანამდე გაცხარებულმა პრეზიდენტმა როგორღაც მუქარის ტონით მითხრა: ამბობენ, გამოცდილი კაციაო, აი თქვენთვის რომ მოენდოო დააპროექტებდით ბაღს ამ ადგილზე? მე ხელი გავუწოდე — მზად ვარ-მეთქი, მერე მართლაც ვმონაწილეობდი ამ 200-ჰექტარიანი ბოტანიკური ბაღის დაგეგმარებაში და, როგორც შემდეგ გამოირკვა, არცთუ ცუდად.

რაკი ბოტანიკური ობიექტის მშენებლობაზე ჩამოვარდა საუბარი, ერთსაც გავიხსენებ — 1966 წელია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შოთა ჭანუყვაძემ დამირეკა — ახლავე მოდი ვასილ პაელეს ძესთანო, აგერ დეპეშა, საკავშირო მთავრობის განკარგულება, მე სხვა არაფერი ვიცი, თუ ხელზე ფული არა გაქვს, ჩვენი სალაროდან გასესხებ, ტაშკენტში უნდა გაფრინდეო. სასწრაფოდ მოვემზადე. 4 საათის ფრენის შემდეგ უზბეკეთის დედაქალაქში ვიყავი. აეროდრომზე დამხვდნენ საკავშირო მთავრობის მიერ შერჩეული სპეციალისტები, ბოტანიკოსები, აკადემიკოსები ციცინი, რუსანოვი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლაპინი, აკადემიის სწავლული მდივანი დობროხვალოვი, ადგილობრივი სამხედრო ოლქის ორი გენერალი. ძალიან თბილად შემხვდნენ. მერე ვახშამზე მიმიწვიეს. სუფრა ქართული ღვინით დავამშვენე. ეს კი ასე მოხდა: გამგზავრების წინ შოთა ჭანუყვაძემ დამირეკა: მამია ალექსეევიჩ, ტაშკენტში რომ ჩახვალ ქართველი კაცი და ღვინოს არ ჩაიტან, არ შეგრცხვება? თუ შენ არა გაქვს, 25 ლიტრიანი ტიკით გაგატან ქინძმარეულს, უზბეკებს უთხარი, ჩვენი ცეკას მდივანმა შარბათი გამოგიგზავნათო.

საღამოს 7—8 საათი იქნებოდა, სამხედრო ოლქში რომ მიგვიწვიეს. სამხედრო ოლქის უფროსმა გვითხრა: ერთი დახურული ქალაქი გვაქვს, სადაც არავითარი მცენარეულობა არ იზრდება, ძალიან ცუდი პირობებია, ზღვის

წყალს ამერიკული დანადგარით ვამტკნარებთ. ახლა იქ 50—55 გრადუსი სიცხეა. საკავშირო მთავრობის თავმჯდომარემ ინახულა, შეგვპირდა დაგეხმარებითო. თქვენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტი ხართ და დიდი იმედი გვაქვს. ამაღამ სამ საათზე გახვალთ ჩვენი მანქანებით ჩვენსავე საფრენ მოედანზე, საიდანაც წაგიყვანენ ობიექტზე. — დასახოცად ხომ არ მივყავართ — ჩავილაპარაკეთ ხუმრობით. ასე იყო თუ ისე, დავეშვით ტრიალ მინდორზე. არავითარი შენობა, მხოლოდ ბრეზენტით წამოხურული ფარდული. შეიდნი ვიყავით, ორი სამხედრო და ჩვენ. შეეედით ფარდულში, თერმომეტრი 56 გრადუსს უჩვენებდა, სიცხე ყველაზე უფრო მე მომერია. არიქა წყალი, ფანერის ნატეხით მიბერავენ. ცოტა მოვმჯობინდი. ქართული მესმის. ვხედავ პოლკოვნიკია — რა მოგივიდა, ჩვენებურო, მე თბილისელი, სოლოლაკელი გრიგორიანი ვარ, ამ უბედური ქალაქის უფროსი. ნუ გეშინიაო.

როგორც ეტყობა, უცბად ვერ ავიტანე მაღალი ტემპერატურა, მანქანებით წავედით ქალაქში, სასტუმროში დაგვაბინავეს. აბაზანაში შეველი, მწვანე ონკანი მოვუშვი, ცხელი წყალია, ახლა მეორე ვცადე, იქიდანაც ცხელი წყალი წამოვიდა. სხვებთან შეველი — იგივე. ნომრებში კარებგამოღებული მაცივრები იდგა, მაგრამ ტემპერატურა 48 გრადუსს ქვევით არ ჩამოდიოდა. მეორე დღეს დილით მოგვაკითხა ქალაქის თავმა, პოლკოვნიკმა გრიგორიანმა და გვითხრა: თქვენ აქ, მანგიშლაყის ნახევარკუნძულზე, მცენარეების გახარებაში უნდა დაგვეხმაროთო. ჯერ უნდა დავათვალიეროთ ნახევარკუნძული, იგი შემოფარგლულია კასპიის ზღვით, ზღვის ის ნაწილი, რომელიც ხმელეთს ეკვრის, გველებითაა სავსე. საბედნიეროდ, დიდი სიცხის გამო ხმელეთზე ვერ გამოდიან. იქაური ამინდის ბიურო ყოველ საათში გვამცნობს ტემპერატურისა და ქარის პროგნოზს. ჩვენთან წვიმა საერთოდ არ მოდის. დილის ცვარი, სულ ესაა წელიწადში 50 მილიმეტრის ოდენობით. საშინელი ქარები იცის. ამ დროს შეიძლება კაცი დაახრჩოს ქვიშამ.

ზუსტად ვერ გეტყვით, ნახევარკუნძულის სიგრძე-სიგანე 300—500 კილომეტრის ფარგლებში მერყეობს. ტერიტორიაზე არც ერთი შემაღლება ან ბორცვი არ არსებობს, თუა, ისიც დროებითია, ძლიერი ქარი რაღაცაზე მიაყრის დიდძალ ქვიშას, შემდეგ ისევ წაიღებს და ა. შ. ნიადგის ფენა 80—100 სანტიმეტრია, იმის ქვეშ კი დაგებულივით სიპი ქვაა. აქედან სამას კილომეტრზე 7—8 კომლიანი დასახლებაა, ყაზახები ცხოვრობენ. თქვენ ხვალ შვეულმფრენით გაემგზავრებით, ნახავთ იმ ადგილებსაც, სადაც ნიკოლოზის მთავრობას გადმოუსახლებია ტარას შევჩენკო...

მანგიშლაყში ჩვენთან ერთად გამოფრინდა ახალგაზრდა ბიოლოგი, გვარად რომანოვსკი, რომელიც, ადრე, აქ სამხედრო მოსამსახურე ყოფილა და

შემდეგ დიდი ანაზღაურების გამო დარჩენილა. ახლა თუკი რამეს გავაშენებდით, იმას მოუვლიდა. ნახევარკუნძულის განაპირას მივედით, იმ ადგილზე, რომელსაც „შევჩენკოს“ უწოდებდნენ. ერთ ლოდზე ამოვიკითხე დიდი შევჩენკოს მინაწერი: მანგიშლაყი არის ნახევარკუნძული, სადაც თავი გინდა ჩამოიხრჩო, მაგრამ რაზე?

მერე იქაურებს შეეხვდით. ჩვენმა გამოჩენამ მათ დიდი სიხარული მიანიჭა. გვიამბეს, რომ აქ მხოლოდ აქლემია ადამიანის შემწე. აქლემით 15 კილომეტრიდან ორ კვირაში ერთხელ ეზიდებიან წყალს. აქლემის ტყავით მოუწყვიათ იურტები. აქლემის ბეწვს იყენებენ უჩვეულოდ მომრავლებული მორიელის საწინააღმდეგოდ. აქლემის რძისაგან გამოხდილი არაყიც გაგვასინჯინეს. აქლემის ხორცით და რძით დამზადებული სხვადასხვა კერძი მოგვაროვეს. სწავლა-განათლებას მოკლებული არიან. წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გადიან „დიდ მიწაზე“. შემოაქვთ მარილი და ხორბალი. თეითონ ფქვავენ ორი დიდი ქვის მეშვეობით, რომელთაც აქლემის დახმარებით აბრუნებენ. ხარობს მხოლოდ აქლემის ბალახი. ჭა რა სიღრმისაა არც იციან, აქლემის ძალით მბრუნავი დიდი ბორბლით ამოაქვთ იქედან წყალი. აქლემიც იქვე იმარაგებს წყლის 15 დღის მარაგს. აქაურები წვერს არ იპარსავენ — მზე საამ დღეში გაგვატყავებსო.

დიდხანს ვერ დავრჩით, რადიომ გადმოსცა 20—30 წუთში ძლიერი ქარია მოსალოდნელიო და იქაურობას განვერიდეთ.

საიდუმლო ქალაქში ჩავფრინდით. პოლკოვნიკმა გრიგორიანმა ყველა პირობა შეგვიქმნა. ჩვენი შეკვეთით გამოგვიგზავნეს გვალვაგამძლე მცენარეები, — კავკასიური იფანი, ჭერამი, თეთრი და ლენქორანის აკაცია. 70 ძირამდე მცენარე ჩავრგეთ, ორმოებს აფეთქებით ვიღებდით, ისე რომ, არსებული გრუნტიდან არაფერს ვტოვებდით, 15—20 სანტიმეტრზე ნახერხს ვაფენდით, მერე, ქარს რომ არ წაეღო, სამშენებლო ტოლით დავფარავდით და ესეც რომ დაგვეცვა ქარისაგან, ზედ ვალაგებდით რკინის ნაჭრებს. მცენარეებს გამტკნარებული წყლით ვრწყავდით. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი ნარგავი არ გამხმარა. რომანოვსკი გულმოდგინედ ასრულებდა ჩვენს მითითებებს, ძალიან დაინტერესებული კაცი გამოდგა. ერთი თვის შემდეგ თბილისში ჩამოვიყვანე, გავაცანი აქაური გვალვაგამძლე მცენარეები და წასვლისას მათი ნერგი გავატანე. ახლა სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი წამოწყებული საქმე არ ჩამქრალა. დღეს ქალაქ შევჩენკოს აქვს პატარა, მაგრამ მშვენიერი ბოტანიკური ბაღი, სადაც ერთხელ კონფერენციაზე ბოტანიკური ბაღების საბჭოც კი შეიკრიბა.

1965 წლის აგვისტოში ჩვენი ბაღის მცენარეთა კოლექციის გასამდიდრებლად ციმბირის ტაიგაში გადაეწყვიტეთ წასვლა. ექსპედიცია მცირერიცხო-

ვანი იყო, 7 კაცი შეეგროვდით. მეშვიდე ჩემი ქალიშვილი — ნინო გოგოლიშვილი გახლდათ. ორი ბოტანიკოსი იყო, ერთი — მეტყველი, ერთი — დეკორატორი, ერთი ბოტანიკოსი — ალპინარიუმის მშენებელი. თბილისიდან ლენინგრადში ჩავფრინდით. აქედან კოლის ნახევარკუნძულზე, ყოველ მეორე დღეს მიდიოდა თვითმფრინავი. ჩვენს გრაფიკს განაგებდა ახალგაზრდა დეკორატორი, ჩემი ასპირანტი გურამ აბესაძე, რომელიც ისე გვამხნევებდა, რომ აპატიტის მთებში იმდენი ხეტიალის მიუხედავად დაღლილობა არ გვიგრძენია. ჩვენ ლენინგრადის ბოტანიკური ბაღის დირექტორს, აპატიტის მთებში პოლარულ-ალპური ბოტანიკური ბაღის მშენებლის, ბრწყინვალე მკვლევარის, პროფესორ ა. ავრორინის მიერ შემოთავაზებული გრაფიკით უნდა გვეელო. მან ლენინგრადიდან არ გაგვიშვა, სანამ არ შეგვიძინა კოღოს საწინააღმდეგო ოდეკოლონი, პირბადეები, სხვადასხვა საწინააღმდეგო საშუალებები, კონსერვები. ვინ იფიქრებდა, სამ აგვისტოს, ღამით გათოვდებოდა, ყინვამ 10 გრადუსს მიაღწია, მაგრამ, ავრონინის მეშვეობით, ამისათვისაც მომზადებულნი აღმოჩნდით. ქ. სოლიკამსკში ჩავედით, იქედან ჯერ მანქანით, მერე ცხენებით ვიმგზავრეთ. ერთ-ერთ გაღასასელელზე მოდის ჩვენი გურამი და მეუბნება: აგერ, ვიღაცას მწვანე ხალიჩა დარჩენიაო, მე, რა თქმა უნდა, არ ავყევი მის ხუმრობას, ბოტანიკოსები მაინც გაიტყუა. თამარ ჩერქეზიშვილი არ მომეშვა. დიდებული სანახაობა იყო, ჩვენს წინაა ნაძვის მზარდი, საოცრად შეკრული მცენარეები, გეგონებოდათ შემაღლებულ ადგილზე მაროლაც დიდი მწვანე ხალიჩა დაუფენიათო.

ერთ საღამოს გურამ აბესაძე ავად გაგვიხდა. მანამდე იმდენი იხუმრა და იოხუნჯა, არ უჯერებდნენ ქალები შეუძლოდ რომ იყო, მერე მასე გეკუთვნის, სულ რომ გვაწვალებო, მაგრამ, როცა მდგომარეობა გართულდა, რა არ იღონეს, აბა, ეს წამალი, აბა, სოდიანი წყალიო, სიცხე მალე დაუგდეს, ობილი საცვლებიც უშოვნეს. კლინიკაში ვერ გამოაჯანმრთელებდნენ ასე მალე კაცს.

ჩვენი პროგრამა რომ შევასრულეთ, რასაც 15 დღე დაჭირდა, მურმანსკში ჩამოვედით. იქ, თქვენ წარმოიდგინეთ, სასტუმროში არ შეგვიშვეს. დაბოღმილები იყვნენ ქართველებზე. საერთოდ, ვიღაც ვიგინდარების დანაშაულზე, ყველა თანამემამულეს არ შეიძლება პასუხი მოთხოვო. ისე საზარელი დანაშაული კი ჩაედინათ იმ არამზადებს. სამხედრო სამსახურის დამოავრების შემდეგ ქალიშვილი გაუუპატიურებიათ, ბენზინი გადაუსხამთ და დაუწვავო(ახლაც მზარავს ამაზე რომ ვლაპარაკობ. აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ რა უნდა უკვირდეს კაცს, მაგრამ ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა, შვილიშვილს მოჰკვეთა კბილიო). სანამ მურმანსკის საოლქო კომიტეტის მდივანთან არ შეეედი, ღამის გასათევს არ გვაძლევდნენ. ბოლოს ყველაფერი მოგვარდა.

1965 წელი სხვა მხრივაც იყო ჩემთვის სამახსოვრო. აკადემიკოსმა ლევან ჯაფარიძემ, პროფესორებმა: ირაკლი ჭუმბურიძემ, ნიკოლოზ ტყეშელაშვილმა, ირაკლი მენთეშაშვილმა და მე გადაეწყვიტეთ მეუღლეებითურთ გვემგზავრა ევროპის გარშემო. ოდესიდან გავედით „შოთა რუსთაველით“, ლაინერმა ღუზა სტამბულში ჩაუშვა. იქაური ქართველები დაგვესიენენ. გემიდან გადმოსვლაც კი არ გვაცალეს ისე გვიყვიროდნენ. რა არ გვიამბეს. ერთმა — იმერელი ბაქრაძე ვარ, თურქი ქალი შევირთე და სოფლიდან გამომაძევესო. რა ვქნა, სამი ბიჭი მყავს და მეუღლეს როგორ მივატოვებო. მთელი დღე არ მოგვცილებიან, ქართველი ებრაელებიც შემოუერთდნენ, რა ვქნათ, რითი გემსახურეთო.

მსოფლიოში განთქმულ ცისფერ ჯამეში შევედით — ლოცვა მიმდინარეობდა, მაგრამ სიამოვნებით დაგვათვალიერებინეს ყველაფერი, რის ნახვაც შეიძლებოდა. ეწვივეთ მუზეუმს, „თოფკაფი“ ჰქვია. იგი ძირითადად ქვეყნის საჩხედრო ძლიერებას უწევდა პროპაგანდას, ამ მუზეუმშია ის ოქროს ცხვარი, ნატურალური ზომით, რომელიც რუსეთის მეფეს უჩუქებია თურქეთისათვის. მუზეუმი მართლაც უნიკალურია. გვერდი ვერ ავუარეთ განთქმულ სტამბულის აღმოსავლურ ბაზარს, რომელიც ბევრი რამითაა საინტერესო და საყურადღებო.

მეორე დღეს საბერძნეთის დედაქალაქში, ათენში ვიყავით. მიუხედავად შემოდგომისა, ისე ცხელოდა, რომ ყველა დაგეგმილი ობიექტი ვერ ვნახეთ, მაგრამ განუმეორებელ „აკროპოლს“ გვერდი მაინც ვერ ავუარეთ, ეს ზღაპრული სანახაობაა. ადგილი ისეა შერჩეული, გეგონება აქედან მთელ სამყაროს ვხედავო.

მე როგორც ბოტანიკოსი, თვალს ვერ ვაშორებდი შენობათა ვერტიკალურ გაფორმებას, რომელიც, ჯერ ერთი, ესთეტიკურადაა გაფორმებული და, მეორეც, ამ სიცხით ადუღებულ ქალაქს ნაწილობრივ მაინც აგრილებს.

საბერძნეთში მე და ლევან ჯაფარიძემ შევძელით ლიმონის პლანტაციის დათვალიერება, ვერსად ვნახეთ ქართული ლიმონის მსგავსი რამ. სხვა დროს კვიპროსზეც დავინტერესდით ამით, მაგრამ არა, ქართული ლიმონი მართლაც ქართულია და სხვაგან არსად მოეძებნება ბადალი. ერთი დეტალი, იმავე კვიპროსული შთაბეჭდილებებიდან: მაისი იდგა, ლიმონის ხეებზე კი წინა წლის მოსავლის ნაყოფი ისევ ნახევრად მწვანე იყო. არ კრეფდნენ, ამას მერეც მოვასწრებთ, მუშტარი რომ გამოჩნდება და გემი ნაპირს მოადგება, ამნაირ ნაყოფს უფრო მეტი ფასი აქვსო.

ორი დღის შემდეგ უკვე იტალიაში ვიყავით. ნეაპოლიდან პირდაპირ რომისაკენ გავემართეთ. მანძილი დიდია, 400 კილომეტრი, ტრასა-ერთობ ლამაზი, ყოველ 15—20 კილომეტრში ავტოსახელოსნოა, ყოველ კილომეტრ-

ძმა გიგოლიანელი
ალექსეევის მიერ

ოლგა
ძეულლეხოთ ქალაქის ხალხთან

ძმა გიგოლიანელი სტუდენტი

ძმა გიგოლიანელის ქალიანელი ნინო

ზვიად გოგიჩაიშვილი

გიორგაძეთა ოჯ. მეგობრული
ალბომი

ბაბა გიორგიაშვილი და ძმა გახვერელი
ბეგობანი ძალა ძმაქალაშვილი

ძალიან ლაღი ადამიანი

ილია ჭავჭავაძე

ალექსანდრე ყაზბეგი

ფიროსმანი

ალექსანდრე ბარათაშვილი

ეკა ბაბილე

აკადემიკოსი ნიკოლოზ ალბერიძე

ეკატერინეშვილი და გიორგაძეები, 1984 წელი

აკადემიკოსი ნიკოლოზ ალბერიძე

აკადემიკოსი ბენო ლაბინი

ინგლისის ხალხის მეგობრობის მინისტრი,

ლორდი ბელფეზელი

ქალბატონ-ბებიებმა ბიბლიოთეკა ბავშვის
თანამონაწილეობით ეროვნულ სტუდიაში ახალგაზრდა ავტორებისთვის

[illegible] კონგრესის დელეგაციები

ბიარიცი, 1921 წელ.

ალბერტ ეინშტეინი ბორის ლეონტიევიჩთან

ში სასიგნალო ჯიხური, რომ საჭირო დროს ხელოსანი გამოიძახო. ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა იმან, რომ ავტომანქანა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი გადაჰყავდა, ჩვეულებრივ გაჩერდა საგადასახადო პუნქტთან, გზით სარგებლობის ქირა დატოვა და ისე წავიდა.

ჩვენი ჯგუფი მეორე დღეს შეუღგა იტალიის ზღვისპირა ციხე-ეკლესიების, მუზეუმების, გალერეების დათვალიერებას. შთამბეჭდავია იქ ყველაფერი. რომში ძალიან მოგვეწონა ვენეციური ბაღი, გაშენებული 1700 წელს. ვიყავით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, იქ გვაჩვენეს მსხალი, რომელიც ერთ კილოგრამს იწონის. რომიდან ფლორენციაში გადავინაცვლეთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქალაქი მოლიანად მხატვრებისაა. აქ არის ფერდინანდ მედიჩის ძეგლი, რომელიც დიდხანს მართავდა იტალიას და მეცენატობდა ხელოვნებას. აქვთ შესანიშნავი ბოტანიკური ბაღი. ამ ქალაქმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ დამატებით ერთი დღე მოვითხოვეთ, მაგრამ ასეთ დროს ყველაფერი ისევ გაანგარიშებული, ჩვენი სურვილი ოცნებად დარჩა.

მერე მიგვიწვიეს კუნძულ კიპრზე ზღვის გამოქვაბულისა და ცნობილი პომპეის მოქმედი და ჩაქრალი ვულკანის დასათვალიერებლად, რადგან ყოველივე ეს ნანახი მქონდა, ჯგუფს გამოვეყავი და ციტრუსების ბაღებს მივაშურე. მე უფრო იმან დამაინტერესა, რომ ქალაქში, როგორც წესი, სახურავებზე აშენებენ ციტრუსებს, ზოგან კასრებში, ზოგან უშუალოდ მიწაზე. მშვენიერ მოსავალს იღებენ ოურმე, ქალაქიც მოლიანად ბაღს ემსგავსება. ეცალე, საქართველოშიც გადმოგვეღო ეს წესი, მაგრამ იმდენად კონსერვატორები ვართ, არაფერი გამომივიდა.

ჩვენი მარშრუტით 5 დღე საფრანგეთში უნდა დაგვეყო. იქაურ შთაბეჭდილებებს ასეთი ეპიზოდით დავიწყებ: საღამოს 7 საათზე მე და ჩემი მეგობარი, აკადემიკოსი ლევან ჯაფარიძე პარიზში ვართ ერთ პატარა სკვერში. ცოტა მოშორებით სამი შუახნის კაცი დგას, იცინიან, თან თვალს ჩვენკენ აპარებენ. მერე მოვიდნენ, გაზეთი გამოგვიწოდეს, ესენი თქვენ ხართო? მიუთითეს სურათზე, ცოტა ინგლისური ვიცოდი და დავუდასტურე. ისე, გაკვირვებას ვერ ვუვარაუდით — დღის 3 საათზე ჩავედით ქალაქში. საღამოს 7 საათზე უკვე გაზეთში ვართ, თანაც ჩვენი ვინაობის წარწერით. სურათი კი, მაგრამ წარწერა? ვერ გავარკვიეთ, ალბათ დელეგაციის რომელიმე წევრისაგან გაიგეს.

საღამოს 9 საათი იქნებოდა, რესტორანში ვვახშმობდით. ოფიციანტი ჩუმად გვეუბნება, ოქვენ ლერეფანში გელოდებიანო. გამოვედით და რას ეხედავთ, ოცაძლე კაცი, ჩვენი ემიგრანტი ქართველები შეკრებილან ბატონ ვიქტორ ნოზაძის მეთაურობით. ზოგს გაზეთით და ზოგს რადიოთი ერთმანეთისათვის უცნობებიათ და რესტორანში ვუპოვნივარო. ნომრებში მივიწვიეთ ისინი, კრუიზის სხვა

ქართველებიც მოვიხმეთ, ბევრი ვისაუბრეთ, ქართული ღვინოები გავხსენით, ამას ქართული სიმღერებიც მოჰყვა. დაუვიწყარი საღამო გამოდგა.

მერე გამომგზავრებამდე არ მოგვცილებიან. გული ტკიოდათ იმაზე, რომ ზოგიერთი თანამემამულე უნდობლობას იჩენსო, სამშობლოს მოღალატედ გვთვლისო, არადა, ჩვენი წინაპრები შეიფარეს აქ ფრანგებმა, რისთვისაც უსაზღვროდ მადლობელნი ვართო.

პარიზში მეორედ ვიყავი, დასათვალიერებელ ობიექტებს გვარიანად ვიცნობდი. ამიტომ ვთხოვე თანამემამულეებს და ისინი დიდი სიამოვნებით დამთანხმდნენ — საფრანგეთის სოფლის მეურნეობის გაცნობაში დამხმარებოდნენ. მათ ეს სურვილი შემისრულეს და დიდად მასიამოვნეს. იმისი დროც დამრჩა, მენახა ნაპოლეონის საფლავი (ადრე ჩემი იქ ყოფნის დროს რესტავრაციას უკეთებდნენ), დიდებული ეიფელის კოშკი, განუმეორებელი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარ-მუზეუმი.

წინ ლონდონი გველოდა. ჩემთვის ინგლისი უფრო საინტერესო იყო, რამდენადაც პირველად უნდა დამედგა ფეხი ამ ქვეყნის მიწაზე. გამეგონა ინგლისელები ცივი ხალხიაო, მაგრამ ჩვენ ეს ვერაფერში ვიგრძენით, პირიქით, ძალიან ობილი მიღება გვქონდა. ლონდონი დიდი ქალაქია, რამდენიმე მერიად დაყოფილი. ჩვენ გვქონდა ბედნიერება მთავარ მერთან მოვხვედრილიყავით. მე გამაფრთხილეს, რომ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდოდი. ამ გამოსვლის შემდეგ ჩემთან მოვიდა მაღალი, ინგლისური იერის სიმპათიური ქალბატონი და სავიზიტო ბარათი გამომიწოდა, ხვალ, საღამოს 5 საათზე ოჯახში გეპატიჟებითო. ბარათში ამოვიკითხე, რომ ეს ქალი ინგლისის კულტურის მინისტრი და საბჭოთა კავშირ-ინგლისის საზოგადოების წევრია. მადლობა გადავუხადე. მეუღლითა ვარ, ცოტა შეუძლოდაა, თუ ხვალ გამოკეთდა, ტელეფონით დაგიკავშირდებით-მეთქი, ვიცრუე. მეუღლეს არაფერი არ ჭირდა, მაგრამ არ ვიცოდი რა გადაწყვეტილებას მიიღებდა საბჭოთა საელჩო, რომელსაც იმავე დღეს დავურეკე, საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო. მასპინძელიც კარგ პიროვნებად დამიხასიათეს, თუ საჭირო იქნება, თარჯიმანსაც გამოგაყოლებთო, მადლობა გადავუხადე (იქ საყოფი ინგლისური კი ვიცოდი), თარჯიმნისათვის არ შეგაწუხებთ-მეთქი.

დილით დავურეკე მასპინძელს. საღამოს 5 საათზე მანქანამ მომაკითხა. ეს კაცი მძღოლს არ ჰგავს — მეუბნება მეუღლე, მეც დავუდასტურე. — რა ენაზე საუბრობთ, — გვკითხა მორიდებით, — ცოტა რუსული კი ვიცი... — ავუხსენი, რომ ქართველები ვართ და ჩვენი ენა სრულიად არ ჰგავს რუსულს. ეჭვი საფუძვლიანი გამოდგა, ჩვენი მძღოლი მინისტრის მეუღლე აღმოჩნდა.

სუფრა ოთხ პერსონაზე გაეწყოთ. შინაურულად გვაგრძნობინეს თავი. მე საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ მოსკოვში ერთ ქართულ ოჯახში მიმიპატიჟეს, იქ ძალიან ბევრი გავიგე ქართველებზე, მათ ისტორიაზე, ვიცი, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, გაქვთ საკუთარი ანბანი, ვიცნობ შოთა რუსთაველს, თქვენ რომ „ვეფხისტყაოსანი“ მომართვით, ისეთი არა, მაგრამ ორი სხვა გამოცემა მაქვს. მე ვიცი, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდ პატივს თქვენ სცემთ ქალებს. ძალიან მომეწონა გუშინ ქალაქის მერიაში რომ თქვით: ყველა სახელმწიფომ თავისი ჯარისკაცები შინ დააყენოს, უცხოეთში მეცნიერებმა, მწერლებმა, კულტურის მუშაკებმა უნდა იარონო. ომი საეროოდ უნდა ამოვიღოთ ლექსიკონიდან, სხვათა შორის, ამისათვის მოგიწვიეთო.

ერთი დეტალი: მაგიდაზე მხოლოდ ოთხი ბოკალი ღვინო იდგა. ძალიან მწყუროდა, მასპინძლის შეწუხებას მოვერიდე, სამაგიეროდ ის ბოკალი ღვინო შემომეხარჯა. მეუღლეს ვთხოვე გადმოესხა მისი ბოკალიდან, არ ქნა, სირცხვილიაო, მოსამსახურეს ვანიშნე — ღვინო დამისხი-მეთქი. ხელები გაასავსავა, არ შეიძლებაო. მასპინძელმა შენიშნა და ღვინო ბოთლით მოატანინა, ქართველებს სხვა წესი აქვთ, მაგათ ღვინო ბოთლით უნდა ედგათო. საღამოს მასპინძლებმა ისევ თავიანთი მანქანით მიგვაცილეს სასტუმრომდე, გულთბილად დაევმშვიდობეთ ერთმანეთს.

მეორე დღეს მთელი ჯგუფი ჰაიდ პარკში წავედით, შევნიშნეთ, ჩვენს წინ ვიღაც ფეხით ხის კასრს მიაგორებს, სხვებიც მიჰყვებიან, გადმოაბრუნებენ ამ კასრს, რიგრიგობით ადიან მასზე და ლანძღავენ: — იგი წელიწადში 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს ხარჯავს, დღეს ოთხშაბათია და ეკლესიაში 50 ცხენოსანი გააცილებსო. ორატორებს ირგვლივ უელიდა პოლიცია, როგორც გვითხრეს, იცავდნენ, ხელი არავის შეეშალა. ეს, ცხადია, გაგვიკვირდა. ჩვენში დიდი ხელმძღვანელის გინებას გულშიც ვერ გაიელებდი. იქ კი საჯაროდ ლანძღავდნენ, პოლიციის ექსკორტის თანხლებით.

იმავე დღეს ვინძორში ჩაგვიყვანეს, დავათვალიერეთ ვინძორის საზაფხულო სამეფო სასახლე, სამხედრო მუზეუმი. ვეწვიეთ საინტერესო სკოლას, სადაც მხოლოდ ლორდების შვილები იზრდებიან, თანაც სახელმწიფო ხარჯზე. ახალგაზრდები იქვე აირჩევენ სპეციალობას და ამთავრებენ უმაღლესს.

თითქმის მთელი დღე მოვუნდი მადამ ტიუსოს მუზეუმის დათვალიერებას, დიდ ინტერესს იწვევს ის, რომ იქ ყველა წამყვანი ქვეყნის მეთაურის ქანდაკება დგას ნატურალური ზომით. მათ შორის ჩერჩილის, რუზველტის და სტალინის. ერთ-ერთი განყოფილების გამოსასვლელში კი ჰიტლერი-

საც. იმავე დღეს დავათვალიერეთ ციხე ტაუერი. მე ჩვეულებას ვერ ვუღალატე და ბოტანიკური ბაღიც მოვინახულე. შემდეგ ამინდი მოიშალა, დანისლა, ორი დღე ტყუილად ვისხედით. უსაქმო კაცის ამბავი მოგეხსენებათ და სართულის მორიგეს გამოვესაუბრე, მერე ვკითხე: — თუ შეიძლება აქ რამდენიმე კაცისათვის ვახშამი შევუკვეთო — დაბადების დღე მაქვს-მეთქი. — როგორ არაო, — მითხრა თავაზიანად. რესტორანში საუზმეზე რომ ჩავედით, ინგლისურად და რუსულად რადიოთი მილოცავენ დაბადების დღეს. მეუღლე მეუბნება: — რა ქენი ეს, მამია, შენს ანკეტაში რომ ჩაიხედონ 16 სექტემბერი გიწერია დაბადების დღედ, ახლა კი ოქტომბერია და ხომ მოგეჭრა თავიო. რაღა უნდა მექნა, საღამოს მართლაც გავმართეთ ვახშამი. საბჭოთა საელჩოში შეეტყოთ და ორი თანამშრომელი იქიდანაც მოვიდა საჩუქრებით.

მეორე დღეს, ლონდონიდან გავედით. კურსი დანიისაკენ ავიღეთ. კოპენჰაგენში წვიმა დაგვხვდა, სულ ერთი დღე გვქონდა ვადა, ამიტომ თავისუფლად გაგვიშვეს, ოღონდ, არ და

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა მე დამევალა, მოადგილედ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ ღვინჯილია დამინიშნეს. თავად ისურვა ასე ბატონმა მიხეილმა — ჩემმა დიდმა მეგობარმა. პავილიონის გაფორმებას ხელმძღვანელობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის მთავარი დეკორატორი გიორგი მანაგაძე, მე ვიტყოდი, მისი დარი დეკორატორი არ გვყოლია ქართველებს. საინტერესოა, რომ გამოფენაში მონაწილეობდნენ ბალტიისპირეთი, რუსეთი, უკრაინა და საბჭოთა ქვეყნების ყველა რესპუბლიკა. ოქროს მედალი კი საგამოფენო კომიტეტმა საქართველოს მიაკუთვნა. ამის შემდეგ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი გივი ჯავახიშვილი დიდი სიმპათიით ეკიდებოდა ბოტანიკურ ბაღს. სხვას დავაკლებ და ბოტანიკურ ბაღს მივცემო, იტყოდა ხშირად.

ჩვენი ბოტანიკური ბაღი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. 1966 წლის გაზაფხულზე საკავშირო ბოტანიკური ბაღის საბჭოზე გამოვაცხადეთ — ექსპედიციას ვაწყობთ ლენქორანსა და ლერიკის მთებში, შეგვიძლია მსურველებიც შევიმატოთ-თქო. მარილაც, შემოგვიერთდნენ მეცნიერ-მუშაკები მოსკოვის, მინსკის, კიევის, ერევნის, სოხუმის, ბათუმის ბოტანიკური ბაღებიდან.

ბაქოში დიდებულად მიგვიღეს. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიგონო აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სატყეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ნაღდი გულიანი კაცი იბრაგიმ საფაროვი. იგი ერთგული მეგობარია ქართველი ერისა და ყველაფერი გაგვიკეთა ექსპედიციას წარმატებით რომ ჩაევლო. ბატონი იბრაგიმი ლენქორანში ჩაგვყვა. იქ ქალაქის ხელმძღვანელობამ გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო. იქიდან ლერიკის ხეობის განუმეორებელი ფლორის შესასწავლად გავემგზავრეთ. საინტერესო ის იყო, რომ არც ისე მოკლე გზაზე, მოსახლეობის გაფრთხილება მოესწროთ — ყველანაირად შეუწყვეთ ხელი ექსპედიციასო, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით. წამოსვლისას დიდი ვახშამი გაგვიმართეს ლამაზი მდინარის პირას. ჩვენი ხელმარჯვე ქალები, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები მელიტა ექვთიმიშვილი და ნინო კახელაძე მასპინძლებივით ტრიალებდნენ. ბევრი ლამაზი სადღეგრძელო ითქვა, ბევრი საყურადღებო წინადადება და აზრი გამოითქვა იმ საღამოს, მერე ასე რომ წაგვადგა საქმეში.

ჩვენი ექსპედიციის შედეგები მოისმინეს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ალიევმა, მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური განყოფილების აკადემიკოსმა მდივანმა მეხმედ ალექფე-

როვმა, ბოტანიკური ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ვაგიდ გაჯიევმა და შემდგომი წარმატებები გვისურვეს...

ჩემი ექსპედიციიდან დაბრუნებას დიდი სიხარული დაემთხვა, 1966 წლის 1 სექტემბერს ოჯახში გაჩნდა პირველი შვილიშვილი — ირაკლი ჟვანია. ამასობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ახლოვდებოდა. ერთ მშვენიერ საღამოს საქართველოს კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტიდან დამირეკეს, ბატონო მამია, საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატობის ნდობით აღჭურვილი პირები დავამტკიცეთ, ყველაზე დიდი პატივი თქვენ გერგოთ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის ნდობით აღჭურვილ პირად დაგამტკიცეთ. ვიუარე, არაა ეგ ადვილი-მეთქი. მეორე დღეს საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ოთარ ლოლაშვილმა მიმიწვია, ვასილ მჟავანაძეს დაურეკა და ყურმილი მე გადმომცა. ამხანაგო მამია, მეუბნება ცეკას პირველი მდივანი, ძალიან გამიხარდა, რომ დიდი მეცნიერი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ხართ ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი, ჩაიწერეთ ჩემი ბინისა და სამსახურის ტელეფონის ნომრებიო.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჩემი 10-წუთიანი მოხსენების შემდეგ, სცენაზე, დეპუტატობის კანდიდატის გვერდით მქონდა დათმობილი ადგილი, ამხ. მჟავანაძემ ხმამაღლა მითხრა — გმადლობთ, მამია, ასეთი თბილი სიტყვებისათვის.

თურმე წესი ყოფილა, ნდობით აღჭურვილი პირი ბანკეტის თამადა უნდა ყოფილიყო, ეს რომ გავიგე, კონცერტის დამთავრებამდე წავედი სახლში, როგორც შემდეგ ქალაქკომის მდივანმა ოთარ ლოლაშვილმა გადმომცა, ვასილ მჟავანაძეს ეს ძალიან ეწყინა, მაგრამ გულგამყოლი კაცი არ იყო.

თბილისის აქტიური ცხოვრების შუაგულში ვიყავი ყოველთვის. არაერთხელ ამირჩიეს ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად და აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. ეხელმძღვანელობდი დედაქალაქის გამწვანების სექციას. ქალაქ თბილისის გამწვანების ორგანიზაცია, როგორც წესი, ყოველწლიურად მონაწილეობდა მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში და ყოველთვის წარმატებით... ამ საქმეს ღირსეულად ვართმევდით თავს — მე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ ღვინჯილია და ბატონი იოსებ ჩოდრიშვილი. ვერ დავივიწყებ იმასაც, რომ გამოფენის ხელმძღვანელებმა ერთ მიგდებულ 2-ჰექტარიან ნაკვეთზე ტყე-პარკის გაშენება გვთხოვეს. დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ ამ საქმეს, რომელსაც სათავეში ცნობილი დეკორატორი გიორგი მანაგაძე ედგა...

ტყე-პარკის გაშენების შემდეგ საქართველოს მინისტრთა საბჭოს კომისია ჩამოვიდა მოსკოვში. მას დიდებული ქართველი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ჩოგოვაძე ხელმძღვანელობდა, გამოფენის შიგა ტრამვაით გასეირნებისას ექსკურსიამძღოლმა გამოაცხადა: — ხელმარჯვნივ გამოფენის შედეგრი და სიამაყე ქართული ტყე-პარკიაო, ბატონმა გიორგიმ აღტაცებულმა წამოიძახა, — კომისია პარკს ხუთიანზე იბარებსო.

1968 წლის გაზაფხულზე გამომიძახეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სხვებიც იყვნენ, სულ 14 კაცი. თურმე ინდოეთში გეგზავნიდნენ ლექციების წასაკითხავად. მე აკადემიკოს ნიკოლოზ ციცინის წარდგინებით უნდა წამეკითხა ლექცია — „ბოტანიკური ბაღი — სახალხო მეურნეობას“ და როგორც სუბტროპიკოსს, კიდევ ერთი ლექცია — „საბჭოთა სუბტროპიკები“.

გაგვაფრთხილეს, ალკოჰოლიანი სასმელები არ წაიღოთო, მაგრამ ქართველი აბა რისი ქართველია, უღვინოდ ფეხი თუ გადგა. მოსკოვში, საქართველოს წარმომადგენლობიდან დამეხმარენ კეთილი ადამიანები, საიმედოდ შემიფუთეს 20 ბოთლი ქინძმარეული და 16 ბოთლი ქართული კონიაკი. „საექსპედიციო ქიმიკატები“, წააწერეს ლამაზ ყუთს და ასე ამოვაყოფინე თავი ჩვენებურ განთქმულ სასმელებს შორეულ ინდოეთში.

ეს მოგზაურობა ერთ სასიამოვნო მომენტთანაა კიდევ დაკავშირებული, ოვიომფრინავში შევხვდი ჩემი საყვარელი ადამიანის კანდიდ ჩარკვიანის ვაჟს, ჩემი შვილის მეგობარს — გელა ჩარკვიანს, განათლებულსა და ინგლისურის საუკეთესოდ მცოდნე ახალგაზრდას.

ინდოეთის დროით 6 საათზე დელიში ვიყავით. აეროპორტში საბჭოთა კავშირის საელჩოს მუშაკი დაგვხვდა მანქანებით და... „ჩეპე“. ერთი ბოთლი ქინძმარეული გატეხილიყო და ყუთი მთლიანად შეელება.

— რა ქქნა, ამას სასტუმროში ვერ შევიტანთ, ინდოეთში მკაცრი მშრალი კანონია, — გვეუბნება საელჩოს წარმომადგენელი. ყუთი გავხსენით, ბოთლები 14 კაცმა გავინაწილეთ, „საელჩოს კაცს“ ვუთხარი, თუ გაჩერდები, ერთი ბოთლი კონიაკი შენი იქნება-მეთქი, კონიაკი არა და ღვინოზე არ ვიტყვი უარსო.

პირველი, რამაც გზად მიმავალნი გაგვაკვირვა, სულ დედიშობილა პატარები იყვნენ. თხრილებში ლეკვებივით დაცოცავდნენ. — რაა ეს, მაიმუნები თუ ბავშვები? — ვკითხე საელჩოს მუშაკს. ბავშვებიო, რომ მითხრა, ცუდად გავხდი, მაგნაირებს ნახავ აქა? — ისე მშვიდად მითხრა, თითქოს მეც დავწყნარდი.

მაღალი კლასის სასტუმროში მოვთავსდით. მე და აკადემიკოსი ვასილევი — ერთ ნომერში. კარგი კაცი იყო, მალე შეეგეგუეთ ერთმანეთს.

ინდოეთში ყველაფერი საინტერესო იყო, ოღონდ აქაურ საჭმელს ვერ წავეკარეთ, ზომაზე მეტად ცხარე იყო ყველაფერი, თვით ფლავიც, მაგრამ რას იზამ, სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო.

დღის 12 საათზე საბჭოთა კავშირის ელჩმა მიგვიღო — ბატონმა პეგოვმა. გამოცდილმა სახელმწიფო მოღვაწემ, ქართველების ნამდვილმა მეგობარმა. ანკეტები წინ ედო და ცალ-ცალკე გვესაუბრა თითოეულს. მე მითხრა, ქართველების სიყვარულისათვის მისროლეს ინდოეთშიო. ინდოეთს კიდევ რა უჭირს, ხრუშჩოვმა ირანში გადამაგდო, შენ ქართველებს ეთაყვანები (მხელდველობაში ჰყავდა სტალინი) და ამიტომ ერთი ცის ქვეშ გაგვიძნელდება მუშაობა, ირანი ახლოსაა საქართველოსთან და იქ გაგიშვებ ელჩადო. ბრეჟნევმა ინდოეთში გადმომიყვანა, ეს მაინც სულ სხვა ქვეყანაა. მერე შემომხედა, რაღაც უხასიათოდ მეჩვენებიო. მეუხერხულა, ბრმა ნაწლავი მაწუხებს-მეთქი. შეხვედრის დამთავრების შემდეგ მოვილაპარაკოთო.

მერე სხვა თემაზე გადავედით. — ნუ მიწყენთ, მეგობრებო, თქვენ ეს არ გეხებათ, მე უბრალოდ მიკვირს, რატომ იქცევიან ასე, ნუთუ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არ იციან, რომ ინდოეთში არავის უნდა ჩვენი კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის ისტორიის, თუ პარტიული მშენებლობის საკითხები. თემატიკას რომ გადავხედე, 14-დან მხოლოდ 6 პროფესორს მოუსმენენ აქ. დანარჩენები ტყუილად მოაცდინეს თურმე.

ინდოეთის დათვალიერება არ შეიძლება დროის დაკარგვად ჩაითვალოს, მე გამიმართლა, მოსკოვშივე ვიცოდი, რომ სუბტროპიკულ კულტურებსა და ბოტანიკურ ბაღზე აინტერესებდათ ლექციები მადრასის უნივერსიტეტის ბიოლოგიურ ფაკულტეტზე.

შეხვედრების დამთავრების შემდეგ ამხ. პეგოვმა მითხრა, არანაკლები საავადმყოფო გვაქვს აქ, ვიდრე ჩვენი მოსკოვის მეოთხე სამმართველოს, „კრემლიოვკას" არ ჩამორჩებაო. მთავარ ექიმს გამოუძახა, საფუძვლიანად გამსინჯეს, ჯერჯერობით ოპერაცია საჭირო არააო, გამამხნევა. აგერ ჩემი ტელეფონი და ტკივილმა თუ შეგაწუხოს, სადაც არ უნდა იყოთ, მოგეშველებითო. გამომშვიდობებისას პეგოვმა მითხრა: — გზადაგზა ქართველი ბიჭები შეგხვდებაო, ბომბეიში — ალექსანდრე ჩიკვაიძე, მადრასში — თბილისელი პარასტაევი. პირობები კარგი გექნებათ, პირადად თქვენ, რაკი ავადმყოფობა გაწუხებთ, ბორჯომის წყალს არ მოგაკლებენ, ხანდახან ნარზანიც გამოერევა, ყოველთვის მზად ვარ ქართველებს ვემსახუროო.

ასეთმა ყურადღებამ, ადამიანურმა მოპყრობამ ყველაფერი გადამავიწყა. 40 დღე დავრჩი ინდოეთსა და ნეპალში, მაგრამ ბრმა ნაწლავს ერთხელაც არ შეუხსენებია თავი.

პეგოვმა სტალინთან მუშაობის წლებიც გაიხსენა: — თუ ვინმეს შეუძლია შეაფასოს ეს დიდი პიროვნება, ერთი იმათგანი მე ვარ. თქვენ აჭარის ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ყოფილხართ, — მეუბნება მასპინძელი, მე წაველიკითხე თქვენი ანკეტა, მაგრამ ალბათ სტალინს ისე არ იცნობდით, როგორც მე. მსოფლიოს ჯერ მაგნაირი კაცი არ ჰყოლია. ზოგი სტალინს ალექსანდრე მაკედონელს ადარებს, ზოგი ჩერჩილს, ზოგი ნაპოლეონს, მე კი მას ვერავის შევადარებ. ეს იცოდა ხრუშჩოვმა და იმიტომ ვერ მიტანდა. მომაკვალი თაობები უფრო ღირსეულად შეაფასებენ სტალინის პიროვნებას. — მაშინ ვუთხარი, მე ის კაცი ვარ, გაგრის აგარაკზე გორული ატმის ბაღი რომ გაკუშენე სტალინს-მეთქი. — ელჩი აღფრთოვანდა და მკითხა, ხომ არ ვისურვებდი მასთან მუშაობას. უარი ვუთხარი, მე ჩემი საქმე მელოდებოდა თბილისში, რომელსაც ვერ ვუღალატებდი.

საელჩოს წარმომადგენლებმა ის დღე დელიში გაგვატარებინეს, მეორე დღეს „დაწუნებულ ბიჭებთან ერთად“ (თქვენი ლექციები არ სჭირდებათო, რომ უთხრეს), აგრაში წასვლა შემოგვთავაზეს. დავათვალიერეთ მსოფლიოში ცნობილი სახლ-მუზეუმი „ტაჯმახალი“, მეორე მუზეუმიც, შვილს რომ აუშენებია ტაჯმახალისათვის, ოღონდ მარმარილოთი კი არა, ქვით, სასახლის ირგვლივ 10 მეტრის სიგანის არხი შემოუყოლებია, რომ მამამისი არ გამოსულიყო სასახლიდან, ზედ მოძრავი ხიდი გაუდვიათ, რომ უნებართვოდ არავინ შემოსულიყო.

აგრაში შევხვდი ერთ ახალგაზრდას, რომელმაც ჯერ ინგლისურად მკითხა, — თქვენ გოგოლიშვილი ხართ? — ისეთი დრო იყო, შევშინდი და არ ვუპასუხე, მერე რუსულად მომმართა, ისევ არ გამოვეხმაურე. ბოლოს მითხრა, — მამია ალექსის-ძევ, მე ყოფილი ჭარნალის საგუშაგოს უფროსი ვარ — სალამატინი, მოგზავნილი არ გეგონოთ, ბათუმის შემდეგ მოსკოვში დავამთავრე ინსტიტუტი, ახლა ინდოეთის სახელმწიფო სავაჭრო პალატაში ვმუშაობ.

ძალიან გამიხარდა. სასტუმროში დავპატიჟე. ამხანაგებიც მოიყვანე-მეთქი. მეწვიენენ, ქინძმარეულით გავუმასპინძლდი. სამაგიეროდ, მსოფლიოში სახელგანთქმულ ნიანგების ტბაზე წამიყვანეს. დილის 6 საათი იყო. უშველებელი ნიანგები ნაპირზე გამოსულიყვნენ საკბილოს მოლოდინში. ექსკურსიამძღოლმა გვიამბო, აქ წყლის დასალევად მოსულ ლომს, ვეფხვს ან სპილოს ნიანგები მოხერხებულად, ეშმაკურად წაავლებენ ღრუნჩში პირს, ტბაში ჩაითრევენ და ერთ საათში ისე გადასანსლავენ, ძვლებიც არ დარჩებაო.

ტბის ბოლოს მანქანის მოსაბრუნებელია, მძღოლები გააფრთხილეს — შუშები არ ჩამოუშვათ, არც ძრავა გამორთოთ, ვინ იცის, ყველაფერია მოსა-

ლოდნელიო. ნიანგების ტბას თითქმის მთელი მსოფლიოს ბუნების დაცვის საერთაშორისო ფონდებს თურმე, 40 000 ნიანგის შენახვა იმდროინდელი ინდოეთისათვის არც ისე ადვილი საქმე იყო.

ერთი პატარა შტრიხი: წასვლისას გაგვაფრთხილეს, თქვენ პროფესორები ხართ, იქნებ ვინმეს მოუნდეს რითიმე დაგასაჩუქროთ. არავითარ შემთხვევაში არ აიღოთო. სალამატინმა, მისმა მეგობრებმა, ე. წ. ფირმაჩებმა, მითხრეს — ახლა წაგვყევი, ფაბრიკას გაჩვენებთ, რომლის ნაწარმს (ფეხსაცმელი) ვყიდულობთ და ჩვენს ქვეყანაში ვაგზავნითო. დავთანხმდი, ფაბრიკა ინგლისური მარკით ფეხსაცმელს უშვებდა. თან მახლდა, შემდგომში ჩემი დიდი მეგობარი, ივანე სალდატენკო. ფაბრიკიდან გამოსულებს სალდატენკო მეკითხება: — თუ იცით, რაა შესასვლელში სილა რომ იყო გაშლილი, რას ნიშნავს ნეტავ? — მხოლოდ მხრები ავიჩეჩე. მეორე დღეს აგრადან ბომბეიში გავფრინდით. ერთ-ერთ სკამზე ფეხსაცმლის ორი ყუთი ეწყო, ეროს აწერია — მამია გოგოლიშვილს, მეორეს — ივანე სალდატენკოს. ჩემს ყუთში სალამატინის პატარა წერილიც იდო: მამია ალექსის ძევ, თქვენი ფეხის ზომა უაბრიკის შესასვლელში გაფენილი ლამით დავადგინეთ, მეუღლეების ფეხის ზომა — ვარაუდით, ვიცი, რომ თქვენ გეკრძალებათ მცირე საჩუქრის მიღებაც, მაგრამ მე საქართველოში დიდხანს ვიყავი და ყველაფერი მახსოვს, თქვენ ნამდვილად ქართულად გაგვიმასპინძლდით, სხვებს თავიც არ შეუწუხებიათ. ბოდიშს გიხდით მცირედი საჩუქრისათვის.

აეროდრომზე ბომბეის საკონსულოს უფროსის მოადგილე ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე დაგვხვდა. მიუხედავად იმისა, რომ დეკემბრის შუა რიცხვები იყო, აქ მაინც ძალიან ცხელოდა. ბატონ ალექსანდრეს მანამდე არ ვიცნობდი. აეროპორტში შესულთ გვკითხა — ყველაფერი კარგი, მაგრამ ქალბატონ გოგოლიშვილს რატომ ვერ ვხედავ? — ქალბატონი არა, მაგრამ ვაჟბატონი გოგოლიშვილი მე გახლავართ-მეთქი, მივუგე. დეპეშა რომ გაუგზავნიათ, სახელი მამია, მარიად აღუქვიათ, ბევრი ვიცინეთ ამაზე.

ბატონმა ალექსანდრემ ჩინებულად მიგვიღო. საღამოს 5 საათზე მომაკითხა და მითხრა: ერთ ისეთ ქუჩაზე წაგიყვან, სადაც უცხოელებს არ აჭაჭანებენ, სანდო მეგობრებიც შეგიძლიათ წამოიყვანოთო. აკადემიკოს ვასილიევს ეუთხარი ეს, დიდი სიამოვნებითო. ბატონი ალექსანდრე იმდენად ფრთხილი კაცი იყო, რომ ქუჩაზე, რომელსაც „ლედი სტრიტი" ჰქვია, მძღოლიც კი არ წამოიყვანა, მანქანას თვითონ მართავდა. ამ ხუთკილომეტრიან ქუჩაზე იმდენი ხალხი ირეოდა, მანქანას მოძრაობა უჭირდა, უეცრად ძრავა გამოირთო, გადმოსვლა მოვინდომეთ, მანქანას მოვაწვებით-თქო. ალექსანდრემ იყვირა — არ გაგიჟდეთ, ღმერთმა უწყის, რომელი ლედის ოთახში შეგაგდებენ. ფული

ამოიღო, ქუჩის უსაქმურებს მისცა, იმათ გააგორეს მანქანა და უხიფათოდ გავეცალეთ იქაურობას.

მეორე დღეს ბატონმა ალექსანდრემ დაგვათვალიერებინა დელფინარიუმი, დაკიდებული ბაღი, ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი და საერთოდ ისეთი მასპინძლობა გაგვიწია, ჩემი მეგობარი პროფესორების თვალში, ქართველები კიდევ უფრო ავმაღლდით: — აი ქართული ხრდილობა და კულტურა, გაიძახოდნენ აღფრთოვანებულნი.

იმავე საღამოს ბატონმა ალექსანდრემ მე და ჩემი მეგობარი, აკადემიკოსი ვასილევი ოჯახში მიგვიწვია, მეორე დღეს კი მთელ ჯგუფს, საკონსულოს დახმარებით, ინდოეთის ოკეანეში ნაპირიდან 70 კილომეტრით დაშორებულ 500-ჰექტარიან კუნძულზე გამგზავრება მოგვიწყო. ყველას გვაინტერესებდა რატომ ერქვა, სპილოს კუნძული, მაგრამ დამაჯერებლად ვერ ამიხსნეს. იქ ერთი სპილოც არ არის. სამაგიეროდ, მაიმუნები ბუზებივით ირევიან. მოგეხსენებათ, მაიმუნი ინდოეთში წმინდა ცხოველად ითვლება და ვაგლახ ხელს ვერავინ ახლებს. როგორც გვითხრეს, იქ მაიმუნები დაავადებული იყვნენ განუკურნავი დიზენტერიით. ამიტომ მათი გამოყვანა და გაყიდვა არ შეიძლებოდა. დაავადება დაავადებად, მაგრამ მადა გასაოცარი ჰქონდათ. არც ერთ ხეზე ფოთოლი არ იყო შემორჩენილი. გვაფრთხილებდნენ, ცხვირსახოცის ამოსაღებადაც არ ჩაიყოთ ხელი ჯიბეში, თორემ მაიმუნებს ეგონებათ საჭმელი უნდა მოგვცესო და შემოგესევიან, ვეღარ მოიშორებთო. ისედაც სულ ‘ეხებში გვებლანდებოდნენ.

ბომბეიდან მე და ვასილევი მადრასში გავემგზავრეთ, იქ დაგვხვდა ძალიან კარგი ახალგაზრდა, ჩვენი საკონსულოს თანამშრომელი, მას წინასწარ ტელეფონით დაუკავშირდა ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე და ამიტომაც დიდი ყურადღებით გვეკიდებოდა.

გავეცანი იქაურ უნივერსიტეტს. იგი 22 კოლეჯს ითვლიდა, ფასიანი სწავლებით ლექციის გაცდენაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, მე იქ ლექციები წავიკითხე სუბტროპიკებზე და იმ ღონისძიებებზე, ჩვენში რომ ხორციელდება დარგის, აგროტექნიკის და, საერთოდ, ამ მეცნიერების განვითარებისათვის. სტუდენტთა 90 %-მა ჰინდის ენის გარდა სხვა ენა არ იცოდა, ამიტომ ლექციები სინქრონულად ითარგმნებოდა. გამაფრთხილეს, ბოლო ლექციაზე არ წავსულიყავი, რექტორს უნდა თქვენთან სურათის გადაღებაო. მოვიდა რექტორი, გადავიღეთ სურათი, მერე მთხოვა ჩემმა მეუღლემ ყავაზე დაგპატიჟაო და სახლში მიმიწვია. იქვე, უნივერსიტეტის ეზოში ცხოვრობდა. საკუთარი ორსართულიანი სახლი ედგა. მასპინძელმა წარმომიდგინა ძალიან სიმპათიური დიასახლისი. 6-მეტრიანი მახრჩობელა გველი ჰყავდათ თურმე სახლში,

კიბეზე რომ ავდიოდით, დახვეული იყო და ვერ შევნიშნე. მასპინძელმა რაღაც ქიაყოდა, იმხელაზე გააღო პირი, ლამის გული გამისკდა. შევწუხდი, ბოდიში მოიხადა, დამამშვიდა, არაფის არ ერჩის, თუ გაჯავრდა მაშინაა საშიში, ნებისმიერ ცხოველს გაგუდავსო.

— აი, ესენი, ნახეთ, რა ლამაზებია, — ყუთს ახსნა თავი და ორი სხვადასხვა ჯიშის გველი ამოიყვანა. სილაში ჰყავდა, შეჯვარებაზე ემუშაობო. ისე დამეკარგა ხასიათი, არავითარი ყავა აღარ მინდოდა.

იქაური წესისამებრ, სტუმარს, თუ ძალიან საპატიოცემულოა, პირველი ლუკმა მასპინძელმა უნდა ჩაუდოს პირში. ჩემს მასპინძელს კი გველები რომ ეჭირა, სილა ისევ შერჩენოდა ხელზე. გამოვიქეცი, ლექციებზე მაგვიანდებამეთქი. დიასახლისმა მანქანაში მომაწია ყავა.

იმ კათედრის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელთანაც მე ვიყავი დაკავშირებული, მეუღლე დოკერი ჰყავდა. საღამოს სასტუმროში ჩვენი საკონსულოდან დამირეკეს: ამხანაგო პროფესორო, დოკერთა პროფკავშირმა გთხოვათ ლექცია ჩაუტაროთ საბჭოთა კავშირის (ისინი მხოლოდ რუსეთს იცნობენ) სოფლის მეურნეობის საკითხებზე. თუ თანახმა იქნებით, მოვალთ და წაგიყვანთ. იმედია, მუშათა კლასს უარს არ ეტყვითო. არც მითქვამს. საღამოს 5 საათია, მივადექით კლუბს, ტევა არაა. 1000 კაცი მაინც იქნებოდა, საშინლად ცხელოდა, კონდიციონერები ვერ შველოდნენ საქმეს — აქ დავიხრჩობით — ეუთხარი საკონსულოს თანამშრომელს — გავყოთ მსმენელები, ნახევარი საათის შემდეგ წავიკითხავ მეორე ლექციას-მეთქი. რასა ბრძანებთ, ლექცია 100 დოლარი უჯდებათ, კიდევ 100 დოლარის გადახდა გაუჭირდებათო. მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ჩვენს ყოველ ლექციაში — სახელმწიფოს 100 დოლარს უხდიდნენ. ჩვენ კი — არაფერს.

ლექციის შემდეგ შეკითხვები დამისვეს, მათგან გამოვყოფ ორს:

1. თქვენთან ბავშვი რომ იბადება, ნემსს უკეთებენ, რომ კომუნისტი გამოვიდეს. რამდენი ბავშვი გელუპებათ ასეთი ნემსით?

— 100-პროცენტიანი სიცრუე და პროვოკაციაა, — მოვუჭერი მოკლედ.

2. თქვენ თქვით, რომ საბჭოთა კავშირი მდიდარი ქვეყანააო, მაშ რატომ ყიდულობთ ხორბალს?

— საბჭოთა კავშირს მისი პურიც ეყოფა, მაგრამ ეს ბიზნესის საქმეა. საღაც იაფია იქ ვყიდულობთ, სადაც ძვირია — იქ ვყიდით. საჭოთა კავშირი ხე-ტყითაც მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ იმასაც ზოგან ვყიდულობთ, ზოგან ვყიდით.

მადრასში დეპეშა მივიღეთ, რომ უნდა წავსულიყავით ნეპალში. მეორე დღეს გავემგზავრეთ კალკუტაში. იქ დიდი მღელვარება დაგვხვდა, ინდირა

განდის რიკშობა აუკრძალავს, როგორც შემდეგ გავიგე, პრემიერის ეს განკარგულება ვერ განხორციელდა, ისე, როგორც ბომბეიში — მეძაები ქალების „ლედი სტრიტის“ აკრძალვა.

კალკუტაში დავათვალიერეთ ჯუთისა და ჩაის საწარმოები, დავესწარით კონცერტს. მე ცალკე მოვახერხე კალკუტის ბოტანიკური ბაღის დათვალიერება. დელეგაციაში მე ერთი ვიყავი ბოტანიკური ბაღის მუშაკი და გასაკვირიც არ უნდა იყოს, თუ ვერსად ვერ ვუვლიდი გვერდს ბოტანიკურ ბაღებს.

მკითხველმა მომიტევოს, რომ ცოტა ხნით უკან მივაბრუნებ. 1967 წელს, მოსკოვში საკავშირო ბოტანიკური ბაღების სესიაზე აკადემიკოსმა ციცინმა მითხრა: — ინდოეთიდან სამი თვეა ჩამოსულია მეცნიერთა 6-კაციანი ჯგუფი, ერთ კვირაში საქართველოს ეწვევიან, 14 დღით. გაითვალისწინეთ, რომ სპირტიან სასმელებს არ სვამენ, ძროხის ხორცს არ ჭამენ, არ დააძალოთ. შეადგინეთ გეგმა. ჩვენგან პროფესორი სერგეი კაროვინი ჩამოჰყვებათ. დაეტრიალდით, შევადგინეთ გეგმა, შეათანხმეთ მეცნიერებათა აკადემიას. ბატონი ნიკო მუსხელიშვილის რჩევით, ეს გეგმა მინისტრთა საბჭოს და უშიშროების სამინისტროსაც შეათანხმეთ.

სტუმრები ჯერ თბილისსა და მცხეთას გაეცნენ, მერე წავიყვანეთ კახეთში, ნახეს ლაგოდეხის ნაკრძალი, ყვარლის დაძველებული ღვინის მუზეუმი, იყალთოს მონასტერი, წინანდლის პარკი, მუზეუმი, სხვა ღირსშესანიშნაობანი. ორ დღეს ეცნობოდნენ ფასანაურის ხეობას და ყაზბეგის საძოვრებს. გადაწყდა ღამე ფასანაურში გაგვეთია. სტუმრებს „ჩიჟი პიჟი“ მიართვეს, ძროხის ხორცისა არ იყოსო, ეჭვი გამოთქვეს სტუმრებმა, მომტანი ყოჩაღი ბიჭი აღმოჩნდა, როგორ გეკადრებათ ეს კერძი მხოლოდ ცხვრის ხორცით კეთდებაო. ამის შემდეგ ყველგან „ჩიჟი — პიჟის“ თხოულობდნენ, მეორე დღეს მცხეთის გავლით ბაკურიანში წავედით, სტუმრები დატკბენ ბორჯომის ხეობითა და ბაკურიანის მთებით.

ბორჯომიდან თბილისში დაბრუნებულს დილის 6 საათზე ვიღაც მირეკავს და მეუბნება: მე მოსკოვიდან ვარ ჩამოსული — უშიშროების გენერალი, თქვენი ინდოელი სტუმრები მაინტერესებს, გთხოვთ სადმე შემხვედეთ, რუსთაველის პროსპექტის 52-ში ვარ.

— მაგ ჯგუფის ხელმძღვანელი, — მეუბნება ბატონი გენერალი, — სანტეპუ, ინდოეთიდან წამოსვლის წინა დღით იყო ინდოეთის სამხედრო მინისტრთან, ვეჭვობთ, რომ დაინტერესდება ჩვენი სამხედრო ობიექტებით. დღეს ბათუმში მივდივარ, თუ შეიძლება მითხარით, სად და რა დროს იქნებით იქ, მეც უნდა შემოგიერთდეთ სამოქალაქო ფორმით. თქვენ გეცოდინებათ მხოლოდ. ჩაველით ბათუმში, ბოტანიკურ ბაღში გენერალი დამხვდა მწვანე ხალათით.

სტუმრებს იგი ბოტანიკური ბაღის თანამშრომელი ეგონათ, ბოტანიკური ბაღისას კი — ჩვენი კაცი. იმავე დღეს ვეწვიეთ ჩაქვის ფაბრიკა-მეურნეობას. იქ უკვე სამნი იყვნენ — ჩვეულებრივი მუშის ტანსაცმელებში. სანტეპუს მოეწონა ჩაქვის საცდელი სადგურის ჩაი და 1 კილოგრამი თესლი მოხოვა. მაგას მე მოვაგვარებო —გენერალმა. მერე ინსტიტუტში მითხრა, ეს თესლი ოჩხამურის მეურნეობიდან მოვიტანეთ, რომ მანძილი დაგვერღვია, რადგან მცენარის თესლით სამას კილომეტრზე არკვევენ ატომურ მოწყობილობასო, ბათუმი საზღვარზეა, აქ აუცილებლად იქნება რაიმე დანადგარები და გზა-კვალი უნდა აკურიოთო.

უცნაური ხალხი ვიყავით, არა?! მეორე დღეს თბილისში დაბრუნდით, სტუმრები იქიდან მოსკოვს გაფრინდნენ.

ერთი წლის შემდეგ უკვე მე ჩავედი ინდოეთში. ჩემი ძველი ნაცნობებიდან მხოლოდ ერთს შეეხვდი კალკუტაში. საკუთარი ბოტანიკური ბაღი და საკუთარი თვითმფრინავი აქვს, კალკუტაში 4 დღე დავრჩი და დაეურეკე, გამომიგზავნა ავტომანქანა, მძღოლისათვის დაებარებია, ჰკითხე, თუ უსადილოა, შეიყვანე რესტორანში და ასადილეო. მე დანაყრებული ვიყავი და მოკრძალებული მადლობა ვუთხარი მძღოლს. მასპინძელმა გულითადად მიმიღო. მათი ჩვეულებისამებრ, რძიანი ყავა მომართვა, ბაღი დამათვალიერებინა, თანამშრომლები შეკრიბა და წარმადგინა, 15 დღე რა პატივისცემაში იყვნენ საქართველოში, ისიც თქვა, ჩვენ სხვაგანაც ვყოფილვართ, მაგრამ ქართველებს ვერავინ შეედრებაო.

კალკუტის შემდეგ, მოსკოვიდან მიღებული დეპეშის მიხედვით, ნეპალში უნდა გადავსულიყავით. აეროპორტისაკენ მიმავალ გზაზე ძროხები გაწოლილიყვნენ და არხეინად იცოხნებოდნენ. ძროხას კი იქ ვერავინ კადრებს — აბრძანდი და გზა დაგვითმეო. მძღოლი იძულებული იყო შემოსასვლელი გზით წასულიყო, ჩქარობდა — კალკუტიდან დღეში მხოლოდ ერთი რეისია ნეპალამდეო. ახლა სხვა დაბრკოლება შეგვხვდა — იმავე შემოსასვლელი გზით მოდიოდა ამერიკელი მინისტრი მაკნამარა, მას რამდენიმე ათასიანი დემონსტრაცია აღუდგა, ქალაქში არ უშვებდნენ, ჩვენც ამ ორომტრიალში მოვყევით. რაღა გვექნა, უკან მოვბრუნდით და მხოლოდ მეორე დღეს მოვახერხეთ ნეპალში გაფრენა.

ნეპალი მთაში გამოკვეთილი ქვეყანაა, მაგრამ ეკვატორთანაა ახლოს და ზღვის დონიდან 2 200 მეტრზე ლიმონიც მშვენივრად ხარობს.

ქალაქ კატმანდუს პატარა, მაგრამ ყველაზე კეთილმოწყობილ სასტუმროში დაგვაბინავეს. ვეწვიეთ კატმანდუს უნივერსიტეტს, რომელზეც უამრავი მადლობის წარწერაა — ამერიკელებს საჩუქრად აუგიათ ეს უნივერსიტეტი და იმიტომ.

ნეპალი 13-მილიონიანი სახელმწიფოა. მიწა ბევრი აქვთ, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის გამოუსადეგარი. ამიტომ ეკონომიკა სიძნელეებს განიცდის. შეხვედრა საბჭოთა კავშირ-ნეპალის საზოგადოებამ გაგვიმართა. მისი თხოვნით მეორე დღეს მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოვედით აკადემიკოსი ვასილევი და მე.

ნეპალელები ძალიან დიდ ინტერესს იჩენდნენ საბჭოთა სახელმწიფოსადმი. საბჭოთა კავშირის ელჩმა გვითხრა — მეფე მახვნდრას გაუგია თქვენი აქ ყოფნა, შეიძლება თქვენთან შეხვედრა ისურვოსო.

მე ღიტალურად გავეცანი უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრას და წარმოიდგინეთ, ბიოლოგიური ლიტერატურა თითქმის არ აქვთ. რამდენიმე წიგნია ჰინდის ენაზე და მორჩა. პროორექტორისა და კათედრის გამგის თხოვნით თბილისში დაბრუნებულმა ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობის, მეტყეველობის და სხვა მონათესავე დარგების რუსული გამოცემები გავუგზავნე უნივერსიტეტს.

ნეპალში თითქმის არაა რკინიგზა. ნეპალის მთებიდან გამოდის წმინდა მდინარე განგა, იგი ნეპალის ერთ უდიდეს ეკლესიის ეზოს ჩაუდის. ეკლესიის სახურავი მთლიანად ოქროსია. მის ეზოში ყოველდღე კეთდება სადილი 25 000 გაჭირვებულისათვის. ამიტომ ეკლესიისკენ მიმავალი გზა დალოცვილ, წმინდა გზად ითვლება.

ერთ საღამოს საბჭოთა საელჩოდან მირეკავს ჩვენზე გაპიროვნებული მუშაკი და მეუბნება, მამია ალექსის ძევ, ხვალ დილით 10 საათზე გამოგიელით და ღმერთთან წაგიყვანთო. რაღაცნაირად გამიჩნდა აზრი, რომ მართლა ღმერთთან მივდივარ. მეორე დღეს წაგვიყვანა. ექვსნი ვიყავით. შესასვლელში კარისკაცმა ბილეთების აღება მოგვთხოვა. აკადემიკოსმა ვასილევმა იხუმრა: ღმერთს ფული ჩვენ კი არ უნდა მივცეთ, პირიქითო. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოგვიძახეს, გაგვჩხრიკეს და ეზოში გაგვიყვანეს. აივანზე გამოვიდა 7—8 წლის გოგონა, წითელ კაბაში, თმებზე ორი პატარა ნასკვენით. აქეთ-იქიდან მისივე ტოლი ორი გოგონა ედგა. შენობა ორსართულიანია და „ღმერთიც" მეორე სართულზე ზის. გულითადად მოგვესალმა, ჩვენც დიდი სიყვარულით და სიხარულით მივესალმეთ. ყველა გაჭირვებულს დახმარება აღუთქვა, ხიხარულის ცრემლები სდიოდათ ადამიანებს.

— ჩვენ არაფერი გვითხოვია და ალბათ ცრემლებიც ამიტომ არ გვდის, — ეუხსნიდით ერთმანეთს. ამ „ქალღმერთის" ისტორია ასეთია: ერთ-ერთი უწმინდესი გვარიდან „საკადან, რომელსაც იცავს მთელი ნეპალი, გამოჰყავთ 6-დან 14 წლამდე ასაკის გოგონა, 14 წლისას შეუძლია გათხოვდეს კიდეც, ამიტომ ოჯახში აბრუნებენ და იმავე გვარიდან სხვა „ქალღმერთი" გამოჰყავთ.

ნეპალში კიდევ ერთი უცნაური წესია, ძმები ერთ ქალს ირთავენ ცოლად. ზოგჯერ 7–8 ქმარიც კი ჰყავს ერთ ქალს. ეს, ღარიბი ქვეყანაა და ქონება რომ არ დაიყოს და დაქუცმაცდეს, ძმები ერთ ოჯახად ცხოვრობენ, ბავშვებსაც ერთად ზრდიანო.

ერთი არასასიამოვნო შემთხვევაც იქ. უნივერსიტეტიდან მობრუნებული ყველა თავის საქმეზე წასული დამხვდა. მარტო შევედი რესტორანში. მომაროვეს კერძი, მშვენივრად გაფორმებული, პირველი ლუკმა ჩვეულებრივ გეახელით, მეორე და მესამე პირში სკდებოდა, მივევარდი მზარეულს, რა არის ეს-მეოქი. შემწვარი ლოკოკინები ყოფილა. ზედ მოსხმული წვენით. ლოკოკინაო?! რაც მე დღე დამადგა, ამას ქაღალდზე ვერ გადავიტან.

საერთოდ ნეპალელები ძალიან გულთბილნი, გულისხმიერები არიან, მათთან ყოველ შეხვედრას ახლაც დიდი სიამოვნებით ვიხსენებ.

ნეპალიდან წამოვიღე სტაფილოს თესლი, რომლის ძირხვენას სიგრძე 50–60 სანტიმეტრს აღწევდა, ეს ალბათ იმიტომ, რომ იქ უფრო ღრმა ნიადაგებია, სპეციალისტებთან მოთათბირების შემდეგ, დავთესეთ სამხრეთ საქართველოში – თაფარავანის მიდამოებში, მაგრამ ძირხვენის სიგრძე 30 სანტიმეტრს არ გასცილებია. ამჟამად მე ვაკვირდები 15–20–25 სანტიმეტრიან ნაყოფს, და ვფიქრობ, ჩემი ჩამოტანილი თესლით ნამრავლი უნდა იყოს.

დამთავრდა ნეპალში ჩვენი ყოფნის ვადა. კატმანდუს აეროდრომიდან დელიში გავფრინდით. ჩვენთან ერთად ჩინელებიც მოფრინავდნენ. გაგვფრთხილეს, ისინი თქვენ არ გამოგელაპარაკებიან, ნურც თქვენ შეეცდებით დალაპარაკებასო. შევდივართ თვითმფრინავში. თორმეტიანი ჩინელი ზის და ხელში გაზეთი უჭირავთ. ჩვენსკენ არც გამოუხედავთ.

ნეპალიდან ჩასვლის დღესვე ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ შეხვედრა მოგვიწყო. 10–10 წუთიანი ინფორმაციები გავაკეთეთ. მე, როგორც წესი, სოფლის მეურნეობაზე, განსაკუთრებით სუბტროპიკულ კულტურებზე.

მდიდარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი სამშობლოში. დანახულსა და გაგონილს კარგად გააზრება, სათანადო დასკვნების გაკეთება სჭირდებოდა, შემდეგ პრაქტიკულ მოღვაწეობაში რომ გამოგვეყენებინა, მაგრამ ხშირად საამისო დრო არც კი გვრჩებოდა. ამას რომ ვამბობ, ასეთი შემთხვევა მახსენდება – სულ ახალდაბრუნებულს ვასილ მჟავანაძემ დამირეკა, – საკავშირო მოაერობიდან დეპეშით მაცნობეს, პროფესორი მამია გოგოლიშვილი შეყვანილია ცენტრალური კომიტეტის კომისიაში, რომელმაც ბაქოს ერთ-ერთ ინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობა უნდა შეისწავლოსო.

რა გაეწყობოდა, იმავე საღამოს გავფრინდი. აეროდრომზე დამხვდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე. მოსკოვიდან ჩამოფრინდა ტიმირიაზევის აკადემიის კათედრის გამგე, დიდად განათლებული და ერუდირებული პროფესორი ვლადიმერ ხრჟანოვსკი. რომ ჰკითხეს, ცალკე ნომერში გირჩევნიათ თუ ქართველ პროფესორ მამია გოგოლიშვილთანო, უპასუხა, რა თქმა უნდა, მასთან ერთადო. მეც ცხადია გამიხარდა ეს, ამ შემთხვევამ ისე დაგვაახლოვა, ვიდრე ვალოდია ცოცხალი იყო, განუყრელ მეგობრებად დავრჩით.

მაინც რა მოხდა ბაქოში?

აზერბაიჯანის მეხილეობის ინსტიტუტი გადაუტანიათ ბაქოდან 164 კილომეტრის დაშორებით — ქალაქ კუბაში. ინსტიტუტის კოლექტივი განაწყენებულა, საჩივარი დაეწერათ ბრეჟნევის სახელზე, ბრეჟნევს აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტისათვის დაუვალებია საკითხის გარკვევა ადგილზე. ადრინდელი გადაწყვეტილება ძალაში დაეტოვებინათ. ახლა ჩვენ, ხუთ კაცს მოგვანდეს საკითხის შესწავლა. კომისიის ყველა წევრს თითო ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკი მიამაგრეს. მე, ნიაზოვი — ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში. კომისიამ დაასკვნა, რომ ინსტიტუტი არასწორად იყო გადატანილი და ისევ ბაქოში უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ ამაოდ, ჩავიდა მოსკოვში აზერბაიჯანის ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი, თუ არ ვცდები, ახუნდოვი და ისე დატოვა, როგორც უნდოდა.

ისევ ჩვენს ბოტანიკურ ბაღს დაეუბრუნდები, ოღონდ თბილისისას. მისი სიცოცხლით სავსე კოლექტივი ყველაფერს აკეთებდა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილიყო მთელ კავშირში. დეკეზად გვქონდა, ექსპედიციაში წასულ ყოველ მეცნიერ მუშაკს თუ მეტი არა, ერთი ახალი მცენარე მაინც უნდა შემოეტანა, ამან და, აგრეთვე მსოფლიოს 195 ბოტანიკურ დაწესებულებასთან თესლების გაცვლამ, შეუწყო ხელი იმას, რომ თუ 1953 წელს ჩვენ ბოტანიკურ ბაღში მცენარეთა 428 ტაქსონი იყო, 1985 წლისათვის 5200-მდე გაიზარდა. ამას ძალიან გვიფასებდა ბოტანიკური ბაღის დიდი მეგობარი და ჩვენი მასწავლებელი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამასობაში, ადრინდელ შენობებში ვეღარ დავეტიეთ. აუცილებელი იყო გაფართოება. წინასწარი გაანგარიშებით, სულ ცოტა 200 000 მანეთი მაინც უნდა გამოეყოთ. აქ ისევ ბატონი ნიკო მუსხელიშვილი და საქართველოს მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, ასევე დიდებული ქართველი, ილია ლაღიძე წამოგვეშველნენ. ყველაფერი ჩინებულად გაკეთდა. წლის ბოლოსათვის მივიღეთ ახალი სამსართულიანი შენობა — 36 ოთახით, ლაბორატორიული კორპუსი, სადაც დღესაც განვაგრძობთ მუშაობას.

ამასთან დაკავშირებით, ერთ, ასე ვთქვათ, ტრაგიკომიკურ ფაქტს გავიხსენებ: ვიღაცამ იჩივლა, თანხა რემონტისათვის იყო გამოყოფილი, ამათ კი ახალი შენობა ააშენეს, არის სხვა დარღვევებიცო. ეს შეამოწმა აკადემიის კომისიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის აკადემიკოს გ. ძოწენიძის მონაწილეობით, რომელმაც კომისიაში ჩართო აკადემიკოსები — რაფიელ დვალი და პეტრე გამყრელიძე.

— აქ არავითარი კრიმინალი არ არის, — თქვა ბატონმა გიორგი ძოწენიძემ, თან დასძინა, — უგეგმოდ და უპროექტოდ კი გაუკეთებიათ, მაგრამ ისეთი გამოსვლიათ, ორდენის ღირსნი არიანო. ბენზინის გადახარჯვა აღმოგვიჩნდა — 1200 მანეთისა, რაც ხელფასიდან უნდა გადამეხადა. ამაზე ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა იხუმრა: — ბატონი მამია ბრწყინვალე თამადაა და ღვინოსაც კარგად სვამს, ახლა ბენზინის სმას დაიწყებდა, ვითომო?!

ასე გადავრჩი ჯარიმას.

1969 წელს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, ყოფილმა მახინჯაურელმა უჩა ცქვიტინიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს თხოვა ქუთაისში ყოფილი საბაღოსნო სკოლის ტერიტორიაზე გაეხსნათ თბილისის ბოტანიკური ბაღის ფილიალი. ეს თხოვნა ჩვენ გამოგვიგზავნეს. ქუთაისელები ისე იყვნენ დაინტერესებულნი, მოსალოდნელი სიძნელეების მიუხედავად, დადებითი დასკვნა შევადგინეთ. ფილიალს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი დეკორატორი, ქუთაისის საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნება ბატონი არჩილ გეგენავა, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა ბაღის განვითარებისათვის.

ქუთაისის ბოტანიკური ბაღის შექმნიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვიქტორ კვარაცხელიამ დააყენა საკითხი საქართველოს მინისტრთა საბჭოს წინაშე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ფილიალად ზუგდიდის ბაღის გადაკეთების თაობაზე. რომელიც უპატრონობით ნადგურდებოდა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა დამავალა გაგვერკვია საკითხი. ბაღის მიღებაზე უარი არ გვითქვამს. რას წარმოადგენდა მაშინ იგი? 100-მდე მცენარეთა ტაქსონი, იტალიელი დეკორატორების მიერ დაგეგმარებული, ეს იყო და ეს. საქართველოს მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინა. ბაღს სამ კილომეტრზე გაუკეთდა მეტალის დეკორატიული ღობე, ამოიყვანეს არტეზიული წყალი, გააკეთეს ორანჟერეა და შესანიშნავი ლაბორატორიული კორპუსი, გაიზარდა მცენარეთა კოლექცია, ბაღის დირექტორს ბატონ უსლარ ლატარიას ძალისხმევით იქ ამიერკავკასი-

ის ბოტანიკური ბაღების სამეცნიერო სესიაც გაიმართა. გარდა ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღებისა, მოწვეული იყვნენ სხვა რეგიონის ბოტანიკური ბაღების მეცნიერები, ფილიალების ჩამოყალიბებამ გააქტიურა ჩვენი მუშაობა დასავლეთ საქართველოს ფლორის, განსაკუთრებით კოლხეთის ფლორის შესწავლისათვის.

1966 წელს ბოტანიკური ინსტიტუტიდან ჩვენთან სამუშაოდ გადმოვიდა ცნობილი ბოტანიკოსი ნინო კახელაძე. ქალბატონმა ნინომ ხელი მოჰკიდა ბაღში ქართული ზამბახების, იორდასალამის და სხვა წამყვან კულტურათა შესწავლას. მოაწყო ექსპედიციები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. იგი აგრეთვე აგროვებდა სამკურნალო მცენარეებს, წამლებსაც ამზადებდა, ეფექტურად მკურნალობდა მაგალითად, ფსორიაზს. ქალბატონი ნინოს სახელი ფართოდ გასცდა საქართველოს ფარგლებს. ბოტანიკურ ბაღში აღსდგა 1848 წელს დაარსებული, სამკურნალო მცენარეთა განყოფილება. საკავშირო მთავრობის დაფინანსებით აშენდა სამსართულიანი შენობა. ფართოდ გაიშალა მუშაობა, ქალბატონ ნინოს სამკურნალო მოღვაწეობას ბევრი ეჭვით უყურებდა, ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ, მაგრამ ამაოდ, მისი „დამორჩილება" არც ისე ადვილი იყო.

1971 წლის მეორე ნახევარში ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოლომოუცში დეკორატიული მებაღეობისა და მეყვავილეობის საერთაშორისო გამოფენაზე მიგვიწვიეს. მაშინაც ბევრი საქმე გვქონდა. ეჭოჭმანობდით, მაგრამ თავს დაგვადგა ოლომოუცის საერთაშორისო გამოფენის დირექტორის მოადგილე ბატონი ელადიმერ დროზდი. რაღა გვექნა, დავიწყეთ სამზადისი, საქმეში ჩავაბით ახალგაზრდა ნიჭიერი დეკორატორი ჯონი გიორგბერიძე და ბაღის მეცნიერთანამშრომლები — ნელი ხომასურიძე და ლამარა ასეიშვილი. ჩვენი ბაღის შესანიშნავი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გამოფენაზე პირველი ადგილი დავიკავეთ და ბუნებრივია, პირველი ხარისხის დიპლომები მივიღეთ.

იმავე წლის შემოდგომაზე საკავშირო საზოგადოება „ცოდნამ" იაპონიაში მიმავლინა ლექციების წასაკითხავად, მაგრამ წინააღმდეგობას წავაწყდი, ვერ შევაღწიე იქ, სადაც ლექცია უნდა წამეკითხა. რა მექნა, საბჭოთა კავშირის ელჩთან გადავწყვიტე შესვლა. არ სცალიაო, მომიშორეს თავიდან რამდენიმეჯერ. სხვა გამოსავალი რომ აღარ დამრჩა, დავარღვიე ეთიკა და უნებართოდ შევედი ელჩთან. შესანიშნავი ინტელიგენტი და გულისხმიერი კაცი გამოდგა ამხანაგი ტრაიანოვსკი, ისიც მითხრა — რატომ აქამდე არ მოდიო, უტაქტობად ჩავთვალე, რომ მეთქვა თქვენმა მუშაკებმა არ შემომიშვეს-მეთქი, სხვა რაღაც მოვიმიზეზე. ჩემი ანკეტა გადაათვალიერა, აგრონომ-

სუბტროპიკოსი, არა? აქ, იაპონიაში ასეთი წესია, ამხანაგო პროფესორო, ქირურგიის ინსტიტუტში მაგალითად, ქირურგს არ შეუშვებენ. ახლავე შევცვალოთ ანკეტა და ხვალვე გავუგზავნოთ მინისტრს. ჩავწერეთ, რომ ვარ ბოტანიკოსი, ბოტანიკური ბაღის დირექტორი. მერე ტრაიანოვსკიმ დარეკა სამინისტროში, ყველაფერი რიგზეა, უთხრა მინისტრმა, ხვალ ჩვენი მანქანა მოაკითხავს და პროფესორს ინსტიტუტში წაიყვანსო, ასეც მოხდა.

ინსტიტუტში გულობილად მიმიღეს. მათ ხელთ ჰქონდათ ჩემი წიგნი რუსულად გამოცემული, რომელშიც, ვენახის დამულჩვასთან ერთად, განხილული იყო ციტრუსების დამულჩვაც. მითხრეს, რომ თქვენი წიგნის მიხედვით უკვე მოვაწყვეთ დამულჩვაო. წამიყვანეს და მაჩვენეს ციტრუსების ირგვლივ, როგორ შემოეწყოთ ბრინჯის გაუხსნელი კონები.

ვიდრე ჩემი ანკეტის ამბავი გაირკვეოდა, ზოგი ჭირი მარგებელიაო, იმისი არ იყოს, ჯგუფთან ერთად ვიყავი ხიროსიმაში, ნაგასაკში, ნიკოში, კიოტოში და სხვა ქალაქებსა და პრეფექტურებში. ბევრი, ძალიან ბევრი რამ ვნახე საინტერესო. ერთი სიტყვით, საზოგადოება „ცოდნის" დავალებაც შეეასრულე და იაპონიაც მოვიარე.

როგორც წესი, ყოველ წელიწადს ტარდებოდა ყრილობები ან კონფერენციები, სადაც ჩვენი ბოტანიკური ბაღი თითქმის ყოველთვის ფიგურირებდა. იმავე წელს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მოეწყო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმის თემა იყო, „ველურად მოზარდი თესლოვანი და კურკოვანი მცენარეები", საბჭოთა კავშირიდან სამი მოხსენება იყო წარდგენილი. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღიდან განყოფილების გამგე — პლოტნიკოვა, ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღიდან — ბაღის დირექტორი პროფესორი ი. ბაიტულინი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღიდან — დოქტორი მამია გოგოლიშვილი.

სიმპოზიუმის დაწყებამდე დავათვალიერეთ პოლონეთის სოფლის მეურნეობა და ტყეები, რაოდენ სასიხარულო იყო ჩემთვის, ქართველი კაცისათვის, როდესაც სიმპოზიუმის მონაწილენი მიგვიყვანეს ქართველი კაცის სოლომონ ქურდიანის მიერ დაარსებულ სატყეო ინსტიტუტში, როგორც დირექტორმა თქვა, ბატონი სოლომონის დაბადების დღეს ინსტიტუტი ყოველ 10 წელიწადში უძღვნის სამეცნიერო სესიას.

პოლონეთში სამჯერ ვარ ნამყოფი. 1976 წელს ვარშავის დიდ კულტურის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო ყრილობა, რომელიც მსოფლიოში მეხილეობის განვითარების პრობლემებს მიეძღვნა. მის მუშაობაში საბჭოთა კავშირიდან ორი ჯგუფი მონაწილეობდა. ერთი იყო ჯგუფი კავშირის სოფ-

ლის მეურნეობის მეხილე სპეციალისტებისა. მის შემადგენლობაში იყო საქართველოს მეხილეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის სელექციის განყოფილების გამგე, გამოჩენილი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შარდენ ახელედიანი, რომელმაც ერთობ საინტერესო მოხსენება წაიკითხა. მეორე — საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების მეხილეობის განსრით მომუშავე მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პეტრე ლაპინი ხელმძღვანელობდა. ჯგუფის შემადგენლობა სრულად აღარ მახსოვს, აქ იყვნენ უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ფეოდორ რუსანოვი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დავითიანი, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მინსკის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ე. სიდოროვიჩი, კიევის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, აკადემიკოსი ანდრეი გროზინსკი.

ყრილობას 5000-მდე დელეგატი ესწრებოდა. მომიტეოს მკითხველმა და გვარი არ მახსოვს, ყრილობას ხელმძღვანელობდა ამერიკელი პროფესორი. დელეგატები დაყოფილი იყვნენ სექციებად — სპეციალობების მიხედვით. თითოეულ სექციას სამი თავმჯდომარე ჰყავდა, რომლებიც მორიგეობით უძღვებოდნენ მის მუშაობას. ერთ-ერთის, მეხილეობის აგროტექნიკის სექციის თავმჯდომარეთა შემადგენლობაში აღმოვჩნდი მეც. ყრილობაზე წარდგენილი მქონდა მოზრდილი მოხსენება — დამულჩვის გავლენა ხილისა და ციტრუსების მოსავლიანობაზე.

საბჭოთა მეცნიერთა დელეგაცია სასტუმრო „ფორუმში“ დაბინავდა. ეს იყო ვარშავაში ყველაზე მაღალი შენობა, ყველაზე უკეთესი მომსახურებით, ვინც აქ ცხოვრობდა, ვარშაველები ყველას აგრესიულად უყურებდნენ, თვლიდნენ, რომ აქ მხოლოდ მილიონერებს მიუწვდებოდათ ხელი. მათთვის სულ ეროი იყო, ამერიკელი იყო მეცნიერი თუ საბჭოთა. არადა, ჩვენ გამოზომილი კაპიკები გვედო ჯიბეში. სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს რამდენიც უნდოდათ იმდენი ფულის დახურდავება შეეძლოთ ზლოტებზე, ჩვენ კი მხოლოდ — 30 მანეთისა. სასტუმროს საფასურს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია იხდიდა, სხვა ქვეყნების დასანახად.

საბჭოთა მეცნიერთა მეორე ჯგუფი სამინისტროს მიერ იყო მოვლინებული და საერთო საცხოვრებელში ჰყავდათ.

ყრილობის მეხუთე, თუ მეექვსე დღეს, დილის სხდომის დაწყებამდე, ინგლისურად და რუსულად გამოაცხადეს: პროფესორ მამია გოგოლიშვილს

ვთხოვთ ამობრძანდეს პრეზიდიუმშიო. გამიკვირდა, რაშია საქმე?! ავდივარ სცენაზე, თავმჯდომარე კითხულობს თბილისიდან გამოგზავნილ მეუღლისა და შვილის დეპეშას: „ჩვენო საყვარელო მამიკო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ძალიან გვიყვარხარ, მოგვენატრეთ, მალე ჩამოდი, ქეთო და ნინიკო“.

ყრილობის თავმჯდომარე თხოვს დარბაზს ფეხზე ადგომით მომილოცონ დაბადების დღე. პოლონურ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალიშვილებმა საჩუქრები მომართვეს. მოლოცვები დარბაზშიც გაგრძელდა. საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი მეუბნება — საღამოს შენი სტუმრები ვიქნებითო, რა გზა მქონდა. გამოსავალი ვიპოვე, ვარშავაში ცხოვრობდა ჩემი მეუღლის ბიძაშვილის შვილი კორნელი (კოკა) ბზიავა, დავურეკე, აგერა ვართო, მითხრეს კოკამ და მისმა მეუღლემ ხანკამ. ყველაფერი იქვე სასტუმროს რესტორანში შეუკვეთეს. სასმელი მე მქონდა, ჩვენებური, მეტი რაღა გვინდოდა. თამადას ვთხოვე სანამ იუბილარის სადღეგრძელოს იტყვი, მანამდე საქართველო მიდღეგრძელეთ-თქო. ჩემმა მეგობარმა პეტრე ლაპინმა თხოვნა შემისრულა. ცოტა რუსებს არ მოეწონათ, მაგრამ თამადამ საბჭოთა კავშირის სადღეგრძელოც შემოგვთავაზა. ვარშავის სასტუმრო „ფორუმში“ ვისაც მივწვდით, გავუმასპინძლდით.

სესიის დამთავრების შემდეგ მოეწყო ექსკურსიები დეკორატიულ მებაღეობაში, მეყვავილეობასა და მეხილეობაში. ისეთი ბაღები ვნახეთ, ისე მოვლილი და დამუშავებული, მე და ბატონმა შარდენ ახვლედიანმა ერთმანეთს გადავულაპარაკეთ, ჩვენ როდის ვისწავლით დარგის ასე გაძღოლას-თქო.

მკითხველს ვთხოვ, ისე ნუ გაიგებს, თითქოს მოგზაურობის, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტს არაფერს ვაკეთებდით, თუ მაინც ამაზე ვამახვილებ ყურადღებას, ეს იმიტომ, რომ მეხსიერებას უფრო მეტად შემორჩა სწორედ ეს და არა სხვაგან განცდილი თუ დანახული. თანაც ყოველივეს, რაც კარგი და მოსაწონი იყო, გადმოგვქონდა ხოლმე და პრაქტიკულად ვნერგავდით.

იმავე წლის შემოდგომაზე შუა აზიის ბოტანიკური ბაღების სესიაზე მიგვიწვიეს აშხაბადში. მე იქ გამოვედი მოხსენებით: „ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების მიერ მცენარეთა ინტროდუქციისათვის გაწეული მუშაობის შესახებ“. სესია საინტერესოდ ჩატარდა. მერე საფუძვლიანად გავეცანით თურქმენეთის ფლორას, თურქმენეთის „საჰარას“, ანუ „მშიერ ველებს“. ჩვენს ექსკურსიებს თურქმენეთის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ბაკი ქერბაბაევი უძღვებოდა.

შემდეგ იყო სესია ბელორუსიაში, სადაც წარვსდექი მოხსენებით დეკორატიული მცენარეების აგროტექნიკის საკითხებზე.

ახლა უფრო ვრცლად იმ სესიის თაობაზე, საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების მონაწილეობით რომ ჩატარდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. მის მონაწილეობაზე ერთობ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბაღის დირექტორის ბატონ ნოდარ შარაშიძის და მისი მოადგილის ვანო ჰაპუნიძის მოხსენებებმა. ბაღის, ზღვისა და მწვანე კონცხის განუმეორებელმა სილამაზემ აღაფრთოვანა საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების წამყვანი მეცნიერები. ბათუმელებს არაფერი შეშლიათ სტუმრებთან. ყველაფერი შესანიშნავად იყო გათვლილი — დაწყებული მთავრობის დონეზე შეხვედრებიდან, დამთავრებული ქართული წესისამებრ, გადაპატიჟებით. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო სტუმრების გულთბილი შეხვედრები ქობულეთში ჩემს მამისეულ ოჯახში ჩემი ძმისშვილის ზურაბ გოგოლიშვილის მასპინძლობით. შემდეგ მწვანე კონცხზე, ადრე ჩემი ასპირანტის, ახლა მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტის რეზო ჯაბნიძის ოჯახში, რომლის მეუღლემ, ჩემმა ახლო ნათესავმა შუქურა გორგილაძემ, სტუმრებს არ დააკლო თითქმის არც ერთი ქართული, მათ შორის აჭარული კერძები. მე, ამ შეკრების თამადამ, ქართული ღვინის ეშხით გამხიარულებულმა, ბევრი თბილი სიტყვა ვუთხარი სტუმრებსაც და მასპინძლებსაც. სტუმრები განაცვიფრა ჯაბნიძეების ოჯახურმა ანსამბლმა, რომელსაც ბატონი რეზო ხელმძღვანელობდა. მასში მღერიან რეზო და გულნარა, მეუღლე შუქურა, აგრეთვე შვილები გიორგი, ზაური და ნატო. ანსამბლმა სიმღერის საღერღელი აუშალა სტუმრებსაც, იყო რუსული, უკრაინული, ყაზახური, სომხური და სხვა სიმღერები, ეროი სიტყვით, ინტერნაციონალური კონცერტი გამოვიდა.

მკითხველი სხვანაირად ნუ ჩამომართმევს, თუ რეზო ჯაბნიძეს კიდევ რამდენიმე სიტყვას წავაშველებ. ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში ბევრი ნიჭიერი მოსწავლე მყოლია, მაგრამ ბატონი რეზო მაინც სხვაა. ამ კაცს განსაკუთრებული ნიჭი და ძალების მობილიზების განსაცვიფრებელი უნარი აქვს. ურთულეს დროს, მართლაც ძნელბედობის ჟამს, ძალიან საინტერესო და პრაქტიკულად ფრიად სასარგებლო თემაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მალე პროფესორის წოდება მიანიჭეს და თითქმის მაშინვე აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მის ასაკში, იშვიათად რომ ვინმეს გაეკეთებინოს ამდენი.

ეს რაც შეეხება მის მეცნიერულ მოღვაწეობას. ახლა პრაქტიკული საქმე? იგი სათავეში ჩაუდგა ახლად დაარსებულ ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, რომელიც, მოკლე დროში, სანიმუშო სასწავლებლად აქცია.

სამოთხეაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთია დღეს ინსტიტუტის ეზო-მიდამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს, რომელიც სხვა დარგებთან ერთად, განათლების დიდი ქომაგიცაა, არაერთხელ გაუსვამს ხაზი რეზო ჯაბნიძის სამაგალითო მუშაობაზე.

ახლა რანაირი კოლექტივი ჩამოაყალიბა! უჩვეულოდ მეგობრული და საქმის მოყვარე, აქ ყველამ თავისი საქმეც იცის და ნამდვილი სინდის-ნამუსით აკეთებს.

სესიის ბოლოს მის მონაწილეებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სახელით ჩვეული მჭევრმეტყველებით მიესალმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი არჩილ ტაკიძე. სტუმრები მზიური აჭარიდან წარუშლელი შთაბეჭდილებებით წავიდნენ.

ჩვენ სხვა სტუმრებიც მიგვიღია ღირსეულად. ქართველ კაცს თუკი რამე ემარჯვება, ეს მასპინძლობაა. სადღაც წამიკითხავს, იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა სსრ კავშირის მაშინდელ ავიაციის მთავარ მარშალს — გოლოვანოვს უთხრა, შინ ბებია მყავს ქართველიო, რომ იძახი, ის თუ იცი, ქართველი უკანასკნელ პერანგს გაიხდის და სტუმართან სირცხვილს არ ჭამსო. შესანიშნავადაა ამ სიტყვებში გამოხატული ქართული ხასიათი, ქართული სტუმარმასპინძლობის წესი. 1975 თუ 1976 წელს ქალაქ თბილისს ეწვია ბოტანიკოსთა ჯგუფი შვეიციიდან, 11 მეცნიერის შემადგენლობით. მეცნიერთა შორის იყო ქვეყნის პრემიერის მეუღლეც, ცნობილი ბოტანიკოსი. ეს, რა თქმა უნდა, მეც დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებდა. დელეგაციის მომსახურების გეგმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შედგა. მე და პროფესორ თუმანჯანოვს — ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორს, უნდა გაგვეწია მასპინძლობა. გავყოლოდით კახეთში, ბორჯომის ხეობაში, მერე ლაგოდეხის ნაკრძალში.

ჩავიყვანეთ თელავში, იყალთოს მონასტერი დავათვალიერებინეთ. მეორე დღეს ვიყავით ფასანაურის ხეობაში, ბოლოს ბაკურიან-ბორჯომის საუკეთესო ბოტანიკურ ობიექტზე. ღამე ბორჯომში მეოთხე სამმართველოს — ლიკანის სანატორიუმში გავათიეთ. სანატორიუმის მთავარმა ექიმმა ბატონმა პეტრე იოსელიანმა საუცხოო მასპინძლობა გაგვიწია. შესანიშნავი თამადობითა და ენაწყლიანობით მოხიბლა სტუმრები.

შვეიცელი მეცნიერები მიიღო ჩვენი აკადემიის პრეზიდენტმა ნიკო მუსხელიშვილმა. გაიმართა მეტად საინტერესო და საქმიანი საუბარი. საღამოს ბატონმა ნიკომ შინ დამირეკა, ჩემი მანქანა მოგაკითხავს და ფუნიკულიორზე ამოდიო. 15 წუთში იქ ვიყავი, უკვე მოსულიყვნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, ცეკას მდივანი დევი სტურუა, როგორც კი დამინახა, — ჩვენი თამადა მოვიდაო,

— დაიძახა ბატონმა ნიკომ,— ძველი ლოთიო, დაამატა — ხუმრობით. ამაზე მეც ხუმრობითვე ვუპასუხე: — ბატონო ნიკო, აგერ ცეკას მდივანი, მეტი კი არ უნდათ, ამხელა პრეზიდენტი ლოთს რომ მეძახით, ხვალ სამუშაოდან მომხსნიან-მეთქი. ამაზე ბევრი იცინეს, ვასილ მჟავანაძემ მითხრა, — ეროი შენებურად მიხედე სტუმრებს და ლოთობას გაპატიებთო.

მართლაც საუკეთესოდ მოვიქეცინეთ, პრემიერის მეუღლეც ვაცილეთ. — ეს ღღეები არასოდეს დაგვავიწყდებაო, — თქვეს სტუმრებმა.

მომდევნო მოვლენებიდან არ შეიძლება არ გავიხსენო ლენინგრადში გამართული საბჭოთა კავშირის ბოტანიკური საზოგადოების საერთაშორისო ყრილობა, აკადემიკოს ვავილოვის დაბადების ღღეს რომ მიეძღვნა. „ვავილოვი საქართველოში“ — ასეთი მოხსენებით წარვდექი ყრილობაზე. ვავილოვი 1939 წელს ჩამოვიდა საქართველოში, მაშინ აჭარაც მოიარა. სტალინისაგან მაქეს დავალებული შევქმნა ქინაქინის მეურნეობაო, საამისო ბაზად ქობულეთის გერანის მეურნეობა მიმაჩნია და თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ღღესვე დავუკავშირდები ტელეფონით ამხანაგ სტალინსო. უარს ვინ ეტყოდა? ეს მომენტი ლენინგრადის კონგრესზეც გავიხსენე.

ჩემს ლენინგრადიდან დაბრუნებას დაემთხვა თბილისში ლონდონის ბოტანიკური ბაღის დირექტორის, ლორდ ტეილორის ჩამოსვლა. სტუმარს მარტო თბილისი არ ვაკმარეთ, დავათვალიერებინეთ კახეთი, ქართლი, მადა ჭიაში მოდისო და ბათუმისა და სოხუმის ბოტანიკური ბაღების ნახვაც ისურვა. ტეილორი აღფრთოვანებული დარჩა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დათვალიერებით. ასევე მოეწონა სოხუმის ბოტანიკური ბაღიც. დიდი მადლობა მითხრა, რომ დაგეგმილი მარშრუტის „დარღვევით“ რამდენი რამ მაჩვენე საინტერესოო.

მერე მოხდა ისე, რომ მეორე წელს, 25 ოქტომბერს მე ჩავედი ლონდონში. ამის შესახებ ადრეე ვაცნობე ლორდ ტეილორს, მაგრამ არავინ დამხვდა, მეწყინა. თბილისში დაბრუნებულს მაგიდაზე ლონდონიდან გამოგზავნილი წერილი დამხვდა. 23 ოქტომბერს დავბრუნდი აფრიკიდან, დაღლილი ვიყავი და ვერ შეგხვდი, თუმცა, რაც თქვენ თბილისში გამიკეთეთ, იმდენს მაინც ვერ მოვახერხებდი, მაგრამ შემდეგ ჩამოსვლაზე მე ვიცი. მერეც ვიყავი ლონდონში, კონგრესზე, მაგრამ ტეილორი უკვე აღარ იყო დირექტორი. მე ეს საყვედურისათვის კი არ გავიხსენე, უბრალოდ მსურდა მეჩვენებინა, როგორ განსხვავდება ჩვენი ხასიათი სხვებისაგან.

1976 წელს ქ. ოლომოუცის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელზედაც უკვე ვილაპარაკე, ჩვენთან ერთად ჩაერთო მოსკოვის, კიევის, იალტის, მინსკის და ბათუმის ბოტანიკური ბაღები. მე ჟიურის შემადგენლობაში ვიყავი.

სწორედ მაშინ კონტაქტი დავამყარე ნიტრის (ჩეხოსლოვაკიის) დენდრობიოლოგიის ინსტიტუტთან. გავაფორმეთ ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება. მე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად ამირჩიეს. ინსტიტუტის დირექტორი ფრანტიშეკ ბენჩატი და მისი თანამშრომლები, როგორც წესი, ყოველდღიურად ჩამოდიან ჩვენთან კავკასიის ფლორის შესასწავლად, ჩვენები კი იქ მიემგზავრებიან ამავე მიზნით. მე შესაძლებლობის ფარგლებში ვესწრები ინსტიტუტის საბჭოს სხდომებს. საინტერესო ექსპედიცია მოვაწყვეთ ჩეხოსლოვაკიის შორეულ მთებში (ტატრებში). ამ საკითხებზე ჩვენ, ორივე დირექტორი სხვა ქვეყნებშიც გავსულვართ ერთობლივი მოხსენებით.

1980 წლის გაზაფხულზე ერთობლივი ექსპედიციაც მოვაწყვეთ, მაგალითად, ბულგარეთში, ერთი წლის შემდეგ აქვე გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი ბოტანიკურ ბაღში მცენარეთა ინტროდუქციის საკითხებზე.

მე სიმპოზიუმზე დავაყენე საკითხი, თბილისის ბოტანიკური ბაღის დაარსების თარიღად მიგვეღო ფრანგი ბოტანიკოსის შარდენის მიერ მისი დათვალიერების წელი. ამან აზრთა ცხოველი ურთიერთგაზიარება გამოიწვია, ყველას ვთხოვე მოეწოდებინა ცნობები, თუკი რამეს იცნობდნენ ან მიაგნებდნენ, ჩვენი ბაღის ისტორიიდან.

1978 წელს თბილისის, ბათუმის, სოხუმის ბოტანიკური ბაღებისა და გამწვანების დარგის მუშაკების მონაწილეობით უნგრეთსა და რუმინეთში მოვაწყვეთ ექსპედიცია იქაური ფლორისა და ქალაქების გამწვანების საკითხების შესასწავლად. ექსპედიციაში ვმონაწილეობდით პროფესორები — გივი აიბა, ნოე რატიანი, მე და სხვა სპეციალისტები. როგორც ყველა ასეთი ღონისძიება, უნგრეთის ექსპედიციაც, ფრიად საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა.

ამასობაში მეუღლე გამიხდა ავად, რომელმაც ძალიან განიცადა საყვარელი ღისშვილის ფირუზა კაჭარავა-გულისაშვილის გარდაცვალება. მძიმე ავადმყოფმა მოხოვა, მთის მაღალი ჰაერი მიხდება და ბაკურიანში წავიდეთო. ჩემს მასწავლებელს და მეგობარს ბატონ ნ. კეცხოველს ვუამბე ეს. ნახე, იქნებ მართლაც წაადგესო. ჩვენს ინსტიტუტს ბაკურიანში ოთხოთახიანი სახლი აქვს, ამ მხრივ პრობლემა არ გექნებაო. წავედით, ჩემი ქალიშვილი ნინიკო და მისი სამი ამხანაგიც წამოგვყვა. 15 დღის შემდეგ რადიოგრამით გამომიძახეს თბილისში. საკავშირო მეცნიერთა აკადემიაში ბოტანიკური ბაღების დებულების განხილვაში უნდა მიიღო მონაწილეობაო. მოსკოვს მხოლოდ ორ დღეს დავრჩი. შინ მომეჩქარებოდა. ავადმყოფს მიხედვა სჭირდებოდა. სხვა

სენთან ერთად, დიაბეტიც აწუხებდა. რადიოში მოესმინა, რომელიღაც ამერიკული მედიკამენტია უებარიო. ჩემი დიდი მეგობრის, აკადემიკოს ციცინის მეუღლის მეშვეობით ისიც ვიშოვეთ, მაგრამ ამაოდ. იაპონიაშიც წავიყვანე, ჩინური მედიცინაც ვსინჯეთ. განწირული თუ ხარ, იტყვიან, ღმერთიც ველარ გიშველისო. 1980 წლის მარტში დიდი უბედურება დაატყდა ოჯახს — ხელიდან გამომეცალა ჩემი ორმოცი წლის ერთგული მეგობარი. იქნებ უხერხულიცაა მეუღლის ქება, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია, ეს იყო ქალი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში და მის ამაგს ვერასოდეს დავივიწყებ. დიდი მწუხარება ჩემმა ნინომ და მისმა შვილებმა — ირაკლიმ და მანანამ გადამატანინეს, რისთვისაც დიდი მადლობა მათ.

როგორც ვთქვი, მეუღლის სიკვდილი ძალიან განვიცადე, თითქოს არაფრის თავი აღარ მქონდა, მაგრამ ემოციებს მალე მოვერიე, მითუმეტეს, რომ მალე ალმა-ათაში საბჭოთა კავშირის ბოტანიკური საზოგადოების ერთობლივი წარმომადგენლობითი სესია უნდა გამართულიყო. მასზე საქართველოდან წარდგენილი იყო ყველა ბოტანიკური ბაღი და ბოტანიკის ინსტიტუტი. სესიის მუშაობაში მონაწილეობდა კავშირის ყველა რესპუბლიკა. სწორედ ამ სესიაზე ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის, ბაქოს, ერევნის და თბილისის სახელმწიფო არქივებში მოპოვებული დოკუმენტების საფუძველზე, აგრეთვე შარდენის, ტურნეფორის, დელაპორტის, ვახუშტი ბატონიშვილის და პლატონიო სელინის ჩანაწერების საფუძველზე დადგინდა, რომ შარდენმა 1672 წელს დაათვალიერა თბილისის სამეფო ბაღი, ტურნეფორმა კი 1701 წელს. ვახუშტი ბატონიშვილმა სამეფო ბაღი ქალაქის რუკაზე აღნიშნა. ყველაფერი ეს დოკუმენტებით დავადასტურეთ და 1982 წელს საბჭოთა კავშირის ბოტანიკოსთა საზოგადოების ყრილობაზე ლენინგრადში გამოვედი მოხსენებით „თბილისის ბოტანიკური ბაღი 350 წლისაა". ჩვენს არგუმენტებს ყველა დეთანხმა. ასე გაფორმდა ჩვენი ბაღის „დაბადების მოწმობა".

1982 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირ-ჰოლანდიის საზოგადოების მეგობრობის ერთობლივ კონფერენციაზე მიმიწვიეს. გამგზავრების წინ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამოგვიძახეს. ერთ-ერთი განყოფილების გამგემ დელეგაციის ათივე მონაწილეს გამოგვკითხა — ვიცნობთ თუ არა იმ ქვეყანას, სადაც მივემგზავრებით. გზად ჩავფრინდებით ბრიუსელში, იქ არის ნატოს შტაბბინა, რომელსაც ალბათ დაგვათვალიერებინებენ, არაფერი იუცნაუროთ, არაფერი გაიკეირვოთ, ხომ იცით, რა ქვეყნის წარმომადგენლები ხართო. მერე დამოძღვრა ჩვენმა ხელმძღვანელმა გააგრძელა, რომელსაც თურმე საერთოდ არ ეწერა გამგზავრება. ეს გაფრენის წინ შევიტყვეთ, როცა სიმპათიურმა ქალბატონმა ცენტრალური კომიტეტიდან, მითხრა — ამხანაგო გო-

გოლიშვილო, თქვენ იქნებით დელეგაციის ხელმძღვანელი, ასე გადაწყვიტა ამხანაგმა გრიშინმა. ის კი, ვინც ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო, საერთოდ ვერ წამოვა, საზღვარგარეთ სპირტიანი სასმელების დაწაფებით შეურცხვენია თავიო. ვიუარე, მაგრამ არ გამივიდა. ამოდენა პასუხისმგებლობა დამეკისრა, იოლი საქმე არ იყო, რას ვიზამდი.

ორ თუ სამ საათში ბრიუსელში ჩავფრინდით, ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები დამხვდნენ. ის დღე ბრიუსელში გავატარეთ, დრო მაქსიმალური დატვირთვით გამოვიყენეთ. იმდენი რამ ვნახეთ, ცოტა არ იყოს, დაბნეულები გამოვიყურებოდით. საღამოს ამსტერდამში გავფრინდით. აეროდრომის დახურულ შენობაში მოეწყო ურთიერთწარდგენა. — სად არის თქვენი „შპარგალკები“? — მეკითხება ჩვენი საელჩოს წარმომადგენელი. — პირველად თქვენ გამოხვალთ თუ მასპინძლებს მიეცეთ სიტყვაო. — არავითარი „შპარგალკა“ მე არ მაქვს, — ვუპასუხე შეცბუნებულმა. — ჯერ მასპინძლებმა გვითხრან სათქმელი, ჩემი იმედი გქონდეთ, სირცხვილს არ ვჭამ-მეთქი. ასეც მოხდა. ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა.

დეტალებზე ყურადღებას არ გავამახვილებ, მაგრამ აუცილებლად გავიხსენებ მიღებას ამსტერდამის მერთან, საქმიანი შეხვედრა იყო.

ქალაქის მერიის შენობაში ერთი წვერიანი კაცი მიტრიალებდა. ჩვენ საზღვარგარეთ ყველაფრის გვეშინოდა, ვიფიქრე, მოგზავნილი არ იყოს-მეთქი. ბოლოს მოვიდა, ქალაქ ამსტერდამის არქიტექტორი ვარ, საქართველოში ვყოფილვარ, ახლა ერთ საღამოს ოჯახში უნდა მეწვიოთ, თქვენ უნდა ითამაღოთო, საელჩოს წარმომადგენელს ეკითხე, ესეა საქმე და რა ექნა-მეთქი. იცნობდნენ თურმე, დიდებული კაცია, საბჭოთა კავშირის დიდი პატივისმცემელი, თავისუფლად შეგიძლიათ ეწვიოთო.

მე იქ გავიცანი დიდი ქართველი — რევაზ თაბუკაშვილი, სასტუმროში ვცხოვრობდით, გაეგო დელეგაციის ხელმძღვანელი გოგოლიშვილიაო, თავად მომაკითხა. ბატონი რეზოც დამეთანხმა, წამოგყვები იმ ჰოლანდიელთანო. მასპინძელმა მანქანით მოგვაკითხა და ქალაქიდან 30 კილომეტრის მოშორებით, საკუთარ ორსართულიან სახლს მიგვაყენა. სხვებიც დაეპატიჟნა. მოლაპარაკების თანახმად თამადობა ვიკისრე, მოადგილეობა ბატონ რეზოს მოუწია, ცოტა შეუხერხულა კიდეც, ამხელა კაცს წინ როგორ წავუსწრო-მეთქი, მაგრამ ბატონი რეზო ის კაცი იყო, რომელიც არავითარ უხერხულობას არ გაგრძნობინებდა. ასე ჩავიგდეთ ხელში ქართველებმა „ძალაუფლება“.

გულითადი საღამო იყო, ბევრი ვიმხიარულეთ, ჩვენი სადღეგრძელოები ძალიან მოეწონათ, რა საინტერესო ხალხი ყოფილხართო, სულ იმას გაიძახოდნენ.

როგორც სხვაგან, აქაც გული სოფლისაკენ მიმიწევდა. საელჩოს ვთხოვე, მომეცით საშუალება, ის დღეები, ქალაქების დასათვალიერებლად რომაა გათვალისწინებული, ბოტანიკური დაწესებულებებისა და სოფლის მეურნეობის გასაცნობად გამოვიყენო-თქო. სურვილი შემისრულეს.

ბევრი რამ ვნახე. იქნებ ყველაფერი ვერ გადმოვცე და არცაა საჭირო, მაგრამ ისე მომეწონა ერთი ოჯახი, ამსტერდამიდან 40 კილომეტრზე რომ ცხოვრობს, დღესაც ზეპირად მახსოვს მისი ასავალ-დასავალი. 65 ჰექტარი მიწა ჰქონდა, 60 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 40—45 ძროხა ეწველებოდა, დღეში 25—30 ლიტრს იღებდა თითოეულისაგან, საკუთარი ტრაქტორებით ხნავს, ფარცხავს და თესავს, პირუტყვის საკვებსაც თავად აწარმოებს, სასუქი არ სჭირდება, ნიადაგს ნაკელით ანოყიერებს.დღეში 30—40 რძის ბალონს დადგამს ეზოში, მოვლენ და წაიღებენ, თვეში ერთხელ მიაკითხავს კოოპერატივს ფულისათვის. ოჯახის მამა 65 წლისა იყო, დედა — 60 წლისა. ვაჟი — 35-ის, რძალი — 30 წლისა, ორი ბიჭუნა დარბოდა ეზოში. ოჯახის ყველა წევრს მანქანა ჰქონდა. ღმერთიერით ცხოვრობდნენ, არაფერი აკლდათ, საკუთარი რძის ქარხანაც ჰქონდათ.

ვიყავი ჰოლანდიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, გავეცანი სასწავლო პროცესს, დავათვალიერე ბოტანიკური ბაღი. წამოვიღე იმ მცენარეთა თესლები, ჩვენს ბაღში რომ არ გვქონდა. წამოსვლის წინ ჩვენს საელჩოში მადლობა გამოგვიცხადეს, ცეკაში კი წერილი გამოგვატანეს, პროგრამა ჩინებულად შესრულდაო.

მკითხველი ალბათ შეეჩვია იმას, რომ სულ მოგზაურობაში ვიყავი. 1983 წელს ისევ მომიწია ჩასვლა სლოვაკიის ქალაქ ნიტრაში, ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო კონფერენციაზე, საბჭოთა კავშირიდან მოსკოვის, თბილისის, ბათუმის, ალმა-ათის ბოტანიკური ბაღები მონაწილეობდნენ. სსრ კავშირის ბოტანიკურ ბაღში ჩატარებულ ინტროდუქციაზე მოხსენებით გამოვიდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პეტრე ლაპინი, ამიერკავკასიიდან მე. სესიის მონაწილეთა ერთი ჯგუფი მიგვიწვიეს პრაღის ბოტანიკის ინსტიტუტში. ლაპინი, მე და გერმანიის ბოტანიკური საზოგადოების თავმჯდომარე კლაუს განდერტი იმ ჯგუფში ვიყავით, სამივეს მოგვიწია სიტყვაში გამოსვლა.

ფრიად საინტერესო იყო ერთი წლის შემდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. დრეზდენში გამართული ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო კონგრესი. საბჭოთა დელეგაციას პეტრე ლაპინი ხელმძღვანელობდა. 53 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა კონგრესის მუშაობაში. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია საქართველოდან იყო: ვანო პაპუნიძე, გივი აიბა და მე. სსრ კავშირიდან მოხსენებით ლაპინის, ბაიტულინის, ჩებოდრაის, უმაროვისა და ჩემი მოხსენებები მოისმინეს.

ერთი შემთხვევა უნდა გავიხსენო. ლაიფციგში ავად გაგვიხდა ჩვენი თანამეგზავრული, სოხუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი გივი აიბა. ღამის სამ საათზე გაგვაღვიძეს მე და ბათუმის ბოტანიკური ბაღის მაშინდელი დირექტორის მოადგილე ვანო პაპუნიძე, მთელი სასტუმრო ავაწრიალეთ. ექიმიც მოვძებნეთ, წამალიც ვიშოვნეთ, დილით ტემპერატურა უკვე ნორმალური ჰქონდა. ხუმრობის ხასიათზე დავდექით: როგორ იყო, გივი, როგორ ამბობდი, მამია ალექსის ძევ, ვატყობ ეკვდები და გთხოვ, აქ არ დამტოვო, ჩემს სამშობლოში წამიყვანეთო!

ჩვენი კონგრესის ფინალი იყო დრეზდენის სამეცნიერო საბჭოს მეურნეობის დათვალიერება და შემაჯამებელი სხდომა.

მოულოდნელად თოფის სროლა გაისმა, გარეულ ღორებს ხოცავენ თქვენს პატივსაცემადო, აგვიხსნა პროფესორმა თომა-სიოსმა. ჩვენებურად მწვადი არავის შეუწვავს, მთელი ღორი იწვებოდა მბრუნავ შამფურზე — შეშის ცეცხლზე, მერე ვისაც რა ნაჭერი სიამოვნებდა თვითონ მოჭრიდა. 500-კაციან სუფრაზე სრული ანარქია იყო, აუტანელი ხმაური. საქმე იქამდე მივიდა, რომ აკადემიკოსი ლაპინი სკამზე შედგა და იყვირა: ჩვენს სუფრას ესწრება პროფესორი მამია გოგოლიშვილი, ცნობილი თამადა, ქართველებზე უკეთ სუფრის გაძღოლა არავის შეუძლია და ერთი მას მოვუსმინოთო. წინადადება მიიღეს. ხუთ რიგად დასხდნენ, თითო რიგში 100—100 კაცი, ამიტომ 5 მოადგილე დავნიშნე და ბანკეტი ჩვენებურ ლხინს დავამსგავსე.

იმავე წლის შემოდგომაზე ნოვოსიბირსკში, ამერიკის, კანადის, მოსკოვის, თბილისის და ნოვოსიბირსკის ბოტანიკური ბაღების ერთობლივი ექსპედიცია მოეწყო და 15 დღეს გასტანა. ალტაის მხარის მცენარეულობა შევისწავლეთ. ნოვოსიბირსკის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა იგორ კარაპაჩინსკიმ და მისმა თანამშრომლებმა ჩინებულად გვიმასპინძლეს. ექსპედიციის მოღვაწეობის თაობაზე მასალები დაიბეჭდა ამერიკის, კანადის და სხვა ქვეყნების ბოტანიკური ბაღების ჟურნალებში.

ასევე წარმატებით ჩაიარა ამერკავკასიის ბოტანიკური ბაღების სესიამ ქალაქ ბაქოში, რომელიც ნოვოსიბირსკის ექსპედიციიდან სულ მოკლე დროში გაიმართა.

ისევ საზღვარგარეთ და ისევ გერმანიაში. ეს იყო 1984 წლის გაზაფხული, ფრანკფურტში გაიმართა ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო კონგრესი. საბჭოთა კავშირიდან 10 ბოტანიკური ბაღის წარმომადგენელი მონაწილეობდა, საკავშირო ბოტანიკური ბაღების თავმჯდომარის მოადგილე ლევ ანდრეევის ხელმძღვანელობით. ფრანკფურტის ბოტანიკური ბაღის კოლექტივები და მისი დირექტორი, პროფესორი შოზერი გულთბილი მასპინძლები აღმოჩნდნენ. სესიები რაღაც ზღაპრულ, უშველებელ პალმებით დახურულ

„დარბაზში“ მიმდინარეობდა. ყველას ძალიან მოგვეწონა ეს, განსაკუთრებით ჩინელებს, არც ერთი პალმა რომ არ დაუტოვებიათ გადაუღებელი. ბაღს ქალაქის მერი კურირებს. მართალია, იგი ქალაქის ბიუჯეტზე არაა, მაგრამ მერია სპონსორობს. კონგრესიც ალბათ ამიტომ გახსნა მერმა. კლიმატრონის დასათვალიერებლადაც თავად წაგვყვა, გვიხსნიდა — რომელი მცენარე რომელი ქვეყნიდან იყო მოტანილი, რა დაუჯდა, რას ფიქრობდნენ სამომავლოდ და ა. შ. კონგრესის მონაწილეებს ბევრი ბოტანიკური და სასოფლო-სამეურნეო ობიექტები დაგვათვალიერებინეს, ვიყავით მუზეუმში, ხილბოსტნეულის გადამმუშავებელ და ღვინის ქარხნებში.

ერთობ გადატვირთული წლები გვქონდა. გერმანიიდან დაბრუნებულებს ახალი საქმე გაგვიჩნდა — ქვემო და ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის მთების მცენარეულობის შესასწავლად ექსპედიციის მოწყობა. ექსპედიციაში ათნი წავედით. ლეჩხუმში ჩვენთვის საინტერესო დიდძალი მცენარეულობა შეგვაგროვეთ. უნდა გენახათ როგორი ინტერესით მოქმედებდა ექსპედიციის თითოეული წევრი, უნდა ვაღიარო, რომ ქალებმა გვაჯობეს სიძნელეების გადალახვაში. ყველაზე დიდი დრო ზემო რაჭამ, მამისონის უღელტეხილმა წაგვართვა. იქ ერთ-ერთი კოლმეურნეობის ფერმას წავაწყდით, მისი გამგე აღმოჩნდა ჩვენი საყვარელი თანამშრომლის ჯიმშერ კერესელიძის მამა — ბატონი ერმილე. უნდა გენახათ, როგორ გაიხარა და რა გულიანად გვიმასპინძლა. ძლივს დავიხსენით თავი. იქიდან სვანეთისაკენ ავიღეთ გზა. ღამე ლენტეხის სასტუმროში გავათიეთ. რაიონის ხელმძღვანელები დიდი პატივით შეგვხვედნენ. მოულოდნელად შევნიშნეთ, რომ ჩემი მოადგილე — დავით მანჯავიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ნოე რატიანი და განყოფილების გამგე გიორგი მანაგაძე შეშფოთებულნი იყვნენ, რა მოხდა-მეთქი, ეკითხე, ნანა ყუბანეიშვილი თავს კარგად ვერ გრძნობსო, მითხრეს ერთ თანამშრომელზე. ყველანი ფეხზე დავდექითო, რა თქმა უნდა, მასპინძელიც. გამოირკვა, რომ სასწრაფოდ უნდა გაკეთებულიყო ბრმა ნაწლავის ოპერაცია. ასეც მოხდა. რაკი ყველაფერი კარგად ჩატარდა, ნანას ერთი თანამშრომელი მივამაგრეთ და ზემო სვანეთისაკენ განვაგრძეთ გზა. ბევრი სიძნელე გადაგვეღობა. 3000 მეტრ სიმაღლეზე გამხოლოებული ჰაერის პირობებში ჩვენი სატვირთო მანქანის ძრავას გაუჭირდა და კამეჩებზე გამობმული ვაორიეთ. მაინც ბევრი რამ ვნახეთ, ჩვენმა თანამშრომლებმა ბაღისათვის ძვირფას უამრავ მცენარეს მოუყარეს თავი, მესტიაში დიდად დაგვეხმარა ჩემი ბავშვობის მეგობარი, ამ რაიონის მკვიდრი, იმჟამად პროკურორი რევაზ შამფრიანი. ექსპედიციამ წარმატებით ჩაიარა, ჩვენი ნანაც მალე გამოჯანმრთელდა და ეს ღონისძიებაც სასიამოვნო მოვლენად ჩამრჩა მეხსიერებაში.

საოცრად თბილი, ყურადღებიანი და გულისხმიერი კოლექტივი გვყავდა. მისი თითოეული წევრი სულ იმის ცდაში იყო, რითი ესიამოვნებინათ ერთმანეთისათვის. გამონაკლისი, ცხადია, არც მე ვიყავი. ძალიანაც რომ მინდოდეს, არ შემიძლია არ გავიხსენო 1984 წლის გაზაფხული. 70 წელი მისრულდებოდა. ჩემი ყოფილი ასპირანტი, მეცნიერებათა კანდიდატი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში — ჯიმშერ კერესელიძე და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბაღის პარტორგანიზაციის მდივანი, ახლა კი დირექტორი — ნოე რატიანი მისულან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში და უთხოვიათ, ბატონი მამია გოგოლიშვილის იუბილე ფართო მასშტაბით აღვნიშნოთო.

პრეზიდიუმში მოუწონებიათ ეს წინადადება და საქართველოს მინისტრთა საბჭოს წინაშე აღუძრავთ იუბილეს ჩატარების საკითხი. იქაც ეროსულოვნად მიუღიათ გადაწყვეტილება.

კომისიაში შეეიდნენ: აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე, აკადემიის სოფლის მეურნეობის პრობლემათა განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ დარასელია, თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ლია ლომიძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვალერიან მეტრეველი, ჯიმშერ კერესელიძე და ნოე რატიანი. იუბილე 1984 წლის 16 სექტემბრისათვის დაინიშნა. საიუბილეო სხდომა მიჰყავდა კომისიის თავმჯდომარეს, აკადემიკოს სერგო დურგლიშვილს. იუბილეზე ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკიდან. აქ იყვნენ მოსკოვის საკავშირო ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პეტრე ლაპინი, მთავარი ბოტანიკური ბაღის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ანდრეევი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე და ბაღის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ტიხომიროვი, კიევიდან — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ტ. რერევჩენკო, დელეგაცია შუა აზიიდან და ყაზახეთიდან აკადემიკოს ი. ბაიტულინის ხელმძღვანელობით, ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის დელეგაცია ზვირგზის მეთაურობით. ჩეხოსლოვაკიიდან — დენტრობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ფრანტიშეკ ბენჩატი, ბულგარეთიდან — პროფესორი დიმა გრამატიკოვი, სომხეთიდან — სამივე ბაღის ჯგუფი ზიროიანის მეთაურობით, ბაქოდან სამივე ბაღის დელეგაცია — აკადემიკოს იბრაგიმ საფაროვის ხელმძღვანელობით. იუბილეს ესწრებოდნენ სომხეთის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ქოჩინიანი.

მოსალოცი ადრესები მიბოძეს საქართველოს სოფლის მეურნეობის და სატყეო მეურნეობის სამინისტროებმა, თბილისის საბჭომ, სამწუხაროდ, იმ დღეს დაემთხვა დიდი მამულიშვილისა და გამოჩენილი მწერლის ნოდარ ღუმბაძის დაკრძალვა, რის გამოც მხოლოდ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოთარ ჩერქეზიამ შემოიარა, იუბილე მომილოცა ბატონი ედუარდ შევარდნაძისა და მისი სახელით, საჩუქრები გადმომცა და წავიდა. აჭარიდან იუბილე მომილოცეს ბათუმის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დავით ხახუტაიშვილმა, ქობულეთელთა სახელით გამოვიდა ჩემი ბიძაშვილის შვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი აკაკი გოგოლიშვილი.

განსაკუთრებით ამაღლებული იყო ყვარლის რაიკომის პირველი მდივნის არჩილ ძულიაშვილის გამოსვლა, რომელმაც დარბაზს ასე მიმართა: – ბატონებო, ბატონი მამია ქობულეთში დაიბადა, ჩვენ ქობულეთელებს არ ვართმევთ ამ დიდებულ შვილს, მაგრამ ჩვენს რაიონში, ყვარელში გაიზარდა, ჩვენ ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი დაბადების 70 წლისთავი ყვარელშიც აღვნიშნოთ. მომავალ შაბათს, დილის 11 საათზე ბატონი მამიას სახლის წინ დადგება ავტობუსი, ვისაც შესაძლებლობა გაქვთ, გეპატიჟებით. ჩვენთვის მუდამ კეთილად მოსაგონარმა და საყვარელმა ადამიანმა სერგო დურმიშიძემ ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით თქვა. ჩვენ, თუ გინდათ, ამ საღამოს ბატონ მამიას აგარაკზეც ვეწვიოთ. ახლა ამ დეპეშების წაკითხვა შევწყვიტოთ და სიტყვა პოეტ ჯემალ ქათამაძეს მივცეთო. ბატონი ჯემალი კარგი პოეტიც იყო და კარგი დეკლამატორიც. საოცრად შთამბეჭდავი ლექსი მომიძღვნა, რომელიც შემდეგ კრებულშიაც შეიტანა.

იუბილის ოფიციალური ნაწილი დამთავრდა, მეორე ნაწილი წოდორეთში, მართლაც ჩემს აგარაკზე გაგრძელდა. თამადად ჩემი ძველი მეგობარი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ბატონი გივი ჯავახიშვილი დავსვით. რუსულენოვანთა სუფრას ჩემი იმობილი სომხეთის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ანტონ ქოჩინიანი უძღვებოდა. შინაურებისას – ჩემი ახლო ნათესავი ალექსანდრე (შურა) გოგოლიშვილი. ლხინი დილამდე გაგრძელდა.

ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დამაჯილდოვა.

მკითხველს მობეზრდა, ბოდიშს ვუხდი, მაგრამ რა ვქნა, თუ ისევ მოგზაურობებში ვიყავი. ამ მხრივ, არც 1985 წელი იყო გამონაკლისი. ჩვენი ბაღის ხელმძღვანელობა ჯერ დონეცკში იყო მიწვეული იქაური ბოტანიკური ბაღის

საიუბილეო სესიაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოსთან ერთად გაიმართა. სესიაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე პეტრე ლაპინი, საინტერესო მოხსენებები ჰქონდათ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ბოტანიკური საზოგადოების თავმჯდომარეს აკადემიკოს არმენ ტახტაჯიანს, ტიმირიაზევის აკადემიის ბოტანიკის კათედრის გამგეს პროფესორ ვლადიმერ ხრჟანოვსკის, უკრაინის ბოტანიკური საზოგადოების თავმჯდომარეს კონსტანტინე სიტნიკს. ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების მიერ გაწეულ მუშაობაზე სესიის მონაწილეებს მე ვესაუბრე. სესია ერთობ წარმომადგენლობითი იყო და 4 დღე გაგრძელდა.

აღსანიშნავია, იმავე წელს, ბულგარეთში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმი. მე და ჩეხოსლოვაკიის დენდრობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ფრანტიშეკ ბენჩატმა. სიმპოზიუმზე წარვუდგინეთ ერთობლივი მოხსენება: „საქართველოში გავრცელებული ევროპული მცენარეები“, შემდეგ სამი დღე ვეცნობოდით ბულგარეთის ფლორასა და სოფლის მეურნეობას.

მანამდე სიმპოზიუმს შევახსენე, რომ 1986 წელს თბილისში გაიმართებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 350 წლის იუბილე. მოვიპატიჟე ყველა მსურველი, შემდეგ მოსაწვევები დავაგზავნეთ, მაგრამ იუბილეზე ჩამოსვლა მხოლოდ 18 ქვეყნიდან შეძლეს.

1985 წლის მეორე ნახევარში ქ. კიევში უკრაინისა და მოლდავეთის ბაღების გაერთიანებული სესია გაიმართა. მიწვეული იყო ამიერკავკასიის ყველა ბოტანიკური ბაღის წარმომადგენელი. მათ შორის თბილისის, ბათუმისა და სოხუმის ბოტანიკური ბაღებისაც. როგორც ყველა ასეთი ღონისძიება, კიევის სესია მეტად საინტერესო იყო და ბევრი რამ სასარგებლო შესძინა საერთო საქმეს.

და აი, 1986 — თბილისის ბოტანიკური ბაღის იუბილის წელი. 350 წლისთავის იუბილეს სპეციალური კომისია ამზადებდა, ფრიად განათლებული და ერუდირებული კაცის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოთარ ჩერქეზიას თავმჯდომარეობით. საიუბილეო კომისიაში შედიოდნენ საკავშირო ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევ ანდრიევი, გერმანიის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ანდრია ტერპო, ჩეხოსლოვაკიის დენდრობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ფრანტიშეკ ბეტიჩი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის პრობლემათა განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ დარასელია, საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრი შოთა ჭალაგანი-

ძე, თბილისის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, გიორგი გიგაური, ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნახუცრიშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. მღებრიშვილი და პარტიის ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი ლია ლომიძე.

საიუბილეო სესიამდე კომისიის სხდომა ორჯერ გაიმართა. მათ შორის, ერთხელ კომისიის ყველა უცხოელი წევრის მონაწილეობით. გავიხსენებ ერთ საინტერესო დეტალს: ჩვენი თარჯიმნები ინგლისურად და გერმანულად რომ უთარგმნიდნენ სტუმრებს, ბატონმა ოთარ ჩერქეზიამ შენიშნა, თქვენი თარგმანი მთლად ზუსტი ვერაა. ჩვენი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გერმანული და ინგლისური ენების შესანიშნავი მცოდნე იყო, თქვენ წარმოიდგინეთ — ბოტანიკისაც. დედას უჩუქებია თურმე მისთვის ბოტანიკური ლექსიკონი და ბევრი მცენარის ლათინური სახელწოდებაც იცოდა, უცხოელები ხშირად იმეორებდნენ, მთავრობის თავმჯდომარეც ასეთი უნდაო. მეც მაქებდნენ, თქვენი ღვაწლიც იქნება კომისიის თავმჯდომარის შერჩევაშიო. არადა, მე სულაც არ ვიცოდი ბატონი ოთარის ამდენი შესაძლებლობანი.

საიუბილეო კომისიის წევრებს ბატონი ოთარ ჩერქეზიას დავალებით, მოვატარეთ ლაგოდეხის ნაკრძალი, ფასანაურისა და ბორჯომის ხეობები, ეაჩვენეთ სხვა ობიექტები, ყველაფერი საუცხოოა, აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ.

საქმე ულევი გვქონდა, ყველაფერი, თვით ყველაზე წვრილმანამდე, გულმოდგინედ იყო მისახედი. საიუბილეოდ უნდა გამოსულიყო ჩემი წიგნი „თბილისის ბოტანიკური ბაღის ისტორია“, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სესიაზე მოწვეული გვყავდა 50 ქვეყნის წარმომადგენელი, მაგრამ, როგორც ვთქვი, 18 სახელმწიფოდან გვეწვივნენ მხოლოდ. მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, დანიიდან...

სტუმრები ძირითადად სასტუმრო „ივერიაში“ მოვაწყვეთ. საქართველოს მინისტრთა საბჭომ იუბილის დღეებში 40 მსუბუქი ავტომანქანა მოგვამაგრა. თითო მანქანა ემსახურებოდა ყოველ უცხოელს და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის თითოეულ დელეგაციას.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ ოთარ ჩერქეზიამ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდა ყველა უცხოეთის ქვეყნის წარმომადგენელი და დელეგაციის ხელმძღვანელი. საქართველოს

კომუნისტური პარტიისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მოგვესალმა ცენტრალური კომიტეტის მდივანი გურამ ენუქიძე. მოხსენებით მე გამოვედი.

სესიის ოფიციალური ნაწილი ერთი დღით შემოიფარგლა. საღამოს სასტუმრო „ივერიის“ დიდ დარბაზში საქართველოს მთავრობამ დიდი ბანკეტი გაიართა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი ოთარ ჩერქეზია. მეორე დღეს სტუმრებს თბილისის ღირსშესანიშნაობანი დავათვალიერებინეთ. საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრში ნახეს „აბესალომ და ეთერი“.

მომდევნო დღეს ავტობუსების ქარავანით კახეთს გავემგზავრეთ. სტუმრებს ძალიან მოეწონათ ლაგოდეხის ნაკრძალი. მასპინძლებს მთებში ასასვლელად ცხენები მოემზადებიათ, გაუკვირდათ, რა ყურადღებიანი ხალხი ყოვილხართო, მაგრამ რაკი შესაბამისი ტანსაცმელი არა ჰქონდათ, გულდაწყვეტილებმა თქვეს უარი ეგზოტიკურ სიამოვნებაზე. მაშინ ჩვენებურად მოვილხინოთო, თქვეს კახელებმა და დიდებული სუფრა გაშალეს.

ლაგოდეხიდან თელავის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად გავემგზავრეთ, მაგრამ გზად გვერდი ვერ ავუქციეთ ყვარელს. მისი შესანიშნავი ბუნებითა და დაძველებული ღვინის მარნით მოვხიბლეთ სტუმრები. სხვებზე მეტად მე ვღელავდი, მე ხომ ყვარელში გავატარე ჩემი ბავშვობა ძია ზაქარიასა და ფებრო დეიდას ოჯახში, სადაც ახლა მათი შვილი, ჩემი ძმადნაფიცი შალიკო მზეიქალაშვილი ცხოვრობს მეუღლით, შვილებით და შვილიშვილებით. უცხოელებსაც გავაცანი ჩემიანები. ოჯახის დიასახლისი ქალბატონი ოლია სიხარულისაგან ცას ეწია, როგორ დაიფასეთ ჩემი ოჯახიო, სულ მადლობას მიხდიდა, შენ რომ არა, ძმაო მაია, ამნაირი ხალხი ჩვენ საიდან მოგვაკითხავდაო.

სტუმრებს კახეთში ვაჩვენეთ ერეკლეს სახლ-მუზეუმი, იყალთოს მონასტერი და აკადემია. მორწმუნე უცხოელები და სხვა სტუმრებიც დიდხანს ვერ ელეოდნენ ამ სანახაობას, ძალიან მოეწონათ ალექსანდრე ჭავჭავაძის უნიკალური პარკი. წინანდლის ღვინის ქარხნის დირექტორმა პროფესორმა თამაზ ნანატრიშვილმა ქართული მარიფათით მიგვიპატიჟა იქაური საუცხოო ღვინის ჭაშნიკზე.

თბილისში გვიან ღამით ჩავედით. მეორე დღეს მცხეთას ვეწვიეთ. ყველას ძალიან მოეწონა უძველესი ისტორიული ქალაქი, სვეტიცხოველიც, ცხადია, თითქმის ყველა უცხოელმა მოისურვა იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმის დათვალიერება. სტუმარი ღვთისააო და აბა უარს ვინ ეტყოდა. ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებოდნენ. ყოველ დეტალში ცდილობდნენ ჩაწვდომას. საოცრებათა სამყაროში მოხვედრილი ადამიანის განცდებს გამოხატავდა მათი სახეები.

გორელები, მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, შესანიშნავად გაგვიმასპინძლდნენ.

სტუმრები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ბორჯომის ხეობასა და ბაკურიანს რომ ათვალიერებდნენ. ხან რომელი ქვეყნისას ადარებდნენ ამ ხეობას და ხან რომლისას. ბოლოს ერთხმად აღიარეს: ამას ბადალი არა ჰყავსო.

ბორჯომის სადგურში სპეციალური მატარებელი იდგა ჩვენთვის. ახალ-თახალი 10 ვაგონით, ყველაფერი ხელმოუკიდებელი იყო. გამცილებლებსაც სულ ახალი სპეცტანსაცმელი ემოსათ. მითხრეს, გარდა აუცილებელი გაჩერებისა, თქვენი განკარგულებით ვიმოქმედებთ, ბატონო მამიაო. სწორედ ამ მატარებლით გამოვემგზავრეთ ბათუმში. ვაგზალში დაგვხვდნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, საოლქო კომიტეტის მდივნის ვახტანგ პაპუნიძის მეთაურობით. მასპინძელთა შორის იყვნენ მომხიბვლელი ქალბატონები — ნანი გუგუნავა და ნათელა დუმბაძე. პირდაპირ ჩვენთვის დაჯავშნილ გემზე გავემართეთ. იქ დავისვენეთ, ვისადილეთ და კურსი ბათუმის ბოტანიკური ბაღებისაკენ ავიღეთ.

გადაუღებლად წვიმდა. ბათუმურადო, რომ იტყვიან ისე. მაინც ბევრი რამ აჩვენა სტუმრებს ვანო პაპუნიძემ. განუმეორებელი სილამაზეაო, ამბობდნენ ერთხმად სტუმრები. ის კი არა, მეც მსოფლიოს სამასამდე ბაღი რომ მინახავს, ეროხელ კიდევ მოვიხიბლე ჩვენი ბაღის, ზღვისა და ლამაზ გორაკებზე შეფენილი მცენარეულობის სიმშვენიერით.

ბოტანიკური ბაღის დათვალიერების შემდეგ ვჩქარობდით, მაგრამ მაინც მოვასწარით ჩაქვის ჩაის ფაბრიკის და მეურნეობის დათვალიერება. ჩვენი მიზანი იყო სტუმრებისათვის გვეჩვენებინა კოლხეთის ტყის ფრაგმენტი — თიკერის ნაკრძალი (ქობულეთის აღმოსავლეთით), რომელიც გამოირჩევა თავისი ისტორიული ღირსებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით (შვლები, გარეული ღორები, ხოხბები). ჩვენი სესიის საორგანიზაციო კომისიის ხელმძღვანელი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე წამოგვეწია, თბილისიდან მანქანით წამოსულიყო, ეს ძალიან ესიამოვნათ სტუმრებს და უფრო სიმპათიურად განეწყვნენ ბატონ ოთარ ჩერქეზიასადმი.

ქობულეთმა დიდებულად გვიმასპინძლა. სტუმრებს ძალიან მოეწონათ აქაურობა, მარტო ბუნება კი არა, ადამიანებიც. ეს რა კაცი ყოფილაო, ამბობდნენ რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელზე ბატონ ბონდო ჯიქიაზე, უსაზღვროდ რომ აღაფრთოვანა ყველა თავისი მჭევრმეტყველებით, ხელოვნების და ლიტერატურის ცოდნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, საიუბილეო კომისიას რომ ამტკიცებდნენ, ედუარდ შევარდნაძეს უთქვამს — კარგი იქნება თუ სტუმრებს ერთ ქართულ ოჯახსაც აჩვენებთო. ბატონო მამია, იფიქრეთ ამ საკითხზე და თქვენი აზრი მითხარითო. ჩემი მამის ალექსი

გოგოლიშვილის ოჯახზე შევაჩერეთ არჩევანი. ჩემი ძმისშვილი ზურიკო ბათუმის ერთ-ერთი კომბინატის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იყო მაშინ, გულუხვი და გამორჩეულად სტუმართმოყვარე კაცი. მშვენიერი ოჯახიც ჰქონდა. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. თუმცა, ნათელი კვალი კი დატოვა და ეს გარკვეულად ანელებს მწუხარებას.

50 კაცით მივადექით ჩემს ოჯახს. ყველაფერი მაღალ დონეზე გაეკეთებინათ. ის კი არა, წასვლისას ყველას სამახსოვრო საჩუქრები ჩამოურიგეს. აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ სტუმრები — ეს რანაირი მასპინძლობა გცოდნიათო.

საღამოს გემზე რადიოთი გამოაცხადეს, ყველანი რესტორანში შეიკრიბეთ, აჭარის მთავრობა გიწვევთ ვახშამზეო. რახან გემით მიემგზავრებიან, გზა აქვე დავულოცოთო, გადაუწყვეტია ბატონ ვახტანგ პაპუნიძეს. დასამახსოვრებელი ვახშამი იყო. განშორებაც ასევე — გულთბილი და შთამბეჭდავი.

მეორე დღეს სოხუმში ვიყავით. პორტში დაგვხვდნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი გუტბა და სხვა ოფიციალური პირები.

აფხაზეთის დედაქალაქის ბოტანიკური ბაღის დათვალიერებას უძღვებოდა მისი დირექტორი გივი აიბა, სტუმრებს აჩვენეს „სმიცკის“ ბაღი. მერე საღილიც დიდებული მოუწყვეს და გაცილებაც. ასე დამთავრდა ეს მართლაც საინტერესო ღონისძიება.

იმავე წლის შემოდგომაზე ინგლისში გაიმართა ბოტანიკური ბაღების მსოფლიო ასოციაციის კონგრესი. საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ ორი —მოსკოვისა და თბილისის ბაღების წარმომადგენლები მიგვიწვიეს. თავდაპირველად დაფინანსება გაჭირდა, მაგრამ მერე ესეც მოგვარდა, ლონდონში გამგზავრების ბილეთების ხარჯები საქართველოს მინისტრთა საბჭომ გაიღო. მოსკოვის აეროპორტში ბილეთები გაყიდული იყო. რა უნდა მექნა. ტოკიო-ლონდონის თვითმფრინავს გამაყოლეს, მშვენიერად ვიმგზავრე. იაპონელები გულთბილი ხალხია, სულ არ მიგრძვნია თავი უცხოდ, მაგრამ ესაა, დანიშნულზე ერთი დღით ადრე ჩავფრინდი და არავინ დამხვედრია, დავრჩი ასე ეულად ამხელა ქალაქში, ოანაც ცუდი ღამე იყო, საელჩომდე კი — 50 კილომეტრი.

ვარ დაღონებული, მაგრამ ღმერთი არ გაწირავს, კაცსა შენგან განაწირსაო, იმისი არ იყოს, მოდის ერთი ახალგაზრდა და რუსულად მეკითხება: ოქვენ, საბჭოთა მოქალაქე ბრძანდებით? არ ვიცი, როგორ შემატყო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. კი ვარ, ადრე მომიხდა ჩამოსვლა, ჩვენები ხვალ ჩამოდიან, ამიტომ არავინ დამხვდა-მეთქი. არაუშავსო, მე საელჩოს

მძღოლი ვარ, ცოლ-შვილს დავხედი, თქვენს საელჩოში მიგიყვანთო. სული მოვითქვი, დიდი მადლობა გადაეუხადე.

ღამის 23 საათზე (ლონდონის დროით) საელჩოში ვიყავი. მორიგე დამხვედა — გვარად კალიტინი, გულთბილად შემხვედა, ცოტა ქართული იცოდა. 15 წელიწადს ქობულეთში ვიცხოვრე, საშუალო განათლება იქ მივიღე, ქუთაისის ლიმიტით მოსკოვის დიპლომატიურ სასწავლებელში ჩავირიცხე, ახლა აქ საელჩოს მესამე მდივანი ვარო. საქართველო და ყველა ქართველი ძალიან მიყვარსო. სასტუმრო მეორე დღისათვის იყო დაჯავშნილი, მაგრამ ნაცნობი ჰყავდა, იმას დაურეკა და საელჩოს მანქანით მივედით სასტუმროში.

მეორე დღეს მოსკოვიდან ჩამოფრინდა საკავშირო ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პეტრე ლაპინი და მოავარი ბოტანიკური ბაღის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევ ანდრეევი. საბჭოთა კავშირის ელჩს გავაცანით ჩვენი 16-დღიანი მარშრუტი.

კონფერენცია დარჰამის უნივერსიტეტში იყო დანიშნული. გულითადად შეგვხვდა უნივერსიტეტის რექტორი და ამ ბოტანიკური ბაღის დირექტორი ბატონი მოცლი.

კონგრესი, რომელსაც 70 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, გახსნა ბოტანიკური ბაღების მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარემ, კონგრესზე მოგვესალმა ქალაქის მერი, საინტერესო იყო პეტრე ლაპინის გამოსვლა, ჩემი მოხსენებაც მოეწონათ. სამი დღის შემდეგ კონგრესს მუშაობა უნდა განეგრძო შოტლანდიაში. ჩვენ ხშირად საკუთარი გაუგებრობანი გვიკვირს, ეს რა გვჭირსო, მაგრამ, მარტო ჩვენ არ მოგვდის ასე. ედენბურგში, მაგალითად, ვერც უნივერსიტეტის რექტორი ვნახეთ და ვერც პრორექტორი, ეს იმიტომ, რომ ინგლისელებთან შეხვედრა არ მოისურვეს.

ისევ დარჰამის უნივერსიტეტში დავბრუნდით, აქ გრანდიოზული საღამო გაგვიმართეს. მე უნივერსიტეტის რექტორს მივაროვი ინგლისურ ენაზე გამოცემული ატლასი „საქართველო და სვანეთი“ და „ქართული ღვინოები“. ამის შემდეგ სულ ჩვენი ქება იყო. თუკი ვინმემ რამე იცოდა საქართველოზე, სულ გადმოალაგეს. ხელიდან ხელში გადადიოდა სვანეთის წიგნი. ყველა გაოცებული დაჰყურებდა იმ ოქროს ჯვარის სურათს, რომელიც საზღვარგარეთ იყო გატაცებული. ამ წიგნს სტაცა ხელი რექტორის მეუღლემ, გულში ჩაიკრა, შემაღლებულ ადგილზე შედგა და გადმოსძახა ყველას: — მე ამ წიგნს ვერავის დავუთმობ, ქმარს გავიყრები და ამ ჯვარს ვერაო. ამან დიდი გამოცოცხლება გამოიწვია.

ჩვენებური „ქინძმარეულის“ ცარიელი ბოთლები სულ სუვენირებად წაიღეს. ყოჩაღ, თამაზ, ახლაც ვიმეორებ თამაზ კანდელაკის მისამართით, რომელმაც ისეთი გაფორმებული ბოთლებით გამატანა „ქინძმარეული“, რომ თვით

მრავლისმომსწრე ლონდონელებიც კი აალაპარაკა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც არანაკლებ გააკვირვა.

დილით მსოფლიოში სახელგანთქმულ ლონდონის სახელმწიფო ბოტანიკურ ბაღს ვეწვიეთ. ჩვენთან შესახვედრად მოვიდა ბაღის თანამშრომელი, ინგლისის სოფლის მეურნეობის მინისტრი, პროფესორი, ლორდი ბესტსტედი, რომელიც მთელი დღე არ მოგვცილებია.

იქაური ბოტანიკური ბაღის მდიდარი კოლექცია, მისი სართულებიანი ორანჟერეები და მსოფლიო ჰერბარიუმი, პირდაპირ განსაცვიფრებელია. იმათ უკეთ აქვთ მოვლილი კავკასიური ფლორის ჰერბარიუმი, ვიდრე ჩვენ, ახლა მათი ბიბლიოთეკა— არ გამოვა წიგნი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, რომ მისი ეგზემპლარი არ მიიღოს ამ ბიბლიოთეკამ. ბაღს უამრავი სპონსორი ჰყავს, როგორც დირექტორმა განაცხადა, იმდენი ფული გვაქვს, სად წავიღოთ არ ვიცითო! რამდენიმე კერძო ბოტანიკური ბაღიც დავათვალიერეთ. მასპინძლებმა გული არ დაგვწყვიტეს და, სიშორის მიუხედავად, ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზე მიგვიყვანეს, იქაური უღრანი ტყეებიც გვაჩვენეს, მათ შორის 2 ჰექტარიანი სექვოია, დენდრონის ტყეც.

ჩვენი ჯგუფის მეთაურმა საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარემ გამომგზავრების წინ ინფორმაცია გაუკეთა საელჩოს. მე მდიდარი ქართველები ვიცი, ეს ღარიბი ქართველი სად ნახეთო, ანიშნა ჩემზე, თან მოიბოდიშა — ხუმრობა მიყვარს და არ გეწყინოსო. საქმე იმაში იყო, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეცდომით მომცა 56 სტერლინგით ნაკლები, ვიდრე საჭირო იყო. დანაკლისი ლონდონის საელჩომ შემივსო. იმ ელჩის ხუმრობის საფუძველიც ეს იყო.

1987 წელი. ისევ ოლომიუცი. იქ ყვავილოვანი კულტურა ბრომილეიზე საეროაშორისო გამოფენა მოეწყო. სსრ კავშირიდან მონაწილეობდნენ მოსკოვის, კიევის, იალტის, თბილისის, მინსკის, ესტონეთის, ვილნიუსის და რიგის ბოტანიკური ბაღები. მე პერსონალურად ვიყავი მიწვეული, როგორც ჟიურის წევრი. ბრომილეით საბჭოთა კავშირის თითქმის არც ერთი ბოტანიკური ბაღი არ იყო გატაცებული, ეს ჟიურიმაც აღნიშნა, მაგრამ გარკვეული წარმატება მაინც ხვდათ ვილნიუსისა და იალტის ბოტანიკურ ბაღებს.

კიდევ ერთი კონგრესი, ისევ 1987 წელს. იგი პრაღაში გაიმართა. კონგრესზე მიწვეული იყო საბჭოთა კავშირის ბაღების საბჭოს 10 მონაწილე, მათ შორის მეც. ჯერ სლოვაკიის დედაქალაქ ბრატისლავაში ჩავედით, შემდეგ პრაღაში. დენდრობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორთან იყო შეხვედრა დაგეგმილი. იქ მან ერთი საათი გვალოდინა — ლექცია მაქვს სტუდენტებთანო. ამ განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია. პოლონელმა პროფესორმა, რო-

�ელიც ერთი წლის წინ ჩვენს კონგრესს ესწრებოდა თბილისში, გაბრაზებულმა წამოიძახა ინგლისურად და რუსულად: „ეტო ვამ ნე ტბილისიო". საერთოდ, კონგრესი ულიმღამოდ წარიმართა და ამას ყველა ინსტიტუტის დირექტორს აბრალებდა. ასეც იყო. მისი ქ. ნიტრის კონგრესთან შედარება, რომელიც ერთი წლის წინ გაიმართა, უხერხულიც კია, იმდენად მაღალი დონე იყო მაშინ.

ამას მოჰყვა მიწვევა გერმანიიდან, სადაც 1988 წელს გაიმართა ბოტანიკური ბაღების მსოფლიო ასოციაციის კონგრესი, რომელზეც საბჭოთა კავშირიდან 30 კაცი ჩავედით. კონგრესზე ერცელი მოხსენებით გამოვიდა ბოტანიკური ბაღების ახალი თავმჯდომარე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევ ანდრეევი. საბჭოთა კავშირიდან მეტი მოხსენება არ ყოფილა. ერთ-ერთ სხდომაზე დაისვა საკითხი შემდგომი კონგრესის მასპინძელი ქვეყნის თაობაზე, რომელიც 1990 წელს უნდა გამართულიყო. მონაწილეთა უმრავლესობამ თბილისი დაასახელა. კონგრესის ხელმძღვანელობამ მთხოვა აზრი გამომეთქვა. საპატივცემლო ხალხი რომ გეტყვის გინდა, თუ არა, შენთან მოედიავარ სტუმრადო, უარი რანაირად მეთქმის-მეთქი. ეს ხუმრობით. მერე დაეძინე, მე ვარ ბოტანიკური ბაღის დირექტორი, რომელსაც დიდ დაფასებად მიმაჩნია ჩემს ქვეყანაში ასეთი დიდი კონგრესის ჩატარება, მაგრამ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს მთავრობის დონეზე. საღამოს დავუკავშირდები მთავრობის თავმჯდომარეს და ხვალ პასუხს მოგახსენებთ-მეთქი. ბატონმა ოთარ ჩერქეზიამ მიპასუხა: ეს დიდი პატივია ჩვენი რესპუბლიკისა და ბოტანიკური ბაღისათვის. დაიანხმდით, ყველაფერს გავაკეთებთ, სირცხვილს არ ვჭამთო. ვერ წარმოიდგენთ როგორი სიხარულით და ტაშით შეხვდნენ კონგრესის მონაწილეები ბატონ ოთარ ჩერქეზიას პასუხს.

მეორე დღეს ღამის გათენეთ გავედით გერმანიის ტყეებში და ბოტანიკური თვალსაზრისით საინტერესო ობიექტების დასათვალიერებლად. კმაყოფილები დაებრუნდით. ამასობაში გამომგზავრების დროც მოვიდა. აეროდრომში ღღის 12 საათზე გამოვცხადდით, 2 საათზე კი გამოგვიცხადეს — მოსკოვიდან ოვითმფრინავი როდის მოვა არ ვიცით, შეგიძლიათ რესტორანში ისადილოთ აეროპორტის ხარჯზეო. თვითმფრინავი ისევ არ ჩანდა. საღამოს 6 საათზე მიგვიწვიეს რესტორანში. როგორც იქნა, ღამით გამოვფრინდით.

1989 წელს დავიწყეთ მომავალი კონგრესისათვის მზადება. შეიქმნა საორგანიზაციო კომისია. მინისტრთა საბჭომ საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მინისტრი გურამ მგელაძე. კომისიის წევრებად დაამტკიცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის პრობლემათა განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ნათიშვილი, საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრი შოთა ჭალაგანიძე, საქართველოს სამთო-სატყეო ინსტიტუტის დირექტორი,

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი გიგაური, ქ. თბილისის მერის მოადგილე მერაბ მღებრიშვილი, კიროვის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი ლ. ლომიძე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ე. პაპუნიძე, სოხუმის ბაღის დირექტორი გ. აიბა და მე.

ბატონი გურამ მგელაძე არნახული ენერგიითა და დიდი სერიოზულობით შეუდგა საქმეს. რამდენიმე სხდომა გაიმართა. დაზუსტდა ობიექტები, სადაც უნდა გასულიყვნენ კონგრესის მონაწილენი. ზოგიერთი ობიექტი თავადაც ნახა, შეამოწმა მისასვლელი გზების მდგომარეობა. სპეციალური სხდომა მიუძღვნა დარბაზის (კინოს სახლი), განათების, კვების, სასტუმროების, ავტოტრანსპორტის, სტამბის და სხვა საკითხების მოწესრიგებას. ამიტომ დაიმედებული, თამამად დაეესწარი ბუდაპეშტში ბოტანიკური ბაღების ევრაზიის სიმპოზიუმს და პრეზიდიუმის სხდომას. პრეზიდიუმის წევრი ორნი ვიყავით საბჭოთა კავშირიდან, მოსკოვის მთავარი ბოტანიკური ბაღიდან — ლ. ანდრეევი, თბილისიდან — მე. სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოითხოვეს ინფორმაცია, თუ როგორ ვემზადებოდით, რა ობიექტები შევიდა დასათვალიერებელ გეგმაში. ერთმა დარბაზიდან წამოიძახა, ვნახოთ, შეიძლებთ თუ არა მაგ გეგმების განხორციელებასო. გავუსწრებ მოვლენებს და ბარემ ვიტყვი — რაც სიმპოზიუმს მოვახსენე, არათუ შევასრულეთ, მეტის გაკეთებაც შეეძელით.

ბუდაპეშტის ბოტანიკური ბაღის დირექტორი და ევრაზიის ბოტანიკური ბაღების ასოციაციის თავმჯდომარე ბატონი ბორვიხი კონგრესის მიმდინარეობის დროს სულ მე დამყეებოდა და მეუბნებოდა, აი, ეს გეგმაში არ ყოფილაო.

კონგრესზე მოსაწვეევები 70 ქვეყანაში დავაგზავნეთ. 50-საგან დადებითი პასუხი მივიღეთ. ყველა ობიექტს გულმოდგინედ ვამზადებდით. მივხედეთ გორში ი. სტალინის სახლ-მუზეუმს, შევაკეთეთ ბორჯომის საცდელ-სატყეო მეურნეობაში მისასვლელი გზა. მოვაწესრიგეთ ბორჯომის ისტორიული ძეგლები, ბაკურიანის ობიექტები, ლაგოდეხში — ნაკრძალი, დავბეჭდეთ ბუკლეტები, ერთხელ კიდევ შეეამოწმეთ ყვარლის ღვინის მუზეუმი, მოვამზადეთ თელავის ორივე სასტუმრო, კვების ბლოკები. ვაჭრობის სამინისტრომ, იმ პერიოდის გაჭირვების მიუხედავად, შეძლო ქსელის ჯეროვნად მომარაგება. გარდა ამისა, მოეწყო თბილისში მუზეუმი ღია ცის ქვეშ, თბილისის ზღვაზე არსებული დენდროლოგიური პარკი, მივხედეთ მცხეთა-ჯვარის და სვეტიცხოვლის მონასტრებს. საკითხი განიხილა მინისტრთა საბჭომ, ფინანსთა სამინისტროს დაეკალა გამოეყო სათანადო თანხები. მით უფრო, თუ კონგრესის მონაწილეებიც იხდიდნენ თანხას. კონგრესზე ძირითადი მომხსენებლები ვიქნებოდით მე და საკავშირო ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარე ლ. ანდრეევი.

1990 წლის მაისში კონგრესმა მუშაობა დაიწყო, 30-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. კონგრესი გახსნა საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ მგელაძემ.

კონგრესის ხელმძღვანელი შემდეგ სიტყვას მაძლევს მე. მოხსენების თემაა — „ამიერკავკასიაში მცენარეთა ინსტრუქციის მიმდინარეობის შესახებ". მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეე ანდრეევიც. შემდეგ მოეწყო სექციური მუშაობა.

კონგრესის მუშაობის მეოთხე დღეს გავედით მცხეთის სვეტიცხოვლის და ჯვრის მონასტრის დასათვალიერებლად. მერე დიდი ამბით გვთხოვეს იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმი დაგვათვალიერებინეთო. ჩვენ ეს ისედაც გვქონდა გეგმაში და სურვილი, რა თქმა უნდა, შევუსრულეთ. სტალინის მუზეუმის დათვალიერების შემდეგ უკან გავემართეთ. სტუმრებს ძალიან მოეწონათ ცხრა წყარო, აღფროთოვანებული დარჩნენ ულამაზესი ბოტანიკური ობიექტის დათვალიერებით, ვინც შეძლო, კოხტაგორაზეც ავიდა ფეხით. იქედან ბორჯომში დავბრუნდით. სტუმრები მივიწვიეთ ბორჯომის საცდელ სატყეო მეურნეობაში. ქვაბლიანის უძველეს ეკლესიაში, იქედან თბილისში დავბრუნდით.

მეორე დღეს ლაგოდეხის მიმართულებით გავემგზავრეთ, გზად სტუმრებს ისე მოეწონათ კახეთის ვენახები, რომ უამრავი ფოტო გადაიღეს. აღფრთოვანდნენ ლაგოდეხის ულამაზესი ნაკრძალით, რომელმაც მსოფლიო აღიარება ჰპოვა, ამაში დიდია მისი განუმეორებელი დირექტორის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის კირილე მამისაშვილის დამსახურება. აკადემიკოსი ვასო გულისაშვილი ხშირად იტყოდა: ეს კაცი ლაგოდეხის ნაკრძალითაა დაავადებულიო. ამიტომ იყო, რომ მადლიერი თანამშრომლები მოითხოვდნენ ნაკრძალისათვის კირილე მამისაშვილის სახელის მიკუთვნებას. ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.

ლაგოდეხელებს სტუმრებისათვის ორხიდიანი მსუბუქი ავტომანქანაც მოეყვანათ, ვინც სურვილს გამოთქვამდა, შეეძლო ველური ფლორის დათვალიერებაც. ამან სტუმრები ძალიან გაახარა. საღამოს ცოტა ხნით, მაგრამ მაინც, ვესტუმრეთ ყვარლის ღვინის მუზეუმს. მე კი, რამდენიმე სტუმრით, მივაკითხე ჩემს ძმობილს შალვა მზექალაშვილს. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულმა დაისადგურა ოჯახში. შალვას მეუღლე ქალბატონი ოლია, ასაკის მიუხედავად, ციბრუტივით ტრიალებდა. სტუმრები მოხიბლა შალვას მარანმა, საერთოდ, ქართულმა სტუმართმოყვარეობამ.

ღამე თელავში გავათიეთ. მეორე დღეს სტუმრებს ვაჩვენეთ ცნობილი მონასტერი და იყალთოს აკადემია. წინანდლის უმშვენიერესი პარკი, მცენარეთა მრავალსახეობითა და სილამაზით დატყვევებულ სტუმრებს უჭირდათ იქაურობის დატოვება. დიდი მოწიწებითა და მოწონებით დაათვალიერეს ცნობილი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ქართული ღვინის უძველესი მარანი და წინანდლის ღვინის ქარხანა. ერთმა უცხოელმა ხმამა-

ღლა იყვირა — ასწიე ხელი, ვისაც წინანდალი არ გაგისინჯიათო. ხელი არავის აუწევია. ცერი კი შემართეს იმის ნიშნად, რომ კარგად ვიცით, რა ღვინოცაააო. სადილიც გაგვიმართეს იქ. ქარხნის დირექტორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თამაზ ნანატრიშვილი გვეხვეწებოდა — ნუ აჩქარდებით, აცალეთ, უნდათ და დალიონო. სამაგიეროდ, გზაზე მხოლოდ მძღოლებსა და ბოტანიკოს ქალებს ეღვიძათ.

როგორც იქნა, თბილისის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლადაც მოვიცალეთ, რითაც ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. მიღება მოგვიწყო საქართველოს მთავრობამ. ვახშმის თამადად მე დამაყენეს. ამაღელვებელი განწყობილება იყო. თიოქმის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი გამოვიდა სიტყვით და მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას კონგრესის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის.

მეორე დღეს სტუმრებს დიდებული გაცილება მოვუწყვეთ.

იმავე საღამოს მივიღე მოწვევა ამერიკულ ექსპედიციაში მონაწილეობისათვის, რომელსაც სსრ კავშირის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი აწყობდა. მოსკოვიდან დამირეკეს, რომელი შტატები და ობიექტები გაინტერესებს უფროო. ფლორიდა, კალიფორნია, ვირჯინია, ჩიკაგო და ვაშინგტონი ავირჩიე. ობიექტებიდან — კალიფორნიის უნივერსიტეტის სუბტროპიკული კულტურის საწარმოო ბაზები, მორგან-ვეისმანის და ყველა წამყვანი ინსტიტუტი — სუტბროპიკული მიმართულებისა მათი საცდელი ნაკვეთებით.

ერთი თვის შემდეგ მოსკოვიდან დამირეკეს: — თქვენი ასაკის გათვალისწინებით უფლება გეძლევათ ფირმის ხარჯით გაიყოლიოთ თანმხლები, რომელსაც ეცოდინება ინგლისური ენა, მცენარეთა ლათინური დასახელებებიო. გამიჭირდა ასეთი კაცის მოძებნა, ამიტომ მარტო წავედი. ექსპედიციაში სულ ოთხნი ვიყავით, სხვადასხვა სპეციალობისანი. ამერიკაში ჩასვლისთანავე გაიყო ჩვენი გზები. უმეტესად საღამოობით ეხვდებოდით ერთმანეთს. ყაზახი აკადემიკოსი ბაიტულინი უფრო ველური ფლორის სასარგებლო მცენარეებით იყო დაინტერესებული. აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ზახაროვს გვალვაგამძლე კულტურები აინტერესებდა. მოსკოველი პროფესორი გორბუნოვი ორანჟერეებით იყო გატაცებული, მე — ცხადია, სუბტროპიკებით.

მართალი გითხრათ, ყველაზე მეტი ჯაფა მე დამადგა, რადგან 5 შტატი მქონდა განცხადებაში.

კალიფორნია და ფლორიდა წმინდა სუბტროპიკული რეგიონებია ამერიკისა. გამწვანება, გზების ქარსაფრები, სხვა ნარგავები ძირითადად ევკალიპტი, დიდფოთოლა მაგნოლია, ოლეანდრა, ზეთის ხილი და იაპონური კრიპტომერიაა. ციტრუსებიდან ფორთოხალი და ლიმონია კულტურულები, მან-

დარინი უფრო ნაკლებად. კალიფორნიის შტატში ჩვენ რომ ადრე „ნიკოფოროვის ფეჩებს“ ვეძახდით, იმნაირი ღუმელები უდგას შუაში, ყოველ ოთხ მცენარეს, როგორც კი ტემპერატურა დაიწევდა, ღუმელებს დაანთებდნენ, ბაღებს მოყინვისაგან გადაარჩენდნენ.

შესაშური იყო პლანტაციების დამუშავების მაღალი დონე, აგროტექნიკის ყველა წერილმანიც კი მაღალ დონეზე სრულდება. სამაგიეროდ, შრომაც ნაზღაურდება. ამერიკაში არც ერთ დამქირავებელს უფლება არა აქვს, თუგინდ დამწყებ მუშას საათში 4 დოლარზე ნაკლები გადაუხადოს. ამას მკაცრად აკონტროლებს პროფკავშირი. კვალიფიცირებული მუშები საათში 10 დოლარს იღებენ, ამიტომ იქ ყველაფერი მაღალ დონეზე კეთდება. ვერ ვიტყვი, რომ აგროტექნიკაში რაიმე ახალი შეეიძინე, ის კი ვისწავლე, რომ ანაზღაურების მოწესრიგება მთავარია, შრომის მთელ შედეგს განსაზღვრავს იგი. ზოგიერთი დამქირავებელი მუშას საღილსაც უფასოდ აძლევს. ამიტომაც იშვიათია გაცდენა, წუთი რაა — იმისიც, რადგან, როგორც ვთქვით, ანაზღაურება საათობრივია.

ასე რომ, ჩვენ მშვენიერი აგროტექნიკა გვაქვს, საჭიროა მხოლოდ ანაზღაურების სრულყოფა.

ამერიკაში, ჩემს კოლეგებთან ერთად, ინტერესით გავეცანი ველურ ფლორას. ჩვენ შემოგვიერთდა, იმ დროს იქ მყოფი, საბჭოთა კავშირის ბოტანიკური საზოგადოების თავმჯდომარე აკადემიკოსი არმენ ტახტაჯიანი. შტაბ-ბინა ლოს-ანჟელოსში გვქონდა, საიდანაც მივდიოდით სხვადასხვა ობიექტების დასათვალიერებლად. ლოს-ანჟელოსის ბოტანიკური ბაღი ყველაზე გამორჩეულია მთელ ამერიკაში. მისი დირექტორია მსოფლიოში ცნობილი ბიოლოგიის პროფესორი პეტრე რეველი. ბაღს აქვს ძალიან დიდი, ახალაშენებული 12 მილიონ დოლარად ღირებული კლიმატრონი, დიდი ბიბლიოთეკა, სადაც ბიოლოგიის დარგში მსოფლიო გამოცემის ყველა წიგნია წარმოდგენილი, მათ შორის — ჩემი ორი წიგნიც.

ლოს-ანჟელოსის ბაღის ჰერბარიუმი შეიძლება მსოფლიო ჰერბარიუმად მიიჩნიო, იქ ლამის მთელი ქვეყნის მცენარეულობის ჰერბარიუმია თავმოყრილი.

ლოს-ანჟელოსის ბოტანიკურ ბაღში 20 ქვეყნის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები გადიოდნენ სტაჟირებას, იქვე იცავენ დისერტაციებს, აქვეყნებენ შრომებს და, როგორც პროფესორმა რეველმა თქვა, ამაში არაფერს არ იხდიან. ლოს-ანჟელოსის ბაღი ალბათ განუმეორებელია მისი სილამაზითაც. ბაღის კოლექტივმა მე და ბაიტულინს გვთხოვა გვეამბნა ჩვენი დაწესებულებების მუშობის თაობაზე, თხოვნა შევუსრულეთ. ბევრ შეკითხვაზეც ეუპასუხეთ. რომ გაიგეს ბათუმის ბოტანიკური ბაღი სუბტროპიკული მიმართულებისაა, უფრო დაინტერესდნენ მისი საქმიანობით.

ჩემი განაცხადის მიხედვით შემდეგი ობიექტი, რომელსაც უნდა ეწვეოდი, ვეისმანის ინსტიტუტი იყო. ამ ინსტიტუტში რომ მოხვედე, წინასწარ უნდა

აცნობო: ვინა ხარ, რა სპეციალობისა, რა გაინტერესებს კონკრეტულად, რამდენ ხანს უნდა დაჰყო და ა. შ.

უმალ მოგვიტანეს ცელოფნის ლაბადები, ქუდები, საოვალეები, მკერდზე მიგვაბნიეს ფირფიტები — გვარის, სახელის, სადაურობის აღნიშვნით. შესვლისას გაგვჩხრიკეს, ფოტოაპარატიც დაიტოვეს. მთელი დღე დავყავით იქ, ყველა კითხვაზე პასუხის გაცემის უფლება არა გვაქვსო, მაგრამ მაინც ბევრი რამ შევიტყვეთ, რასაც დაპირების თანახმად, მეც დღემდე საიდუმლოდ ვინახავ.

დამაინტერესა იქაურმა ლიმონმა, 12 გრადუს ყინვას რომ უძლებს. ფოთოლი და ნაყოფი მწვანე-თეთრი ფერითაა აჭრელებული.

ინსტიტუტიდან გამოსულმა ფოტოაპარატით გარედან გადავიღე ეს ულამაზესი შენობა, რომელიც მიწის ზევით 8 სართულია, ქვეით კი ოთხი. იქ ერთმა განყოფილებამ არ იცის, მეორე რას აკეთებს. ეზოდან გამოსულს ფოტოაპარატი გამომართვეს და ამოიღეს ფირი. ინსტიტუტის დირექტორმა გაბაფრთხილა, ლიმონის ნერგი თუ უნდა წაიღო, სერთიფიკატია აუცილებელი, უმისოდ ჩამოგართმევენ და მეც უსიამოვნება შემხვდებაო.

27 ქვეყანაში ვარ ნამყოფი, ამერიკაში ჩემი გასვლა რიგით 56-ე იყო. არასოდეს ჩემი ჩემოდანი არავის შეუმოწმებია, ამჯერადაც ასე მოხდა. ამერიკიდან წამოვიღე ერთი ლიმონის ნერგი, ვნახოთ თუ გაუძლებს 12 გრადუს ყინვას. საინტერესოა, რომ ამ ლიმონის ნერგი ერთი წელი თბილისში გვქონდა და ვერ მოვახდინეთ მისი გამრავლება, შარშან ჩაქვის ფილიალში გადმოვიტანეთ მე და აჭარის სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა ტარიელ შამულაიშვილმა. იმედი მქონდა, რომ ქსოვილის კულტურის ლაბორატორია უფრო ჩქარა გაამრავლებდა, მაგრამ არ დაინტერესდნენ, ერთი ძირიც არ დაამყნეს. ახლა ამ უიღბლო ლიმონს ახალი ძიძა გამოუჩნდა, პროფესორი ჯაბნიძე, რომელსაც დიდი სურვილი აქვს გაამრავლოს ეს მცენარე. მჯერა, რომ ამჯერად გაწბილებულნი არ დავრჩებით.

ამერიკაში წასვლამდე საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში განცხადება მქონდა შეტანილი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე, მიზეზად ხანდაზმულობას ვასახელებდი. აკადემიის პრეზიდიუმმა ჩემი განცხადება დააკმაყოფილა.

ვინ უნდა დაენიშნათ ამ თანამდებობაზე?

ბაღის კოლექტივი და ახლანდელი დირექტორის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნოე რატიანი მხარს უჭერდნენ მაშინ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, ახლაც სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილის ჯიმშერ კერესელიძის კანდიდატურას, მაგრამ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ალბერტ თავხელიძემ თავისი არ დაიშალა და, ბატონ ნოე რატიანის კატეგორიული უარის მიუხედავად, სწორედ ის ავირჩიეთ დირექტორად.

ეს შესანიშნავი მეცნიერი და საუკეთესო პიროვნება ამ ბაღში ჩამოყალიბდა ასეთად, ბატონი ნოე და ჯიმშერიც ღმერთს უბოძებია ბოტანიკური ბაღისათვის, ისინი მართლაც ყველაფერს, ზოგჯერ შეუძლებელსაც კი აკეთებენ, რომ ბაღი წარმატებით ასრულებდეს დასახულ ამოცანას.

თუ ვინმე ფიქრობს, გოგოლიშვილის დროს ბაღი სხვანაირად გამოიყურებოდა, იმასაც უნდა გაუწიოს ანგარიში, რომ მაშინ სხვა პირობები იყო. ბაღს ორი აეტობუსი ჰყავდა, სატვირთო და ტვირთმცლელი მანქანები, სამი მსუბუქი ავტომანქანა, მოტოროლერები. ხელფასიო უზრუნველყოფილი — სამას ოცდაშვიდი თანამშრომელი. მივლინებები — შეუზღუდავი, საწვავი — განუსაზღვრელი. ახლა ძალიან უჭირთ, მაგრამ მაინც არ ყრიან ფარ-ხმალს.

1992 წლის ბოლოს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ მიმიღო. ძალიან თბილი და მეგობრული შეხვედრა მქონდა ბატონ ასლან აბაშიძესთან. საოფლო-სამეურნეო განათლების პრობლემებზეც ვისაუბრეთ. სწორედ ამის შემდეგ, ბატონი ა. აბაშიძის წერილის საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის რეგიონული ცენტრი, რომლის თავმჯდომარედ მე დამამტკიცეს, თუმცა მე ჩემი ხანდაზმულობის გამო უარზე ვიდექი, მაგრამ, იმედია, ადრე შემცვლიან ახალგაზრდები. როგორც ვოქვი, უკვე გვაქვს შესანიშნავი ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მის გახსნაზე გულობილი სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ასლან აბაშიძემ, დააკონკრეტა ინსტიტუტის ამოცანები, მის კოლექტივს წარმატებები უსურვა და დახმარებაც აღუთქვა, რასაც ასრულებს კიდეც ეს საოცრად სიტყვის კაცი.

არ შემიძლია აქვე არ გავიხსენო ბატონი ასლანის თანადგომა, როცა ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო კონფერენციაზე ქ. მოსკოვში (1995 წლის იელისი), როგორც ერთ-ერთ უხუცესს და ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარეს, დიდი პატივი მარგუნეს — კონფერენციის გახსნა და მისი მუშაობის გაძღოლა. ჩემი გამგზავრება უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ითავა. რისთვისაც ბოტანიკური ბაღების ევრაზიის საბჭომ მადლობის ბარათი გამოუგზავნა ბატონ ასლან აბაშიძეს, რომელშიც, სხვათა შორის, იმასაც უსვამენ ხაზს, რომ აკადემიკოსმა მამია გოგოლიშვილმა შესანიშნავად წარმართა კონფერენციის მუშაობაო.

სიტყვა გამიგრძელდა, მკითხველო, მაგრამ იმედი მაქვს, ზოგიერთი რამ მაინც მოგაწოდეთ, ასე თუ ისე, სასარგებლო და საინტერესო. სხვას რომ თავი დავანებოთ, კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ და ეროი რამის თქმა უთუოდ შემიძლია: არსად, არც ერთ სამუშაოზე, დიდსა თუ პატარაზე, როგორც იტყვიან, ნახევარი ძალით, ნახევარი ენერგიით არ მიღვაწნია. ჩემი შესაძლებლობა არასოდეს დამიშურებია.

ამას თუ შეამჩნევს ახალგაზრდა მკითხველი და ჩათვლის, რომ შენს ქვეყანას, შენს მამულს სწორედ მთელი არსებით უნდა ემსახურო, ჩავთვლი, რომ ამ წიგნმა მიზანს მიაღწია.

რედაქტორი	ჯემალ ხოფერია
მხატვრ. რედაქტორი	გურამ გუჯაბიძე
ტექნ. რედაქტორი	რობერტ ლომაძე
კორექტორი	ნანული წილოსანი
ოპერატორი	ხათუნა ვარშანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.06.98
ქაღალდის ზომა 60x84 1/16
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,8
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6
პირობითი საღებავგატარება 6,1
ფიზიკური თაბახი 7
ტირაჟი 500
შეკვ. № 29

სახელშეკრულებო ფასი

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, გოგებაშვილის, 24

ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“ პოლიგრაფიული ცენტრი, ბათუმი, კოსტავას, 5